F-255
1927

ანეკდოტი

6-7

BOSTON PUBLIC LIBRARY

ენციკლოპედია მწერლობაზე

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
ყოველთვიური ჟურნალი.

წელიწადი მეორე

რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი

ივნისი — ივლისი
ტფილისი — 1927

F-669

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის

მ ო ნ ა წ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაფართოებულმა პრეზიდიუმმა, რომელიც აერთიანებს ქართული ლიტერატურის მუშაკებს განურჩევლად ჯგუფებისა და პოლიტიკური მრწამსისა, მოისმინა რა თავის სხდომაზე 8 ივნისს კავშირის თავმჯდომარის მოქ. ა. აბაშელის მოხსენება შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მიმართა ქართველ ხალხს და მთელს კულტურულ კაცობრიობას შემდეგი მოწოდებით:

1) საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის, გლეხობის და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ლონისძიებათა შემწეობით მსოფლიოს ვეებერთელა ნაწილი — ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა მეფის თვითნებური რეჟიმისაგან, და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იქცა ხალხთა თავისუფალ ერთობის ქვეყნად მშრომელთა დიქტატურის დროშის ქვეშ.

2. მეფის გენერლების ყოველ გვარი ცდა, დამარცხებული და ქვეყნიდან განდევნილი ბურჟუაზიის ყოველგვარი ლონისძიება, საერთაშორისო კაპიტალის და იმპერიალისტურ სახელმწიფოების ყველა ოინები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, დაამსხვრია საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ურყევმა ნების ყოფამ; უკანასკნელებმა ომის შემდგომი ნგრევის საშინელ პირობებში, როცა მათ იარაღიც კი არ გააჩნდათ საბრძოლველად, შესძლეს კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის და სხვ. დამარცხება და განდევნა შრომის რესპუბლიკის საზღვრებიდან; მათ მოიგერიეს პოლონეთის თავდასხმა, ეკონომიური ბლოკადა და უცხოელების ინტერვენცია. ბრძოლის ამ მძიმე, აუწერელ გაჭირვებით სავსე წლებმა საბჭოთა კავშირის მშრომელებს არგუნეს საბოლოო გამარჯვება მტერზე.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მოიპოვა მშვიდობიანი შრომის უფლება, და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა სამოქალაქო ომით გამოწვეული ჭრილობები, მან თავისი ძალების დაუზოგავად გაშალა მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტი.

3. მთელი მსოფლიო იმის მოწამეა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და მუშათა კლასი მთელს თავის ყურადღებას აქცევს სამოქალაქო ომისაგან დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, ქვეყნის ახალი კულტურული ფონდის შექმნას, მუშური სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცების საერთო საქმეში მოსახლეობის ყველა ქვეყნების ჩაბმას, საერთაშორისო ხასიათის საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას და საერთოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებას. ამ რიგად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიერ დასახული მიზნები წარმოადგენენ უკეთილშობილეს მიზნებს, მიმართულს

იმ პრინციპების განხორციელებისაკენ, რომელთათვის კაცობრიობის საუკეთესო შვილები იბრძოდენ.

4. მაგრამ მთელ რიგ წლების მანძილზე, დასავლეთ ევროპა, რომელიც თანამედროვე კულტურის კერათ არის მიჩნეული, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველ კლასების სახით, დაჟინებით და სისტემატიურად სცდილობს დალუპოს მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ისინი ამ საქმისათვის არა თუ ახდენენ საკუთარ ცოცხალ და ფინანსიურ ძალების მობილიზაციას, არამედ საბჭოთა კავშირიდან განდევნილ ელემენტებს შორის, როგორც ქართულ ემიგრაციის, ისე რუსულ მონარქიზმის რიგებიდან ფულით ყიდულობენ რევოლუციის ყველაზე უბოროტეს, ყველაზე ამორალურ მტრებს.

5. და აი, ჟენევაში ჰკლავენ ვოროვსკის, პეკინში ძარცვავენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას, ახდენენ ძალადობას საბჭოთა მოქალაქეებზე, ლონდონში არბევენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობას, სწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოებთან. დაბოლოს, პოლონეთში მუხანათურად ჰკლავენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩს ამხ. ვოიკოვს.

6. და როცა ხდება ასეთი დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტები, ჩვენ, ქართველ მწერლების იმ გაერთიანებულ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ არა კომუნისტები, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია საპროტესტოთ აღვიმაღლოთ ხმა, გავაფრთხილოთ ჩვენი ხალხი, რომ მის მომავალს, მის მშვიდობიან შრომას ემუქრება საფრთხე იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიის მხრივ და, რომ ამ საფრთხის წინაშე ქართული ლიტერატურის მოღვაწეები მშრომელი ხალხის და რევოლიუციის სადარაჯოზე დგანან.

7. ჩვენ, ქართველ მწერლებს, საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ ხაზი გასვათ ჩვენს მიერ არაერთხელ აღნიშნულ ფაქტს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის პრინციპებზე აღმოცენებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი პოლიტიკა კიდევ უფრო მჭიდროთ აახლოვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებასთან და დღითიდღე არწმუნებს მათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულ გაფურჩქვნის და აღორძინების უპირველესი საწინდარი, კერძოდ საქართველოში, არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ოქტომბრის რევოლიუციის დიად პრინციპების გამარჯვება.

ჩვენ ვალიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გვაძლევს ჩვენი ნაციონალური აღორძინების სრულ გარანტიას და მოუწოდებთ კაცობრიობის კულტურულ წარმომადგენლებს აღიმაღლონ პროტესტის ხმა ჩვენი მტრების ახალი ცდის წინააღმდეგ, რომლის მიზანია კვლავ თავს დაგვატეხონ ომისა და ინტერვენციის ახალი საშინელებანი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი:

ა. აბაშელი, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ მიწიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ტფილისი, 9 ივნისი 1927 წ.

ლექსები

სიმღერა გრძნეულ ოლეგზე.

ლექსი ა. პუშკინის. თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

ახლა ოლეგი ემზადება ლაშქრობისათვის,
  რომ გადუხადოს უგნურ ხაზარებს.
მათი სოფლები და ყანები თავდასხმისათვის
  უნდა შესწიროს ხმლებს და ხანძარებს.
მჯდარი ტაიჭზე მობრძადება თავადი ჯარით,
  დამშვენებული ცარეგრადის მძიმე აბჯარით.

დაბურულ ტყიდან გამოვიდა მძლე ჯადოსანი;
  მომავალ წლების იცის მხილება.
არის აღვსილი შთაგონებით ჭალაროსანი,
  და მხოლოდ პერუნს ემორჩილება.
მან მისნობაში გაატარა თავისი დღენი,
  და მის წინაშე შეაჩერა თავადმა ცხენი.

დიდო მისანო! შენ ღმერთების ქურუმი გქვიან.
  სთქვი, რას მიქადის ბედი მფლობელი?
გასახარელად მტრებისათვის ადრე თუ გვიან
  დამფარავს მიწა დაუნდობელი?
ნუ გეშინია და მითხარი სიმართლე ნაღდი
  ცხენი საჩუქრად აირჩიე თავისი რახტით.

ჩვენ ძლევამოსილ მეფეების არ ვართ მონები,
  და საჩუქარი მათი არ გვინდა
სტყვას ჭეშმარიტს ვლაპარაკობთ ზეშთაგონებით,
  და ჩვენთან არის განგება წმინდა.
დაფარულია მომავალი შავბნელი ღრუბლით,
მაგრამ შენს ილბალს მიკარნახებს შენივე შუბლი.

დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა მოურიდები:
  მუდამ იმარჯვებ ვით მეომარი,
შენი სახელი შემოსილი არის დიდებით,
  ცარგრადის ბჭეზე დაჰკიდე ფარი.
ზღვა და ხმელეთი დაიურვე შენ ბრწყინვალებით.
მტერი გიცქერის სისხლიანი შურის თვალებით.

თავის ტალღებით არ გლალატობს ზღვა კადნიერი,
  როცა იმსხვრევა ზეცა მეხებათ;
მკვეთრი შურდული და ხანჯალი მუდამ ცბიერი
  შენ არასოდეს არ შეგეხება.
შენ, ჯავშნიანი იარებით არ ითანგები,
თითქოს გინახავს უხილავი ძალა განგებით.

ვერ შეაჩერებს შენს გაფრენილ მერანს ვერავინ,
  თუ დააკავებს შენი ბრძანება,
ვერ შეაჩერებს მას ისარი მკერდგამსერავი,
  და ბრძოლის ველზე მიექანება.
მისთვის ერთია ნიავი და ბრძოლის ხმაური,
მაგრამ დაგლუპავს სამუდამოდ ეს ბედაური.

ოლეგის სახე დაიჩრდილა თითქოს სიბნელით.
  რა გამოიყვანს გულს ამ გლოვიდან?
დადუმებული ის დაეყრდნო უნაგირს ხელით —
  ცხენიდან დაბლა ის გადმოვიდა.
უკანასკნელად ეთხოვება თავის ამხანაგს.
მისი მერანი ველარ ნახავს სამხედრო ბანაკს!

— ჩემო ფეხმარდო მეგობარო, მებრძოლო ჩემებრ,
  დღეს განშორების დაგვიდგა ჟამი
შენს ოქროს უზანგს ვერასოდეს ველარ ვიგემებ,
  ო, დაისვენე ახლა სიამით!
აწ კი მშვიდობით და გახსოვდეს პატრონი შენი,
თქვენ, ჭაბუკებო, წაიყვანეთ ერთგული ცხენი.

იგი ხალიჩით დაამშვენეთ და ბეწვეულით,
ის აბალახეთ მინდვრებში მარად.
დაბანეთ ხშირად, მიაწოდეთ ქერი რჩეული
და წყაროს წყალი ასვით ანკარა.
სწრაფ ჭაბუკებმა წაიყვანეს ცხენი ვერანი,
და სხვა მიჰგვარეს იმ წუთშივე თავადს მერანი.

ნადიმობს რაზმით ფალავანი და მოწინავე
ხმაურობს ჭიქა ხალისით სავსე.
დილის თოვლივით მათი თმები ახლა ბრწყინავენ
იქ, სახელოვან გორაკის თავზე.
ისინი წარსულს იგონებენ დღეს ათრთოლებით
და ამაყობენ გარდახდილი ძველი ბრძოლებით.

„სად არის ჩემი ამხანაგი; ამბობს თავადი
სად არის ცხენი — ცეცხლის მფრქვეველი?
ხომ არ დადუმდა ფრთაშესხული მისი ნავარდი —
დიდ სივრცეებზე დაუტეველი?“
ისმის პასუხი: ერთ მაღლობზე ახლა ის არი,
და მარად ძილით განისვენებს გაულვიძარი.

უძლეველ ოლეგს სევდიანი შეიპყრობს გრძნობა,
და იგი ფიქრობს მწველ დანანებით:
„გიჟო ბებერო! არ გამართლდა შენი მისნობა,
გამოწვეული ყალბი ზმანებით.
ცხენი აქამდე იქნებოდა ჩემი თანმხლები“.
და თავადს უნდა ინახულოს მეგობრის ძვლები.

აი ოლეგი გამობრძანდა დიდ სასახლიდან,
მასთან იგორი, სტუმართ კრებული.
იქ, სადაც ბორცვი იხედება დნეპრში მაღლიდან,
აწყვია ძვლები გაყვითლებული.
მათ წვიმა რეცხავს და ჩურჩულით ეკვრის ბალახი,
მათ ფარავს ქვიშა და უცქერის ცის იალაღი.

მეგობრის ნაშთ.ებს აკვირდება თავადი ნელა.
  მან ცხენის ქალას დაადგა ფეხი.
„შენი პატრონი ჯერ სიკვდილმა ვერ მოინელა,
  მაგრამ ახლოა ჩემი ქელეხი.
თავმოკვეთილი არ გაჰყვები შენ თავის მხედარს,
და ცხელი სისხლით არ გააძღებ შენ ჩემსა ცხედარს.

აი სად არის დამარხული ისარი მკვლელი,
  სიკვდილით ძვალი მემუქრებოდა!“
ცხენის თავიდან საზიზღარი საფლავის გველი
  ამ დროს სისინით, გრეხით ძვრებოდა.
როგორც არშია მოეხვია ფეხებს მდუმარეთ,
და დაიკივლა მოშხამულმა თავადმა მწარეთ.

დადიან ირგვლივ სასმისები აქაფებული—
  გლოვობენ თავადს ქელეხით, ლხინით.
სხედან გორაკზე იგორი და ოლგა კრებულით.
  ლხინობს ლაშქარი ადრინდელ ჟინით.
ისინი წარსულს იგონებენ დღეს ათრთოლებით,
და ამაყობენ ვარდახდილი ძველი ბრძოლებით.

—:—

ტერენტი გრანელი.

ქალი, რომელიც ცხოვრობს ეკლესიის ეზოში

მიდიხარ სადღაც, ივიწყებ დედას,
მიდიხარ სადღაც, და ბედი გლუპავს.
და შენ ყოველთვის ფანჯრიდან ხედავ,
მაღალ სამრეკლოს და ცისფერ გუმბათს.

გიყვარს ზაფხულის ჩუმი ტაროსი,
როცა ლრუბლები ცაზე ქრებიან.
შენს ფანჯარასთან სდგას კვიპაროსი,
შენს ფანჯარასთან საფლავებია.

როს გათენდება მზე სხივებს გესვრის,
და შენი სახე უანგაროა.
გაზაფხულია, და ეხლა გესმის
ახლო ბაღიდან შაშვის გალობა.

და გიყვარს ცაზე მთვარის რონინი,
ღინდა ქვეყანა რომ გეუცხოვოს.
და განდგომილი მონოზონივით,
შენ ეკლესიის ეზოში ცხოვრობ.

და როცა ღინდა გაივლი ბაღში
დადგება შენთვის დღე სასურველი.
გაზაფხულია, და შენს ოთახში
სდგას ყვავილების თეთრი სურნელი.

მიდიხარ სადღაც, ივიწყებ დედას,
მიდიხარ სადღაც, და ბედი გლუპავს.
და შენ ყოველთვის ფანჯრიდან ხედავ,
მაღალ სამრეკლოს და ცისფერ გუმბათს...

———:———

ეთიმ გურჯი.

1

სიყვარულის მგოსანი ვარ,
ვალამაზებ დედაენას,
სიმღერების გამჩენი ვარ,
მოახმარონ ყველამ ლხენას.
ერთა შუა მავალი ვარ,
ყველას უწყობ ვარდის ფენას,
მარტო მისი ორგული ვარ,
ვინც სიყვარულს უწყებს კბენას.
ცხრამეტ საუკუნეს გავჩნდი,
მეოცეში სტუმრად დავალ,
ქართულ ენას სულ დავლექსავ,
სანამ სამარეში ჩავალ.
ბევრი ხალხი გამიგონებს,
როცა ამ სოფლიდან წავალ.
მე ლექსი არ დამკლებია
სულ მზადა ვარ ვინც რა მთხოვა,
ცოცხალს ფასი აღარა მაქვს,
მოვკვდე, არ დამიწყოთ გლოვა;
ეთიმ გურჯი შემოგწყრებათ,
თუ ის წავა, აღარ მოვა,
რუსთაველის შვილობილი
და მეორე საიათნოვა.

2

წერით, მღერით დავიღალე
მარტო შენთვის მამიცლია
შენთვის კალამი გავტეხე
და მელანი დამიცლია
რაც რომ შენთვის ვიგალობე

ენის ტყავი ამიცლია,
შენი გული ქვა ყოფილა,
ჩემს გზაზე ვერ შემიცვლია.

ჩემი შრომა ტყვილად მიდის
უქმი საქმე მითავია
წყალში ვდგევარ და წყალსა ვსცრი
ხელთ საცერი მიკავია
გაიხარე ჩემი ტანჯვით
რაც შენ საქმე მიყავია
ლამურად გადამაქციე
თუმც არწივი ვიყავია.

მაგრამ ჩემი ბრალი არის
რისთვის მყევხარ გულში მდგმურად
ესოს მცნებით რომ მივსულვარ
მაჰმადის კარს სამსახურად
მარილის ქვით ბანს ვაკეთებ
ჩემის სახლის დასახურად,
რათ მინდოდა რომ დავდექი
მშრალს ქვიშაზე მებადურად.

ეთიმ გურჯო დაუკვირდი
გირჩევნია მოდი ჭკვაზე
აგიტანია ბუმბული
კასაშრობათ ქარიან მთაზე
შრომა ტყვილად დაგეკარგვის
რათა სწერამ ყინვის ქვაზე
რომელ ვარდსაც შენა ჰგალობ
იგი გყიდის მუდამ სხვაზე.

3

ლალი, ზურმუხტი, ფირუზი ხარ,
ქვეყანას თვალთ უზიხარ,
ედემის თაფლის ბუზი ხარ,
ლამაზებში ჯვრის ტუზი ხარ.

ოქროს ყაფაზაში ზიხარ
ბულბულისთვის მაისი ხარ
სხვისი პლანეტა მარსი ხარ
თუ არ ჩემი მა ვისი ხარ.

ჩემო ხატო, ჩემო ღმერთო
შენს სურათზე სანთლად ვენთო
გთხოვ წყალობა გაიმეტო
ლამაზების პრეზიდენტო.

სანამ შენს სახესა ვმზერდე
სულ იცოცხლე, არ დაბერდე
მუდამ შენს ჭებასა ვწერდე
ეთიმ გურჯი შენთვის...

შადრევანის პირად.

სჩქეფს შადრევანი. საღამოა, ამოდის მთვარე.
ლაბაზ კვიპაროსს აღუმართავს ამაყი ქედი.
ვარტასტიფური სამოსელით ირთვება არე,
ბალის აუზში უცნაურად ბანაობს გედი.
მთვარე მიიწევს ცის თაღისკენ ზანტი ნაბიჯით,
თითქოს ძოვრალია, მიდის ნელა, რომ არ დაეცეს.
მე კი ვზივარ აქ, კაეშანის დამდაღველ იჭვით
და ჩემ ნაღველის სამკურნალო საგანს დავეძებ.
გუშინ აქ, ამ დროს შენ იყავი ჩემო ძვირფასო,
უკრავდი თარს და უჩვეულო ხმაზეც მღეროდი.
მე კი გისმენდი და ჩემ გულის გრძნობიერ პასუხს
შენ ახლებული, მოუთმენლად თურმე ელოდი.
ბოლოს ლადუმდი... და შენი ხმის შეწყდა წკრიალი,
თვალებში ცრემლი მოგერია, გადასდე თარი, —
და ამის შემდეგ დადგა ჩემთვის ოხერ-ტიალი
წუთები მძიმე, დამდაღველი, წუთები მკვდარი.
გთხოვდი სიმღერას — მუდარებით, მაგრამ ამაოდ
ძვირფასო ჩემო, გულს დამასხი გესლი და შხამი.
რა მშვენიერი იყო ამ დროს ბალის მარაო,
გულს აგრილებდა მთვარიანი სექტემბრის ღამე.
მაგრამ მე ვსდუმდი, როგორც ღამე და სიმარტივე,
ვეყრდნე ნაღველით გულდამწვარი აუზის ღობეს.
უცებ შენ წახველ და მე ასეთ დარდით დამტოვე
თვალ-ცრემლიანმა სთქვი გულდაწვით იყავ მშვი-
დობით.
ეს გუშინ იყო უცნაური ლხენაც და გლოვაც;
ო, რა გულის წვით იმ საღამოს ახლაც ვიგონებ.
ჩავიდა მთვარეც, ალბად კიდევ აღარ ამოვა,
ველარ აფრიდგენ ჩემი სისხლით წაშლილ სტროფებს.

—:—

669.

ნოე ზომლეთელი.

თბილისი — ზაჰესს!

ახალი ცეცხლის ბირთვებით
სულ ამომივსე ძარღვები...
ჩვენ ინდუსტრიით ვირთვებით,
შენც რომ ფარეშათ გაჰყვები....

მოგაქვს სიცოცხლის ნაკადი,
გადაგვაქციე ხალისად,
გული გვაქვს გრძნობით ნახატი!...
ფერად მაგ შენის ალისად!...

ის რომ სურვილებს გასჭედავს,
რა საზღვრებია დამტევი?
რამდენს დღეს რწმენით გაჰხედავს
რამდენი ღამის გამთევი!...

უსაზღვრო არის ეს არე
და ზედ მომქმედი ძალები,
ელვაზეც უფრო მკვესარე
აქვს ანთებული თვალები...

ის ღამეებშიც გაატანს
ცეცხლის და რკინის რაშებით,
ქროლვაც რომ უჩანს ტაატად
სივრცეში გათამაშებით!...

დაჰქუსლავს ფოლადის ფერდებს,
რომ დაიზნიქოს ბიდონი,
რადგან წინ უხმობს მის მხედრებს
სხვა დრონი! სხვა სამკვიდრონი!...

ჰხედავ, ვით გახდა საწუთრო
ეგრე ყრუ, ეგრე ხმიანი?!...
ოცნებას აზრმა გაუსწრო,
ნდომაც წინ აღძრა, ხმლიანი!...

გულიდან დარდის ფლატები
ამიდნო მისმა ელვამა,
ქარმა წაილო შლაკები,
ზოდები კიდევ — ღელვამა...

ძარღვებში სისხლმა იმატა...
ჩამომაყარა ალები!
მაქო თავს იქნევს კვიმატად:
დართო საჩოხე შალები!...

ქმელი ბრუნაროს შესცინის,
თავის ამინდზე მღერიან:
„შენც რკინისა ხარ, მეც რკინის,
რა ცხვირი აგიღერია?!

ჩამოდექ რიგში თანსწორად,
კუნთი გაშალე, ზამბარი,
მახმარე ყოფნის სასწორად
სიმედგრე, ზეთში გამბალი.

და თუ ცემაში ჩამოგრჩე,
და თუ დარტყმები დავლიო,
ჩაქუჩი თავში ჩამომცხე,
გამომიყვანე ყავლიო!...“

დღეს ფიქრიც ვერ სძლებს მტკვრის პირას
უძრავათ, უქმათ, გლახათა,
გვაგონებს რა მზისუმზირას,
სდგას გაბუტული მახათა.

ქარხნის საყვირი უყივის
ორთქლმავლის მტვირის ღეროსა
და ეს დაბლობი კუკიის
ასწვდა დავითის წვეროსა!...

გასწორდა მთაი და ბარი,
ქება წინაპართ ძვალებსა!
აწ კაცი გაიდაბანი
ვერ გამილამებს თვალებსა!

თასმებით დაწნულ კუნთებში
ცეცხლი ჩაივლის ჩქროლითა,
სიკვდილსაც ჩავსჭედთ ხუნდებში
სიცოცხლითა და ბრძოლითა!...

და რადგან შენგნით ძარღვები
ამ ცეცხლით უკვე ამევსო,
მეც, შენს წინ ხარკის გამლები,
ყოველ წლივ გნახავ ზაჰესო!

გნახავ, ვით სწორი — ამხანაგს
მზის და სიცოცხლის მხარეში,
რომ ინდუსტრიის ამ ხანად
ორნივ ვართ პირის ფარეში!...

მოგიტან ახალ **იმედებს**
გულში აღძრული ქმედებით
და ირგვლივ ბარებს თუ ქედებს
ძლევის ხმად გადავედებით!...

კოლაუ ნადირაძე.

ოქროყანა.

პოემა.

შესავალი

პაოლო იაშვილს.

უკვე დასრულდა ჩემში ყოველი,
და შემოქმედი განმტკიცდა ნება.
ვარ უზენაეს მადლით სოველი,
და სიყვარულმა შვა შთაგონება.

მშვიდობა თქვენდა, გულის გაძგმირო,
წარსულ დროების მძიმე სევდებო!
მეც მინდა მეოგოს საქმე საგმირო,
რომ თქვენ გიმღეროთ, მშობელო მთებო.

კმარა, გათავდეს! არა ლირს, ვფიცავ,
ამდენ ცრემლებათ ის, რაც დავკარგე.
მე ისევ-ისე ცხოვრებას ვიცავ,
ცხოვრებავ, კმარა რაც ტანჯვა მარგე!

მშვიდობით ეხლა, ჩემო წარსულო,
და შენც, ბავშობავ, ოქროს სიზმრებით!
რამდენი შხამი გულზე დასულა,
რა ულმობელი სისწორით ვქრებით!...

მაგრამ მე მაინც ვარ მადლობელი
ყოველი წუთის, ყოველი წამის:
ასე ყოფილა წუთისოფელი,
დღის მღელვარება და მოსვლა ღამის.

დღეს ლოცვებისთვის დრო აღარ არის,
გაზაფხულს გაჰყვა სურნელი იის.
მე მაინც მინდა გავალო კარი
მალალი გრძნობის და პოეზიის.

რომ ყველაფერი, რაც გულს აცდენდა,
რაც კი სტანჯავდა გონებას მწარედ,
რაც სისხლის ცრემლებს თვალებს აღენდა
გამოვიტანო სიმღერით გარეთ.

ვთქვა, თუ როგორ ვარ სავსე პირამდე
ადამიანურ და კეთილ გრძნობით,
თუ როგორ მინდა ჩემ თავს ვსწირავდე,
ვიყო ჭურჭელი უმაღლეს ძმობის.

მაგრამ თქვენ, ვისაც მე ვერასოდეს
ველარ შემოგხვევთ მეგობრულ მკლავებს!...
პოეტის გული თქვენთვის იწოდეს,
და დასტიროდეს ძვირფას საფლავებს!.. *)

დაუვიწყარი თქვენი სახელი
ჭამომაქვს მაინც ამ ბრძოლის დროში,
როგორც მეომარს დაჭრილი ხელით
ერთი ნაგლეჯი წართმეულ დროშის.

ოქროს ყანაო, შენზე სიმღერა
გულში თაფლივით ჩამწვეთებია!
მე ძველებურად ოცნების მჯერა,
და ლექსს ვენდობი ოქროსფრთებიანს.

რომ თაველნაყარ და მწიფე პურის
ლექსში მიეცეს მღელვარე სახე
მას, რაც შევბოჭე მახვილი ყურით,
რაც შთაგონებით ვიგრძენ და ვნახე.

25 — XII — 26 წ.
ტფილისი.

———:———

*) სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი, ლილი შეუნარგია.

ვარლამ რუხაძე.

ქუჩის ბავშს.

შენ, ქუჩის ბავშო, ქუჩა გზრდის მარტო,
ცივ ფილაქანზე დარბი და წვები,
არვინ გყავს ქვეყნად, რომ ფიქრი ანდო
და გათოშილი გაგითბოს ძვლები!
აქ შენზე ფიქრი არვის აწუხებს,
თუმც ყოველ გამვლელს აედევნები;
ყინვა და ქარი გიჭერს მარწუხებს
და იტვირთები ცრემლთა მტევნებით!
თავიდან დაგყვა ილბალი ოხრის,
კონკებში ზიხარ, ვინ მოგცემს ახლებს
და როს შიმშილი რკალივით მოგხრის,—
ხარკს ახდევინებ უჩინრად ბაყლებს.
შენ აქ იხრწნები... და იქ კი დედა
ლოთობს და არაყს გადაყოლია;
ალბათ ვერ ზიდა ცხოვრების სევდა
და მშობლიური მელანქოლია!
ახლა ერთმანეთს ალარც კი იცნობთ,
ცხოვრების შხამმა ადრე გაგყარათ:
მას — სამიკიტნო, შენ — ქუჩა გიძმო
და თქვენს სავალზე ქაცვი დაჰყარა!
მამაც ხომ ტანჯვამ მოიდნო უდროთ
და კაცის მკვლელის გაჰყვა სახელი?
არც შენ მოგელის დღეები მყუდრო,
რაკი ცხოვრების ფსკერზე დახველი.
ეჰ, უბედურო! ბედი უტეხი
ვინ იცის კიდევ თუ სად წაგიღებს?
ეთრევი ასე, ვიდრე მეტეხი,
ან და — სამარე კარს არ გაგიღებს!

———:———

ტიციან ტაბიძე.

1

იმათი იყოს ეს სადღეგძელო.

რომ დავჯდებოდეთ ჩვენ პურის ჭამათ
მოვიგონებდეთ, ძმებო, ფიროსმანს,
მისი გული გვაქვს ჩვენ ღვინოს ჯამათ
და აქამდისინ ქართულ მირონს გვბანს.

გვიკურთხებს სუფრას: „ალდგომის კრავი“
დიდი ყანწები და „ნატიურ-მორტი“.
ჩვენც ხომ კრავები ვართ დასაკლავი
და ასაბიით სუფრა მოირთო.

გაიარს კიდევ ათამდე წელი
დ ამ ცხოვრებას უფრო მიქელავს
ჩვენიც იქნება შესანდობელი
შეგვაბრალებენ საწყალ ნიკოლას.

და ატირდება წყვილი სანთელით
სამიკიტნოში სუფრა პატარა.
განვლო მან ცეცხლის კორიანტელი
ბედმაც უბედოთ ბევრი ატარა,

იყო საწყალი ერთი ოსტატი
ასეთ ოსტატებს ზრდის საქართველო.
ღმერთმა აკურთხოს მარჯვენა მათი
იმათი იყოს ეს სადღეგძელო...

ტფილისი
26 წ.

2

რია - რია.

...მივალ, მივდივარ და მივიმღერი
და საქართველოს მიმაქვს ოცნება.
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩ მიუდებლად რომ იკოცნება.

ათასი გული ერთად რომ მქონდეს,
ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი;
მხოლოდ ლამაზო არ დაგილონდეს
მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე.

ათასს სალამურს გააქვს გუგუნი,
ერთად ამღერდენ გურიის მთები.
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,
არც სიკვდილისთვის დაგემდურები.

ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით აღარ მოეთხოვება.
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას...

—:—

ქობულეთი
927 წ.

3

ირემი აქებს იალალს.

შენ მართლა ამ ლექსს ვერ წაიკითხავ
და ვერც ვერავინ გეტყვის ამაზე.
მხოლოდ დარჩება, როგორც მე გითხარ
ტფილისის ლამის ეს სილამაზე.

რა ვუყოთ მერე რომ გავიკაწრე....
ერთხელ ტფილისში ვეფხვიც მოვარდა.
არ დაგიჯერებს არვინ სიმკაცრეს,
არც ვარდი ვარგა უეკლოთ ვარდათ.

მეგონა თავი ჯერ ავთანდილი
და შენცა ჰგავდი პირველად ფატმანს.
მერე დაიცავ ქალის მანდილი
და ხანჯალივით მცემდი ხელთათმანს.

მეც არ ვიტყოდი ამ მცირე ამბავს.....
ეს ხომ ირემი აქებს იალალს.
მაგრამ პოეტი ლექსს რომ გაგიბამს,
ნუ დაივიწყებ ბოტანიკურ ბაღს.

—:—

ტფილისი
925 წ.

1

პოემა უცნობ ხელებზე.

გეორგი ქიქოძეს.

ლამე გვიან შინ დავბრუნდი
და შევალე კარი.
მკაცრი ყინვა სხეულს სუსხავს,
ყივნა შესაზარი.
ჩემს ძველს ბუხარს მივაშურე —
დავრჩი შენამკრთალი.
ჩემს გულს ცეცხლი ველარ ათბობს,
თუმც პრიალებს ალი.
ჩემს ძველ წიგნებს ხელი ფურცლავს,
არსად კი სჩანს ქალი!
მე იმ ხელებს, სასტიკ ხელებს,
რთველში მოვკარ თვალი.
ლალის მტევანს მომაწვდიდა,
ეშხით იყო მთვრალი.

— —

რა დუმილი შემომერტყა?
ქარიც არ ჰქრის კარში!
თითქოს ვიჯდე აკლდამაში
ატირებულ დარში!
მსურს სიმშვიდე, დავიწყება.
ან ვინ გამახელებს?
წყნარი ფიქრი ამიჭრელდა —
ბნელში ვხედავ ხელებს!
ნესტანია რუსთაველის,
ან თუ ლეონორა?
მოდის ჩემთან, პასუხს ელის...
ალვალი ვამისწორა!

— —

როდის იყო ალარ მახსოვს....
დღეს, გუშინ თუ ადრე?

იმ უცნობთან მარტო ვიყავ,
ჩუმად სიტყვა ვკადრე:
— ჩვენ მარტო ვართ, მეგობარო,
ველარ ვამჩნევ სოფელს!
ჩემს დიდს სურვილს შენ იტაცებ,
ჩემთან განუყოფელს.
მაგრამ ცივა... იქნებ სხვაგან
სხივი სიცილს ანთებს?
და ჭაბუკი პატარძალთან
ყვავილებში ათევს?
იქ განთიადს მიუძღვნიან
უცხო საგალობელს.
ჩვენც ვიმღეროთ, მეგობარო.
შევხვდეთ ახალ სოფელს!

— —

ის უცნობი ჩუმად იჯდა,
როგორც მუნჯი, მკრთალი;
საპასუხოს არ მეტყოდა,
დაეხარა თვალი.
შემდეგ ხელი ამოძრავდა,
ნახა როიალი.
სანთლის თითებს ვერ გაუძელ,
ალარ სჩანდა ქალი.
კლავიშებზე ხელი კრთოდა,
სრიალებდა გველი;
ხანჯალივით ხმა ჰკვეთავდა,
ჰკვნესდა ვიღაც მკვლელი.
და ხელები ალარ შედგნენ,
ვკივი განამწარი;
აიშალა მოგონება,
აცეკვავდა მკვდარი
— ჰეი — შესდექ! მეგობარო,
არ მსურს გლოვის ზარი!
მკაცრი ყინვა სხეულს სუსხავს —
ხელი შესაზარი!

გიორგი ლეონიძე.

ძველებური სიმღერა

ციცარი.

გადამაგდე და დამკარგე
როგორც ჩერქეზმა ისარი,
ასე გავარდა სამგორში
ცას დაეხალა ციცარი!

ვაჰ, ნაგზაურო ციცარო,
გაზდილო ჩემის ხელითა
შენ სადღეგრძელოს აღარ ვსვამ
ქაფქაფა საწნახელიდან!...

არც დაგიღებავ ფერჩხილებსა
ზაფრანა დარიჩინითა,
წადი და იმას აკოცე
ვინც მინდვრად გაგაჯირითა.

ის ბაზიერი გიყვარდეს
გაჭმევდეს აღჯანაბადსა
მე ჩემს გზას გამოუდგები
ცხენზე დავაკრამ ნაბადსა.

საოთრეთს ვადავარდები
დამკვრელად ვიველი თარისა,
ჩოხა წვიმისა მეკმება
და ყაბალახი მთვარისა.

შენ ალავერდის გუმბათზე
ლაბქანდი დაძინებული
— ფესვი მიწაში გამწყდარი,
ცრემლი ვარ დაზვინებული!...

ქილილა დამნა

— ეს მშობლიური ლაქე ვიცანი
ვისმენ ბინდების მდუმარე ზუზუნს.
— ცაა გათლილი ნაძვის ფიცარი
დნება ვარსკვლავი — პატარა ძუძუ

ტყეებზე ცვივა მთვარის მანანა
ციცნათელები არხევენ არაგვს
და ორი ტურა: ქილილა, დამნა,
სოროში ჯერით ამბობენ არაკს...

გრიგოლ ცეცხლაძე.

თითქოს ფეხი მაქვს ვეშაპის ყბებში.

გვენის ალად მედება ბრაზი,
თითქოს დამჭრეს და სისხლად ვიცლები,
მინდა დავახრჩო რეგვენი ფრაზა,
როცა მაფიქრებს წარსული წლები.

და მეგობარიც თუ არ მყოლია
გულამოსკვნილად მოსაგონარი,
როგორ მივიღო მელანქოლია
და სხვა პოზები მოსაწონარი...

ისევ ებრძვიან ზვირთებს მკლავები,
თავგანწირული ისმის ყიჟინა,
დალუპულ დღეთა სათვალავები
მეოცდაათე წელს მიებჯინა.

თითქოს ფეხი მაქვს ვეშაპის ყბებში, —
დამლუპავს მარჯვედ თუ ვერ დავჭარი,
თუ ვერ ვისროლე სიტყვა სიტყვებში
საუკუნეზე უფრო მაგარი.

ნიკოლოზ ჩაჩავა.

კალოშები და სიყვარული.

1

თქვენ ცხოვრობთ ალბათ
სადაც არ არის მექანიკა
ავტობუსი
და პროპელერი,
სად ატარებენ მიწის გომიჯებს
ფეხშველა ბიჭებს
უყვარხართ თქვენ,
თქვენი ფეხსაცმელი და მოკრძალება.
ძალიან კარგი.
სოფელი ხომ უსაზღვროა,
უანგარიშო
გაწუხებთ სივცრე, ატმოსფერა
უცხო,
გარეშე
თქვენთვის დადგმული დეკორაციათ.
ოდიდან უცქერთ —
უცხოა ცა და ნისლი გბურავთ.
თხოულობთ ჩემ გულს
რეზინის ბურთივით ქარით გაბერილს.
ვინდათ გაიგოთ რას ფიქრობს გული
გრძნობის სივრცეებს რომ ისვრის ირგვლივ
ჩემი გული ამბობს:
რომ თქვენ დაგტოვათ
ალარა აქვს პრეტენზია სიყვარულზე
და თქვენდამი კერძოთ.
მიატოვეთ ქალბატონო სიყვარული,
მიატოვეთ
თორემ დაიღუპებით.

2.

რა საჭიროა რომ
საიდუმლოთ აგროვებთ სევდებს —
ეს სევდებია რომ გისხვაფერებთ გულს.
მითხარით ერთი, ვინ მოგიძევდათ
სევდებისეულ ბარგით გარანგულს.
მეცა მაქვს გული,
მაგრამ აროდეს არ მიფიქრია
მარცხენა მკერდს
უფრო მეტი პატივი დავდო.
ჩემთვის ორთავეს ერთი ნიხრი აქვს
ერთისთვის ცალკე რატომ ვიდარდო.
ან ვის სცალიან ეხლა გულზე იფიქროს მარტო
ან შენსავით სხვას
მთვარესთან ვის მიეშურება.
ჩამოდი ერხელ ახალი დრო რომ განგიმარტოს
ჩვეულებრივმა გაზეთებმა და ბროშიურებმა.
ან იქნებ შესძლებ
თქვენი გული სხვას მიაბაროთ,
ან თუ ძლიერ გსურთ
ყველა გულებს გავხდით დერგებათ —
და ჩემი გული
დედის რძესავით თუ შეგერგებათ
მიირთვით,
გქონდეთ.

3.

მეხი დაგცილდათ,
თქვენ გსურდათ ღამე
ხის ფულურაში გადაგეთენათ.
მე კი გითხარით
რომ მზემ დაგხამათ
მიტომ გაშინებთ წვეთები წვიმის.
გიგზავნით კალოშს

შეგიძლია გაიაროთ გზა უდარდელათ.
კალოშები დაგავიწყებთ სიყვარულზე ფიქრს
ეგრე რომ ექცევით მორიდებული.
მოშორდით ბუხარს
თორემ რეზინს იტაცებს ცეცხლი
და ნაკვერცხალი კალოშების სუნს
კვამლს შეუერთებს სივრცეში გადასაზიდათ.
მაშინ ტალახში ვერ გაივლის,
იტაცებს გული —
წარმოიდგენს რომ მარტოა
და მოგზაურ ღრუბლებს გამოატანს დათრთვილულ
მთვარეს

ჩემ გასართობათ.
გითხარით ერთხელ
არა მაქვს დრო
სად შემიძლია გადაღერილ გულს
ორხელ კალოში გადმოუგზავნო.

4.

ჩრდილს თარგს ააჭრით
გინდა ჩაიცვათ შუადღეზე გრილად
მზის გერიდებათ
და წვიმაში არ ატარებთ არც ერთხელ კალოშს.
იქნებ მოუხდეს
თქვენი დარდი გაამარგლინეთ
დარდი გალოშნეთ
ჩვილ ხბოსავით რომ აჭმევთ ძუძუს
აბა მითხარით რად გაიმეტეთ
„მზაკვარი მთვარე“
რომ გადმოვგზავნეთ ამბვის მომყოლად —
გუშინ დავთვერი
და მთვარე
ღვინოს გადავაყოლე.

———:———

სიმონ ჩიქოვანი.

მიძღვნა და მიბაძვა მუზას.

I

შენი სხეული გათლილია როგორც კრისტალი
შენი ფეხები ხეებია მარმალილოზე
ეგებ შენ იყავ, კრიტიკოსზე უფრო მართალი
როცა მითხარი: სასაცილო ხართ სასაცილოზე.

მე მომცრო ტანის, შეჩვეული მხო[illegible]
ველარ ვახერხებ ცეკვასა და დაკვრას ძვლებიდან,
სჯობდა მგოსნობას ვყოფილიყავ ქვეყნად აქლემი
შენი წაყვანა ზურგით მაინც შემეძლებოდა.

II

თვრამეტი წელით შემისრულდა ქალის ასაკი:
ტანი კრისტალი და ქალა-კი თითქოს გოგენის.
როგორც სიმჟავეს დავატარებ გრძნობებს გასაკვირს
და არ ვინ იცის, რა ეკლები კიდევ მოგველის.

მსურს მოვიდე და სიყვარულით მოგეალერსო
ეგებ ამ გრძნობას სიჩუმეში შენაც მოელი;
მაგრამ რა გიყო, შენ მძიმე ხარ, ჩემი ლექსივით
და ამავე დროს ნორჩ ბავშვივით მიუდგომელი.

პრეზიდენტი

ვასილ ბარნოვი.

ᲛᲬᲙᲕᲠᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ.

1.

გაუკვირდებოდა მტკვარს თვისი ვაჟი, ალარ ინება მორჩილება; ეუბრა მამას.

— ალარ მწადიან შენთან ყოფა, ერთად ქმედობა! შეიძლიან საკუთარი გზა გავიკვლიო, ეტყოდა იგი.

და ცდილობდა განზე გასვლას, სხვა ხევზედ დენას: მეტად ჰსურდა დანდობოდა მხოლოდ თავის თავს.

— შეუძლებ, შევქმნი საიმედო ცხოვრებას ახალს!

ნათელ საქმეთა სამრავლებლად ჟამთ უთხრობდა, თუ ბნედითს შვილნი ეცდებოდენ მის გზის ჩახერგვას, ვაჟკაცურად დაუხვდებოდა.

— ნახოს მამამაც, რა კაცი დავსდექ! მადევნონ თვალი მოყვარემ, მტერმა. იმედი მაქვს, შემაქებენ, ვაშას მესვრიან.

დიდი მტკვარი არ თანხმდებოდა; მრისხანებდა, გრგვინვას ჰმატებდა. მაინც გულში ახარებდა მას შვილის სწრაფვა.

— ლონესა გრძნობს მოჭარბებულს თვის არსებაში. მახარებს ესა!

მის უარობას სხვა ჰაზრი ჰქონდა:

— განცალკევებულ ცხოვრებაში ვაჰ თუ ვერ შეჰყვეს ძალა იმდენი, თავისი სახე სასიკეთო ქმედობაში ახორციელოს; თუ არ იყოს საკუთარი ყოფნისათვის ჯერ მოწიფული....

მაგრდებოდა, უარ ჰყოფდა შვილის სურვილებს, დააბრკოლებდა. მაგრამ... უარი მის შვილისავ სასინჯი იყო:

— თუ შესწევს ძალა და გულით ჰსურს მარტო ქმედობა, არ დამიჯერებს: გადაჰლახავს დარწყულ საბრკომს, გაინავარდებს!

სამუდამოდ მაინც ვერ გაუშვებდა მტკვარი თავის ვაჟს, ვერ შეელეოდა: დიდი საშიშროება ედგა წინ. იმ უძლეველ მტკვრის წინაშე ცოტა ხნობით გამაგრებაც დიდ ძალას ითხოვდა. ბოლოს ისევ შეიერთებდა სასიკეთოდ სახლიდან გასულს.

სხვა ვაჟებიც ჰყავდა დიდ მტკვარს სამოქმედოდ განზედ გახრილნი, კვლავ მასთანვე გადაჭდომით ქვე მიმდინარნი.

იმ დიდ დუშმანთან საბრძოლველად უერთებდა შემდინარე სხვა მებრძოლებსაც, საქართველოს ტყეში, კლდეში, ლრანტეებში წარმოშობილებს, და ლტოლვილებს მის საშველად ბნელთან ბრძოლაში.

გაძლიერებულ მტკვრისთვისაც საშიში მტერი დიდი ზღვა იყო. უძირო, მძიმე, უმაძღარი, უკიდო რამ უკიანე მდინარეთ მნთქმელი.

2.

როდესაც მტკვარს ეს ვაჟი მოესწრო, თბილისში ჯერ ნარიყალას ნასახისა და კალაუბნის გარდა არა იყო რა. მშობლისაგან გაჭრილ სადინელში ვერ დაეტია. ვერის დასწვრივ გადმოხეთქა ხევის ნაპირი. წამოიღო საშინელმა მთლად არემარე. გაგლიჯა და გაიტანა ნიადაგი ტყით შემოსილი. კლდეს მოაწვა მარჯვნივ ჩამდევარს. გასჭრა ფართო წარსადინი ავანაანთ ხევის პირდაპირ. მის სიგრძეზედ დარჩა კუნძული ძველ მუხებით, კაკლებით თუ ჭანდრებით დასახლებული. გარეთუბნის კუნძულიო, იტყოდა ხალხი.

ახალ ტოტის ნაპირებზედ, კალაუბნის კედლის გარედან, ბინადრობდნენ წყალწაღებულნი. ამ ბეჩავს ხალხს კეთილმყოლფელად მოევლინა მტკვრის იგი ტოტი: ზედ ძიტანა წყალი მოწყალე. ქოხებისთვის, ბოსტნებსითვის საშიშ არ იყო: კლდოვანი კიდე თანისთანად შემალლებული იფარავდა ვაჟკაცის განრისხებიდან.

— გახელებიდან?

— გაცოფებიდან! კარგი იყო კეთილის მყოფი, მაინც ხანდისხან ღელდებოდა მეტად საზარად: ღრიალებდა, ბღღუინავდა წყალი; ავსებდა ხევს აზვირთებული; ეხეთქებოდა დედამიწას, ანძრევ-არყევდა. ღმერთო ჩემო, რა არ მოჰქონდა! სახლის ავეჯი, პირუტყვები მოტაცებული, ჭალაში სადმე მოგლეჯილი მთელი ხეები. მისდა შენაწირ კაცის გვამსაც ჩამოავლევდა.

— ხშირად იცოდა დაზეზება თავის აშვება?

— მოსწონდა სმა მთათა ნაჟურის; ხშირად იყო ამის გამო იგი ზარხოშად. მისთანა დროს ცეკვა უყვარდა, ხტომა, ტრიალი, ზოგჯერ კი... ეწაფებოდა მეტად ხარბად მთათ წინწანაქარს. წამოვიდოდა ბარისაგან გრიალ-ღრიალით. ბედნიერი გაასწრობდა, განერებოდა. უბედური მოჰყვებოდა მის გაშლილ მკლავში და...

— მორიდება თუ უნდოდა შმაგად დამთვრალსა.

— დიდი სიფრთხილე! დანარჩენ დროს ზრუნავდა სულ სასიკეთოდ ნათელის შვილი: წყალი, თევზი, შეშა, საკმაო; დიდ სიცხეებში საბანაო, საგრილებელი; რეცხვა თუ ხეხვა; ეზო-ყურის, ბალჩების მორწყვა. და ათასი სხვა სასიკეთო მოსდევდა ქველსა.

— კარგი ყოფილა!

— ღარიბ სახლთან მეგობარი, მათ სულის მდგმელი

3.

მიწურებმა, წნულ ქოხებმა, ფიცრულებმა ნელინელა დაიწიეს მდინარისაკენ. მწკრივდებოდენ იმის ნაპირზედ. ახლო ყოფნა სასიკეთოდ ედებოდა დღიურ ცხოვრებას. წისქვილიც კი გაიმართა უბნის უნარით. ყელღერებით იყო ახლა გარეთუბანი: ურეცხავდა მდინარე ხორბალს; მისსავ ნაპირს აშრობ-ახმობდნენ; იგივ მოკეთე იქვე ახლო უფქვავდა საფქვავს.

უდარები მეგობარი ბალღებისათვის! ჭყუპალაობა, ცურაობა თხელ ადგილებში. უკეთესი მომცურავნი იზრდებოდნენ. ნავებიც კი გაიჩინეს შნოიანებმა.

— ხალხისთვის ამაგდარი ყოფილა იგი.

— უანგარო მაინც არ იყო: შიგადაშიგ მსხვერპლს თხოულობდა. ჩაიხვევდა დიდ გამბედავს თუ მეტად თავხედს, შეიწირავდა. გარეთუბანს აატირებდა.

— ძნელი სჩვევია!

— ბუნებრივად მიაჩნდათ მაინც: დიდ სიკეთისთვის შეჰშვენოდა მადლის გადახდა; საჭიროც იყო, მოკრძალება არ დაჰკარგოდათ.

ჰაზრიან კაცს დაეკრა ბარი თბილისის ჩასასახად. მარჯვე ადგილი აღმოჩნდა: მეტად ბევრ ხალს იზიდავდა, განზედ იწევდა. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. შეიკრიფა, შეიერთა ახლო სოფლები: ხარფუჭი, მდულარეთი, წინანაური, კრწანისი, ისნი, ჩულურეთი. კუკია, ვერა, მთაწმინდა. გაიზარდა. გადაიქმნა ქალაქი ქალაქად. ალარ იტყოდი თბილისი; იტყოდი: ქალაქი. ყველამ იცოდა რაზედ ამბობდი. ჩაიჩრდილნენ სხვა ქალაქები. მხოლოდ კერძო თვის სახელით იხსენებოდნენ.

შიგნით მოექცა გარეთუბანიც. შერჩა მაინც ძველი სახელი. სცადეს გამოცვლა. დაარქვეს ახლა ვარდისუბანი: ვარდის სიმრავლით ამაყობდნენ გარეთუბნის ბალჩა-ბაღები. ამაოდ სცადეს: მაინც ისევ გარეთუბნად იხსენებოდა.

— დიდი გარჯა დაგვჭირდება კალაუბნელებს: გაგარეთუბანი მოდის საკრივოდ.

— მძიმე მუშტი აქვსთ.

— მძლავრად უსვამენ კრივში მკლავებს ბალღობიდან ბანაობას შეჩვეულები.

ჩაირაზმნენ მდინარის პირს მძიმე სახლებიც. ბურჯები თუ საძირკველი უშლელ დუღაბის. ზედ ქვითკირი სართულებად შემაღლებული. გადაეშვნენ აივნები თვით მდინარეზედ. გაბრძანდებოდნენ მზის დახრის ხანს, ჩაის მიირთმევდნენ; მასლაათსაც შეექცეოდნენ. აგრილებდათ დასიცხულებს მდინარის სიო.

4.

მერმე, დროთა მსვლელობის შემდეგ, მტკვრის ამ შვილმა დაიმსახურა დაბრძნობილი კაცის სახელი, კეთილ-

მოქმედად მოვლენილთ ვაჟკაცის ქება. დინჯად დიოდა ფართოდ გაჭრილ თვის სადინელში. მის ნაპირის მრთელი სიგრძე მჭიდროდ იყო დასახლებული. სარჩოს სიუხვე დასტყობოდა აქ კაცთ სადგურებს: ფერადფერადი საღებავით ჩახატული სასახლეები; მათ თავსაკრავად მოხდენილი დაბიერები; ჩუქურთმიანი აივნები ხარატებული; ფრთიან გველებად მოხდენილი წვიმის მილები; კარდ კამარანი შემკობილნი ქანდაკებებით. მიწურ სწორ ბანებს ჰნაცვლებოდა ლითონის ფურცლით დახურული სახურავები.

ჩარაზმული შენობები ზოგ ადგილას განს გამდგარიყვნენ, რომ გაეშვათ ჩასავალი მდინარისაკენ. გარეთუბნის დიდ კუნძულსაც სახე ეცვალა: ჭალა უკვე მთლად გაფილი; აქა-იქ ღა დარჩენილი ხეები ობლად. საქარხნო შენობებში ერთ ორ ადგილას.

ამ დროს არგუნა პატივცემა გარეთუბნის მდინარეებს ბედმა:

საქართველოს მყინვარეთის კეისარი დაუფლებოდა. ჩვენ მეფეების მოადგილედ მოეგზავნა თავისი კაცი. იჯდა თბილისში. მედიდურად განაგებდა მთელს კავკასიონს. ისწრაფიდა თვის სახელის ამაღლებას ქართველთა შორის. შუქიანად მოქმედობდა დაპყრობილ ხალხში. განიზრახა მკვიდრი ხიდის მტკვარზედ გადება.

ნუგზარის ხიდი დამპალიყო, დამტვრეულიყო. ირყეოდა მის ბურჯებზედ მუხრანიანთ რაღაც ბოგირი. გაზრდილ ქალაქს ეს სავალი აღარც ჰყოფნიდა. გარეთუბნიდან კუკიამდინ გადაჭიმა წყვილი ხიდი ფასდაუდები და... პატივცემა უალრესი მტკვრის შვილისადმი: თვით მტკვარზედ ისეთივე ხიდი გააგო, როგორც მის ტოტზედ.

— კეისართ მოადგილემ სცნო: ჩვენი მდინარე ისეთივე საფრთხილოა, როგორც თვით მტკვარი! წარიტყოდნენ თავმოყვარე გარეთუბნელნი.

დიოდა ხალხი ახალ ხიდზედ, ამშენებელს მადლობას ზღვნიდა. მაინც ყველაზედ თავმომწონედ გადიოდნენ გარეთუბნელნი. გადახრილნი მკვიდრ მოაჯირზედ დიდ სიამით დაჰმზერდნენ წყალსა, მის კიდეზედ ტურფად რაზმულ გარეთუბანსა.

— ქალაქია და ქალაქი! რით გაირჩევა სხვა უქნებიდან, თუნდა თითონ დიდ სასახლის მდიდარ ქუჩიდან?!

— სულაც არაფრით! დიდკაცებსაც მოეწონათ, აქ შენდებიან.

5.

გარეთუბნის შენობათ შორის სიმშვენიერით ირჩეოდა ბუჩქაძის სახლი: მკვიდრი, დამტევი, მოხდენილი; თითქო მწყაზარი.

— ვიცი! ორსართულიანი შენ...

— სამიანი!

— ორიანი! შიგა ვყოფ....

— მაშ დუღაბით ამოტანილ სარდაფს არ რად სთვლი?!

მარტო წინგარდი ღირდა ერთ სახლად. მძლე რკინებზედ დაყრდნობილი თვითც ლითონისა; ხარატებული; მდინარეზედ გარდაშვებული.

— მისი პატრონი ფულს არა ზოგდა.

— იმისთვის ჩეჩქია ფული: მის სოვდაგრობას სტამბულამდის მიუღწევია.

— ვისც მისცემს ღმერთი, ზედ დააბერტყს სიუხვის კალთას.

მისი ოჯახი: ცოლი, ვაჟები, ქალი, დაფინე.

— კოკორშივე დაიფინა სიმშვენივრის ხმა.

— გულითაც კარგი: არ ჰშორდება სიმდიდრეშიც ლარიბ ტოლ-სწორთა.

ქალისთვის ოქროს კეთილშობილთ სასწავლებლის კარი შეეღო. იქაც მოსწონდათ კოხტა ბალი სანდომიანი. ლამაზ გოგონას სამკაული მაინც თმა იყო: თავზედ ველარ ეტეოდა ტევრებად შლილი. დაგრუზული ნაკადებად გადმოდიოდა; აბრეშუმად ბოლის ყელზედ ეფინებოდა.

— ვაჰ, საყვარელო! მთელი სახე ჩაიმალვის მის თმათა ძნაში, იტყოდა უშანგ მის ეშხით აღტაცებული.

და თრთოდა ნდომით ყმაწვილ კაცი, გარეთუბნელ სალომეს შვილი. მისი დედა ქალ-ვაჟსა ზრდიდა. ამისთანა ამირანად შექმნილიყო ქვრივ-ოხრობაში. სკოლების გამ-

გეს პურს უცხობდა, საოეცხს ურეცხდა. მან გაუღო იმის უშანგს სკოლის კარები. ნიჭი შეაჩნდა. აქაური დიდი შკოლა დაამთავრა ოცდაოდ წლისამ. ხელს აშველებდა ქვრივ სალომეს დიდკაცის ცოლიც. ბეწვიანი მანდილოსანი. გახსოვს: სალომეს ხელოვნებამდინ მიეტანა პირის გამოქვნა...

— ახ, არ ვიცი, რასა ჰქვიან პირის კეთება?!... ალარ მისდევენ. მაშინ ქალისთვის იყო იგი აუცილებელი. ჩაუჯდებოდა ცალ მუხლზედ მდგარი. აბრეშუმის ძაფი თითებზედ. ერთი წვერი კბილით ეჭირა. წამლად გეძებნა, ერთს ბეწვს ველარ იპოვიდი პირისახეზედ.

პატარაობისას დაფინე, უშანგ უბნის ბალღები, ითამაშებდნენ, იცელქებნენ, ამბებს იტყოდნენ. აწ უშანგ უკვე სამსახურში განწესებული. დაფინემაც დაათავა ოთხივე კლასი. ალარ სჭიროდა სალომესაც ძნელი რამ გასჯა.

— მაინც კიდევ არ ისვენებს შრომას ნაჩვევი.

— მსუბუქ საქმეზედ იარება დიდ ოჯახებში.

— ბუჩქაძიანი თურმე თითონ ხშირად უხმობენ.

— ერთგული არის, ცამდინ ალალი.

6.

კარგად შემაღლდა ბუჩქაძიანთ ქალი დაფინე. -კარდაფურჩქვნის ჟამთა ღიმმა გაუჭო ბაგე. ციმციმებდა შის სახეზედ ახალნარჩულ სიხარულის სხივი ნათელი. სიტყვამ, ქმედობამ მოძრაობამ დაკარგეს უკვე კუთხვილთ ხაზი დაუკვერცხავი. მოლხვა, მორბილდა, ცისარტყელის გრკალის ნაკვეთი. შედგა ფეხი ქალურ გრძნობათ სამღერ ჰასაკში.

— სკოლამაც თავისი იერი დასდო: მისი ქცევა, სიტყვის ნაქვთები ფიქრისაგან ფარგალმოსმულნი.

— დროც უკვე უთხრობს: კარგად შეღერდა. აგრძნობინა ალლომ, უფერი და იქნებოდა ქცევა ბალღური.

თვით ბუნება აარშიყებს მაგ ხანში ქალსა.

და მოსასთვლელად მომზადებულს იქვე ალხო ალმოუჩნდა გატაცებით მოტრფიალე ნათელი სახე: სალომეს ვაჟი უშანგ ჭაბუკი... დღიურ ცხოვრების თვალსაზრისით მთლად შეუფერი:

ერთი მდიდარი, მეორე კი მთლად ღარიბი, სულ ოქონელი; ერთი ზრდილი ფუფუნებით ზღაპრულ ყოფაში, მეორე კი სხვის ხელთ შემყურე, გლახაკურად ცხოვრების შვილი; ერთი უფრო დიდ დიდებს მსახოებელი, ხოლო მეორე კარგ შემთხვევით რაღაც მოხელე.

— რა უნდა ჰქონდეთ, გენაცვალეთ, იმათ საერთო?! ერთი ვარსკვლავს ეთამაშება, მეორე კი ძირსვე ხოხავს ისევ მიწაში.

— თავხედობაა უშანგისგან თვით ფიქრიც კი ბუჩქაძის ქალზედ!

— ნურც ეგრე კი გააზვიადებთ! გარეთუბანს კიდევ ახსოვს მათ წინაპართ ძნელი ცხოვრება.

— ხონჩით ჰალვა დაჰქონდათ, იმასა ჰყიდდა.

— არც თავადია, არც აზნაური.

— დიდი, მდიდარი, მთელ ქალაქში ცნობილი კაცი.

— ადამიანი დოვლათით ფასობს.

— საცოდავ უშანგს ალბად თავი ვინმე ჰგონია.

— ბუჩქაძიანთ დაფინე და სალომეს რცალი!

უშანგს ესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ... ახალგაზრდა ოცნებით მეტად მდიდარი. იმ ღამაზ ხანში, რომს შესაძლოა, შეიყვარო ცაში კვიმატი, ხელს უსვამდე შენ ეზოდან მის თმას სხივოსანს. ვაჟკაცს ტურფა შეუყვარდა თვის უნებლიეთ. ულონო იყო ამ ტროფიალის წინ. არც ამ გრძნობის აღტყინებამ ჰკითხა მას რამე, არც ხელთა ჰქონდა მისი ჩაქრობა. შექმნილიყო სამარადოდ მონად იმ მზისა; სასოებით თაყვანს სცემდა კეთილმორწმუნე.

სალომე კი ძნელ ამბავზე კრინტს არა სძრავდა. არც იმის ვაჟი ამხელდა სადმე თავის გულისთქმასა. მაგრამ გრძნობა ნათელი იყო, თავისთავად შუქსა ჰფენდა თვის გარშემო. ყველა ჰხედავდა. ბევრი სძრახდა. გულკეთილებს ებრალებოდათ.

7.

გაამრავლეს მითქმამოთქმა გარეთუბანში. გაამწარა ქალის დედა მათმა განგაშმა.

— ვილაც ლატაკ სალომეს შვილი ნანინანატრ დაფი-ნეზედ ჰბედავს და ფიქრობს?! ავ ცხვირს არ დასცემს...

— დეე იფიქროს! მეოცნებეა ახალგაზრდობა: მაგალ ხანში სინამდვილე ზღაპარი არის, საარაკო რამ ამბავი სინამდვილეა, დარწმუნდება, მისი ფიქრი უნაყოფოა.

— მიუგდიათ მოხელეობა, თავის თავი ვინმე ჰგონია!

— ნუ სჯავრობ, ქალო! რად ლანძღავ იმ ბიჭს? რომ დაფინე მოსწონებია, ბუნებრივია: ლამაზია, ნასწავლი და თანაც მდიდარი. ყველასაც მოსწონს. მის თაყვანცემა ვერ იქნება საზიანო ჩვენ ქალისათვის. ჯერ ხომ არც კი უთ-ხოვნია, არა უთქვამს რა.

— ეგ ლა მაკლია, მომიგზავნოს მაჭანკალი ან თვით კაბედოს...

— ნურც კი ვისმე აგრძნობინებ, რომ შენამდინ მოახ-წია მაგ მითქმამოთქმამ. ნურც სალომეს შესამჩნევად გაა-ნაპირებ.

ჩუმად იყო სოვდაგრის ცოლი. ახში მაინც აგრძნობინა უსიამობა: იშვიათ ლა უძახდა მას საქმისათვის, სხვას უბ-რძანებდა. პირის საკეთად სალომესვე მოუწოდებდა: მთე-ლი უბანში იმისთანა არავინ იყო. ქალბატონი ცოტას იტ-ყოდა. სალომე მხოლოდ მუშაობდა. რა ვუყოთ რომ ლა-რიბი იყო?! სიამაყე იმასაც ჰქონდა.

ქალი... იცოდა იმან, უშანგი იყო მისი ტრფიალი. არა სწყინდა. კიდეც მოსწონდა, რომ ვაჟკაცი თავს ევლებოდა: ნიშანი იყო ეს მისი ძალის. არც უარს ჰყოფდა მისი გრძნო-ბა დიდიხნის ნაცნობს: თვალად, ტანად, კარგი სულით სხვებს იგი სჯობდა. ლარიბი იყო. სად იყო ახლა იმოდენი ოქრო, ყველა სახლში ხვავად მდგარიყო?!

— კარგია უშანგი, მომწონს მე იგი. შეჩვეული ვარ. იმდღეს რომ შემხვდა და ცივად დავხვდი მთლად ჩაი-ფუფქა.

ქალის გული უარს არ ჰყოფდა. მის გონებამ კი იცო-და, უკეთესი ხვედრი ელოდა. რატომაო?! ტურფა, ნას-წავლი, დიდი მდიდარი. ეახლებოდა ერთ დღეს რაინდი, სიყვარულით შეიყვარებდა და...

ამ ყოფაში იყო ქალ-ვაჟი, როცა დადგა ქალის დღეობა, ბუჩქაძესთან ამ დღეს დიდი ზეიმ-ქეიფი. ღია იყო მათი კარი ქალის სწორთათვის. შესამჩნევი ხალხი რომ იყო, უბრალონიც ბევრნი ერივნენ. უშანგიც იყო. მისი დედა სტუმრობაში ჰშვეულოდა ოჯახს. მთელი სასახლე ჩირაღდნებული. ყველა ფანჯრები ჭალ-სანთლებით განათებული წყალის მხარე აივანი ტურფად მორთული. ფერადფერად ფანართ მწკრივები.

ვახშმის ლოდინში მღერა, ცეკვა, მუსაიფი; სიცილ-თქართქარი. შარბათები, ტკბილეულობა. ყვავილებად მორთულიყო ახალგაზრდობა.

8.

გახალისებულიყო უშანგ: იცინოდა, ცეკვავდა, ფრთიან სიტყვას მიმოაფრენდა. ჰაი ჰაი კარგ გუნებაზედ დადგებოდა: გვერდს ახლდა ვარსკვლავს დიდად მოლხენილს. სუფთად ეცვა. არ ირჩეოდა მდიდრებთა თუ დიდკაცთ შვილთაგან. ჰაზრიან თქმაში სხვა ვერ სჯობნიდა. თითონ დაფინეს უხაროდა გარეთუბნის ტოლ-სწორში ყოფნა. უბნის ქალები ჭაბუკ უშანგს არ შორდებოდნენ.

შეჯგუფდნენ ერთად. თამაშობა იყო ასეთი: წილსა ჰყრიდენ ახალახალ დავალებისათვის. შეხვდა უშანგს რაიმ ამბის თქმა. შეშოეხვივნენ. იქვე ახლო უჯდა დაფინე დაიწყო ვაჟმა:

— ....დიდი მდინარე მოქანობდა სასახლის გვერდით. ხომალდებიც დადიოდნენ უზარმაზარზედ. ამ მდინარის პირს ერთხელ ყოველ წელს მოხდებოდა საშინელება. დღე არ იყო აღნიშნული, მკვეთრად გათვლილი; მხოლოდ იცოდნენ, მოვიდოდა უბედურება...

— რა უბედობა?

— ჩქარა სთქვი რაღა!

— სთქვი, გენაცვალე, რა ხიფათი მოუვიდოდათ! სთხოვა დაფინემ.

და თვალები ჩაანათა ჭაბუკს შიგ სულში.

— ლალამების ხანს ცამოწმეხლილზედ ის მდინარე აზვირთდებოდა; თავის ქერქში ვერ ეტეოდა, კიდეებზედ მიინთქროდა: მის სადინელს მლად იჭერდა გველეშაპი უზარმაზარი. მოცურავდა იგრაგნებოდა. ხანდახან თავს აიღებდა, ცეცხლის თვალებს აბრიალებდა. ალსა ფშვენდა აშკმულ პირიდან.

— უიმე!

— ახლო მოიწი, ქალო, მეშინის!

— სადაც იგი ყელს ასწევდა და შედგებოდა, მსხვერპლი უნდა გაეტაცნა იმ ოჯახიდან, ვერაფერი ვერ დაიხსნიდა: განწიროულთ ჩამნთქელისაგან თვით მიდიოდა და...

ძდინარეს ჩქეფა, წყალის ბუყბუყი.

— გველეშაპი ხომ არ მოცურავს?

— წამოდით, ვნახოთ!

— გაგვიყვა, უშანგ.

გამოვიდნენ აივანზედ, გადაეყუდნენ. გამდნარ ტყვიად მოდიოდა შრიალ-ხრიალით. ლიფლიფები მის სილრმიდან მოანათებდნენ.

— შესაზარია!

— წავიდეთ მალე! შესძახა ქალმა.

და მოჰკიდა უშანგს ხელი წამოსაყვანად.

— რად გამოსულხართ ამ დროს წინგარდზედ? დაფიანე, ქალო, შინ დაგეძებენ! დაჰკივლა დედამ

და დაჰკრა ჭაბუკს თვალთ ისარი განმახვებული. იგრძნო ყველამ უხერხულობა: სტუმარს ჭაბუკს აწყენინა დიასახლისმა...

სცადეს განგრძობა სიამოვნების. ველარ მოხერხდა სიხარულმა შეკუმშა ფრთები.

— ალარ ხალისობთ. დაიღალენით?

— გმადლობთ!

— დიდად ვისიამოვნეთ.

— უშანგ სად არის?

ვერ იპოვეს: წასულიყო შეუმჩნეველად. მისი დედაც გაჰშორებოდათ. დაიწყო დაშლა გართეთუბნის ახალგაზრდობამ. ველარ გასჭრა ველარც წვეამ ტკბილ დაფინესი.

ვახშამზედ ისხდნენ სალომეანი. შრომის სუფრა ეგოთ წინ. არ იყო ბევრი მათი ლუკმა, არც თუ რჩეული. ჩვეულებრივ ტკბილი იყო ოფლით ნაზავი. ეხლა სიტკბო დაჰკარგოდა იმათ პურობას: ზანტად სცოხნიდენ თავის ლუკმას ფიქრებულნი. როდი იყვნენ გუნებაზედ. წესს აყენებდნენ: უვახშმოდ ვერ დაწვებოდნენ, ეშმაკს არ გააცინებდნენ.

რა იყო, შვილო, რაზედ გაწყრნენ ბუჩქაძიანნი? — არაფერზედ! ჩემთვის ხმაც არ გაუციათ. დაფინე მედგა, წამოდიო, მეუბნებოდა. ეწყინა ეს დიასახლისს და დატუქსა ამხანაგებში. ცუდად შემხედა.

— თავს წავიდნენ. ცა ქუდათ არ მიაჩნიათ...

— დიდი ძალა უჭირავთ ხელში. ფული თანისთან სჯობნის ყველაფერს. კიდევ ცოტა და წაჰლექავს დიდკაცებსაც ოქროს მდინარე.

— არა! თავად-აზნაურობა კეთილშობილადვე დარჩება. ბუჩქაძიანი გლეხებათვე დარჩებიან, თუნდ ყელამდინ ოქროთ აივსონ.

— ფულს ფული მოაქვს. მაგათი ოქრო სარჩოს წაართმევს მთელ დიდკაცობას; დაამშევს იმათაც. ღარიბ კაცს ხომ აწც იმონებს და ანადგურებს.

— განათლება? ხელისუფლება?

— დაუმორჩილდებიან ქონებას. ამ გზით მიდის ჯერრეთ ცხოვრება. რითა გვჯობიან ბუჩქაძიანნი? მხოლოდ სიმდიდრით და, დახე, როგორ დაგვამდ...

— მეტისმეტად გვაწყენინეს, გაგვათახ....

— ნუღარ, დედიჯან! საბედისწეროდ შემიყვარდა მე მათი ქალი. იქნებ ჰგონიათ, მათ სიმდიდრეს ვეხარბებოდე. ნეტა ისე დაღარიბდნენ, კაბა მივართო... არა, არა! ვერ გაუძლებს სიღარიბეს განაზებული.

ამის შემდეგ ჭაბუკი შორს უვლიდა ქალს. თუმცა გული უკვდებოდა, სხვა გზა არ იყო. დაფინე კი სხვანაირად თურმე ფიქრობდა: შეხვდა განზრახ, მოუტკბილდა, ბოდიშს იხდიდა.

— ეჰ, ეს ყველა მის ზრდილობის შედეგი არი; იქნებ ჩემი შებრალებისაც. მე რად მინდა შეცოდება?! სიყვარულს ვეძებ!

მოშორდა ქალსა. შეუტრიგდა ყისმათს უბედოს. ერთობოდა უბნის ტოლ-სწორებში. ასწორებდა თვის ცხოვრებას ოჯახს შესძენდა. ახალი ბინა ხომრიელი და სანთიანი: აუმატეს შრომის საფასი. უფროდაუფრო შეი ახალგაზრდა. ნატრობდა ბევრი მის სიძეობას. თვითონაც უკვე ნდომის თვალით უყურებდა ყვავილად ზრდილებს.

გულში კი ისევ თავის დაფინეს შესტრფიალებდა ოცნებობდა, იმას ნატრობდა. სამსახურშიც მისი სახე ელანდებოდა.

— მკვლევარი ოგვდის. რომ მომიწონოს ნაკეთები და წარმატ... ეჰ, ვსთქვათ, მომიმატოს ცოტა ფული, ერთი მითხარი. რა არის ეს ბუჩქაძიანთ დიდ სიმდიდრესთან?!... რომ მომხედოს კარგმა ბედმა და გვერგოს ფული: ჩავეწერენით. არა, არა! ათასში ერთს ხვდება ილბალი. მაინც რა არის?! იმის მამას ოქროს ფხვნილი ბზესავით მოსდის... რომ მქონდეს ეხლა ერთი გუდა ბაჯალლოები... კარგი გეყოფა! შენ მხოლოდ ნატრობ, მათ უკვე უძევსთ თეთრით სავსე გუდა გუდაზედ.

ცუდსაც ფიქრობდა: ძიოს დაწევას დაფინეს სახლის, რაიმ მიზეზით განქარვებას მათ კეთილყოფის. არ მოსწონდა ესეთი ფიქრი, თავის თავსვე უწყრებოდა შავ ოცნებისთვის.

— დაწყნარდი, ბიჭო! სხვა მონახე დარი, ყადარი, ურჩევდა თავსა.

მაგრამ უბედურს კარგი რჩევა ვერარ ესმოდა. და დადიოდა ახალგაზრდა გულჩათხრობილი.

10.

დიდი ზამთარი იყო. ადრე აცივდა. დაიწყო თოვლი. ბოლომდისინ არ შეწყვეტილა. ნამქერები თოვლის ზვინები.

— ტყე ტოტებამდინ დაზვეპილა გაყინულ თოვლით.

— ველარ ეტევა მწვერვალებზედ თუ ფერდობებზეც; ზვავებად ცვივა. მეტისმეტი წყალდიდობა სალოდნელია, თუ უეცრად დაუდგა ლელი.

გვიან გაზაფხულდა. მზე შეუმჩნევლად ცის კამარას თავს მოჰქცეოდა გაზაფხულის თბილი წვიმა უწყვეტ ლვარებად. მყის გატყდა თოვლი, ჩაიზნიქა, მთლადაც გაცლილოვდა. ხევ-ლრანტებში ალიცლიცდნენ მქუხარ ლვარებად. აფუვდა მტკვარი. საათობით იზრდებოდა ძლიერდებოდა. გაიმართა ვაჟკაცურად მტკვრის ვაჟიშვილი: აიზვირთა, აიქოჩრა, აბობოქრდა.

— ავლაბრის ხიდებს მტკვარმა წყალი შეაჩქაფუნა.

— რომ მოვიდოდი, ორივე ხიდს ჯაჭვით აბამდნენ: საშიშია, გაიტაცებსო.

— წავიდეთ, ვნახოთ!

გარეთუბნის მტკვარიც ლელავდა. ხიდის ბურჯებს თავამდისინ ზვირთებს უწევდა. ასწვდა ფანჯარებს, სარდაფები წყალით გაავსო. მთელი ხალხი მტკვრის სამზერად გადმომდგარიყო მდინარის პირას მოსულიყო გარეთუბანი. ზოგი სეირს უყურებდა, სხვა მუშაობდა. რთველი იყო ლარიბ ხალხისთვის: მათთვის წყალი ზამთრის შეშას ეზიდებოდა. ტივის ხეები, მთელი ნერგები, კუნძები თუ ნალეწი ტოტი. ათამაშებდა მოტაცებულ ხე-ტყის სიმრავლეს. იჭერდნენ ხეებს, იქვე ჰკაფავდნენ; გაჰქონდათ ცალკე: გაიყოფდა მერმე ძმურად ყველა მშრომელი.

მუშაკთა შორის პირველობდა უშანგ ჭაბუკი. დაჰვიწყებოდა მტკვრის პირს გაზრდილს სამსახური, მოვალეობა. ფეხშიშველა, მუხლებამდის კარწახებული. მლელვარე წყალში. გრძელი თოკით კავს ესროდა, ნარიყს იჭერდა. მთელი ხროვა წვრილფეხობის ზურგს უმაგრებდა: ჰკაფავდნენ, სჭრიდნენ, ათრევდნენ მაღლა.

— ტივის ხეები აქვე დააბით: ჯერ იმისთვის ვისა სცალიან?!

— დაასხიპეს ტოტები ამ ხეს, გადაათრიეთ: გზა ჩაგვიხერგა.

ბუჩქაძიან აივანზედ გადმომდგარიყვნენ. იქვე დაფინეც ჭრელ კაბაში გამოწყობილი. ჩაშლილი თმები წითელ ბაბთით ძნად შეკონილი.

— გაფრთხილდი, უშანგ! ჰხედავ ტალლა მალლა იწკეს: არ ჩაგითრიოს.

— რას დააკლებს, თუნდ ჩაიტანოს?! კალმახივით დაცურავს კაცი.

— წყალი, ვიცი არ აშინებს, მაინც ძნელია: ხეებს აქანებს; შეიძლება, დააჯახოს, დააზარალებს.

გაბედულად იბრძოდა ვაჟი, თითქოს თავხედად: თვითყვარებას გაეტაცნა მთელი ხალხის თვალთ წინ. ახლა დაფინე.....

დაჰკიოდა შვილს სალომე, უჯავრდებოდა. ვის-ლა ესმოდა?! იყვნენ იქვე სხვა ჭაბუკნიც, ებრძოდნენ წყალსა. უშანგის გვერდზედ იჩრდილოდა იმათი სახე.

— ფრთხილად, უშანგი: მეტად ცოფდება.

— ერთიც ვნახოთ, მოითხოვა თავისი მსხვერპლი.

— რას ამბობ, კაცო?!

— ჯვარი სწერია!

11

— ვაიმე!... კივილი მკვეთრი გამოისმა ბუჩქაძიანთაგან და მოჰყვა ზედ განწირული რამ ლრიალი შეუწყვეტელი. არეულობა, მზერა. სირბილი.

— დაფინე წყალში!...

— შეეშველენით!

— ჰარიქათ; ბიჭო!

შეძრწუნდა უშანგ. დაინახა რალაც ჭრელად ზვირთთა ტრიალში. იძრო პერანგი. გადაეშვა გიჟ მდინარეში.

— უშანგ! უშანგი!.... გაჰკიოდა დედა სალომე.

შეკრა ვაჟმა ყაინარი და წავიდა ტრიალ-ბზრიალით. გადაბრუნდა, მკლავნი გაშალნა. ებრძოდა შმაგს ბუმბერაზი ნათელთა შვილი. მიდიოდა, მიაპობდა, მიისწრაფოდა. გაჩნდა ძნელ ადგილას. ჩაახეთქა ზვირთმა ქალი, ზედ გადუარა.

— ეჰე, დასძირა!
— დააყურყუმა!
— ჩაითრია თვისი მსხვერპლი გაცოფებულმა...
— დახეთ, ისევ ამოისროლა!

აღქაფებულ ზვირთ: ფაფარზედ გამოჩნდა გვამი. მძლავრი მოსმა მიმცურავისა. დასწვდა კბილით ქალის ქოჩორს წყალზედ გაფენილს.

— ორივე ჩანთქა!
— საცოდავები....

იქვე ქვეით ისევ ამოჩნდნენ. ქვეშ მოჰქცეოდა. მხართ უკან მარცხნივ გადაეგდო წყალწალებული.

— ორივ ხელი თავისუფალი!
— თმებით უჭირავს!
— ყოჩაღ, ვაჟკაცო!

მის ქმედობას აზრი შეაჩნდა: ყოველივე მოძრაობა კარგად გათვლილი. ქეშად წავიდა: უმიზნებდა სახლებ ქვეით ღია ჩასავალს.

— ღმერთო უშველე!
— ღმერთო უშველე!
— მიაღწევს ნაპირს!
— ვაჰ, უბედურნო!

მომსხვრეულ წიფელს დიდ სისწრაფით მიაქანებდა. ჯანჯღლიან ხეს შუბებივით გაეწოდნა ღეროს ძარღვები. უმიზნებდა ვაჟკაცს მიმცურავს.

— დაჰგლეჯს, დაჰფლეთავს!

ჭაბუკს უკვე შეენიშნა ეს განსაცდელი. გეზი შეცვალა. იბრუნა პირი წამოსულ ხისკენ. მოჰკრა მარჯვენა ტოტებმა და გაუშხაპუნეს.

— მიაღწია! მიაღწია!
— მივიდა ნაპირს.

დაჰკრა ფეხი მკვიდრ ნიადაგს, ზე აიმართა. გადასცა ტვირთი. ერთს მეყს შეფერხდა.

— ჯერ ცოცხალია!
— ცირს არ დაუშვათ!
— დაჰკიდეთ თავქვე!

სანატრელ ხმებს ჰკრეფდა სმენა ვაჟკაცისა. ხმელს არ გავიდა. შეჰყვა მდინარეს. ხან კედელკედელ მიდიოდა, ხან მიცურავდა. დასწყნარებოდა ვაჟს შმაგი წყალი: დამძლევ ბუმბერაზს ჰკოცნიდა ეხლა. პირისპირი შეჭიდება ძმობით გათავდა.

გააღწია უშანგ თვის ადგილას. მოეჭდო დედა.

— რომ მლუპავდი, რასა ჰფიქრობდი?!

— წადი, დედიჯან, მიეშველე ჩქარა დაფინეს!

სწრაფად ჩაიცვა. გავიდა სახლით. ალმა ჰქნა პირი. მიისწრაფოდა.

— ექიმთან მირბის.

— უშანგ, უშანგი! მოიყვანეს უკვე ექიმი.

— ალარ რა უჭირს!...

12.

გაიტაცა ვაჟკაცი სულმა მლელვარემ. დაჰკვლია გზა მთაწმინდისაკენ. მიისწრაფოდა. გულში ალარ ეტეოდა მას სიხარული: ნათელ ქულად შეკუმშვილი სუნთქვას ართმევდა. უნდოდა ეთქვა, ვერ რას იტყოდა: ვერ თავსდებოდა სიტყვის კანში მის შენაგრძნობი. ავიდა მაღლა. ხარხარებდა დახელთილი, ხტოდა, ცეკვავდა. ზევიდან ლოდებს აგორებდა, სალებს სტყორცნიდა. როგორც — იყო დაითოკა თავისი თავი.

მზე ჩადიოდა, როცა გამოჩნდა. გადაეგება მედუქნე კაკულ. ხელადით ღვინო. თეფშზედ ჭიქები.

— დადექი, უშანგ!

— გმადლობ, კაკული!

— აიღე, ძმაო!... ეს იმ ვაჟკაცის სადღეგრძელო, სხვის გულისათვის თავს რომ გასწირავს!...

— აგერ უშანგი!

მიეგებნენ. ულოცავდნენ. წამოიყვანეს. ჰკოცნიდა ყველა.

— რამდენს გეძებდით!

შევიდნენ, დასხდნენ.

— მოდიან! მოდიან!

— აგერ, შვილო, ბუჩქაძიანი!

— შენი დაფინე!

მკლავგაყრილი დედას მოჰყვებოდა. მამა ცოლ-შვილს წინ მოუძღოდა.

— უშანგო, შვილო! შენითა ვართ დღეს ცოცხალნი და ბედნიერნი, მიჰმართა კაცმა.

და მოეხვია.

— მოდი, შვილო, გადაგკოცნო, ჩემო სიცოცხლე! სიკვდილს პირიდან წაჰგლიჯე საწყალი ქალი.

მოეხვია, გადაჰკოცნა, ვით შვილი ტკბილი.

— აი, შვილო საყვარელო, შენი დაფინე!

შივიდა ქალი, თითონ აკოცა. გადაეჭვდნენ სატურფალნი, ვით სუროები.

— ახ, შენ არ იცი, რა ნიშნობა გაგვიმართეს გარეთუბნელებს.

უვიწყარი სხვაც ამბები მტკვრის ვაჟის გრძელ ცხოვრებაში და... მიცვლილიყო ტურფა მდინარე! ძალოვანი მდინარეც კი სიკვდილის შვილი?! იქნება მთანიც, მტკიცე კლდენიც სიკვდილს ელიან?!

— ოლონდაც!

— ქვეყანაზედ ყოველივე სიკვდილს ჰმორჩილებს?

— თითონ ქვეყანაც!

— თვით სამყაროც მოსპობას ელის?

— მიცვალებას ჟამთ დასასრულში.

— და აღარც დარჩეს არა რაი ღვთის ქმნილებიდან?

— ყოველივე მიიცვალოს და ისევ იშვას!

— მოკვდეს და აღსდგეს?!

— მიიცვალოს და კვლავ განახლდეს თანისთანად ნათელქმნილი, სიკეთით სავსე.

— და როდემდისინ?

— სამუდამოდ მოსპობამდინ ბნელ-ბოროტისა...

კარგ რასმე იტყოდა ხმა იდუმალი. მაინც გული მიჭკნებოდა აწმყოის მზერით: მტკვრის ვაჟის საფლავს დავყურებდი ვერანებულსა. წუმპეებად გაბნეული მწვირთა ნაჟური. ლორთ სანავარდო. ლორლო, ნაგავი, ბინძურობა. სიმყრალე ძნელი...

დამძლია სევდამ, გამარინდა; შებინდდა ცნობა:
.....მტკვარი ძლიერი. ურემთ სიმრავლე დატვირთული ნასუქი მიწით. აივსო ხევი. მუშაკები გრძელ ფოცხებით, ბარით, თოხებით. ჰკვალავდნენ, სთესდნენ, რგავდნენ თუ რწყავდნენ. გარეშემო მწკრივდებოდნენ ალვის ხეები. ძვირფას ხეხილით, ყვავილნარით აივსებოდა. თალარები, ტკეცილი გზები. იღიმებოდნენ ყვავილები, იფურჩქნებოდნენ... ეს ანანოა ჩვილ გულიანი. აგერ ნანინო თმა დაგრუზული. მანანო არის მეტად მკაცრი მაინც სანდომი. ლიზა, ლიზიკო! ელმეცრივ მიმზერს. ნაძვი ძლიერი, სასომწყაზარი: დაფინე, უშანგ, სიყვარულით უმზერენ ერთურთს, უალერსებენ.

—:—

იტალიური ქრონიკები.

2. პავლე მეოთხის ქრონიკა.

თარგმანი ფრანგულიდან გ ე რ ო ნ ტ ი ქ ი ქ ო ძ ი ს ა.

თუმცა ჯიოვანი პიეტრო კარაფა უკეთილშობილეს ოჯახს ეკუთვნოდა ნეაპოლის სამეფოში, მაგრამ ისეთი ფიცხი, ტლანქი და მოუხეშავი იყო, რომ ადამიანს მეჯოგე ეგონებოდა. სრულიათ ახალგაზრდა იყო, როცა ანაფორა ჩაიცვა და რომში წავიდა, სადაც მას დახმარება გაუწია მისმა ბიძაშვილმა — კარდინალმა და ნეაპოლის არქიეპისკოპოსმა ოლივერო კარაფამ. ალექსანდრე VI, ამ დიდმა, ყოვლის მცოდნე და ყოვლის შემძლე ადამიანმა, თავის დარბაზის ყრმათ გახადა; იულიუს II ჩიეტის არქიეპისკოპოსათ აკურთხა; პაპმა პავლემ კარდინალის ხარისხი მიანიჭა, ხოლო ბოლოს 1555 წლის 23 მაისს კარდინალების კრებაზე, სადაც მონაწილეებს შორის საშინელი ბრძოლა და კამათი ასტყდა, იგი პაპათ იქმნა არჩეული პავლე IV სახელით. მაშინ სამოცდათვრამეტი წლისა იყო. მაგრამ ახალი პატრონის სიმკაცრემა და მძაფრმა ღვთისმოსავობამ ჩქარა შეაშფოთა იგივე ადამიანები, რომელთაც მას წმინდა პეტრეს ტახტზე მოუწოდეს.

ამ მოულოდნელი არჩევანის ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია ნეაპოლსა და პალერმოში. ორიოდე დღის შემდეგ რომში გამოჩნდა მრავალი წევრი კარაფათა სახელოვანი გვარისა; ყველამ თანამდებობა მიიღო; მაგრამ პაპმა განსაკუთრებული წარჩინება მიანიჭა თავის ძმის, გრაფ მონტორიოს შვილებს.

უფროსი, დონ ჟუანი, უკვე ცოლიანი იყო, იგი პალიანოს დუკათ დაინიშნა. მისი სამფლობელო, რომელიც მარკო ანტონიო კოლონას წაართვეს, მრავალ სოფელსა და

დაბას შეიცავდა. მეორე ძმისწული მისი უწმინდესობისა დონ კარლოსი მალტის რაინდი და ომებში ნამყოფი მხედარი იყო; ის დაინიშნა კარდინალათ, ბოლონიის ლეგატათ და პირველ მინისტრათ. ეს ქედმალალი მამაკაცი იყო; თავისი გვარის ტრადიციების მიხედვით მან გაბედა სიძულვილი გამოეცხადებია უძლიერესი ხელმწიფისათვის ქვეყანაზე, ესპანიისა და ინდოეთის მეფისა — ფილიპე მეორესთვის. რაც შეეხება მესამე ძმას, დონ ანტონიო კარაფას, როგორც ცოლიანი პაპმა იგი მონტებელოს მარკიზათ დანიშნა. ბოლოს პავლე IV გადასწყვიტა თავისი ძმის ქალი მიეთხოვებინა საფრანგეთის ტახტის მემკვიდრისა, ჰანრი II ვაჟისთვის; პაპს განზრახვა ჰქონდა მისთვის მზითვათ მიეცა ნეაპოლის სამეფო, რომელიც ესპანიის მეფის, ფილიპე მეორისათვის უნდა წაერთმიათ. კარაფათა ოჯახს სძულდა ეს ძლიერი ხელმწიფე, რომელმაც ისარგებლა მათი შეცდომებით, და როგორც შემდეგ დაინახავთ, კიდეც მოსპო ისინი.

წმინდა პეტრეს ტახტზე, რომელიც ამ დროს უძლიერესი ტახტი იყო დედამიწაზე და თვით ესპანიის ბოლოვალე თვითმპყრობელსაც კი ჩრდილავდა, პავლე მეოთხემ, ისევე, როგორც მრავალმა მისმა მემკვიდრემ, სამაგალითო სათნოება გამოიჩინა. ეს იყო დიდი პაპი და დიდი წმინდანი; იგი სცდილობდა ბოროტმოქმედება მოესპო ეკლესიაში და ამ გზით გადაედო საეკლესიო კრება, რომლის მოწვევას ყოველი მხრიდან სთხოვდენ რომის სასახლეს; მაგრამ ამ უკანასკნელის ბრძნული პოლიტიკა იმ ხანათ კრების მოწვევას შეუძლებლად სთვლიდა.

იმ დროინდელი ჩვეულების მიხედვით, რომელიც დაიწყებულია ჩვენი თანამედროვეების მიერ, ხელმწიფე ადვილათ არ ენდობოდა ისეთ ხელისუფალთ, რომელთაც შეიძლებოდა საკუთარი ინტერესები ჰქონოდათ, განსხვავებული პატრონის ინტერესებისაგან: ამიტომ მისი უწმინდესობის სამფლობელოებს სამი მისი ძმისწული განაგებდა დესპოტურათ. კარდინალი პირველი მინისტრი იყო და თავის ბიძის ნებისყოფაზე დიდს გავლენას ახდენდა; პალიანოს დუკა წმინდა ეკლესიის ჯარის მხედართ მთავა-

რი იყო; ხოლო მარკიზი მონტებელლო, როგორც სასახლის დარაჯთა რაზმის უფროსი, არავის უშვებდა კარიბჭეზე გარდა სანდო პირებისა. მაგრამ ამ ყმაწვილმა კაცებმა იმ თავითვე დიდი ძალმომრეობა გამოიჩინეს; მათ დაიწყეს თავიანთი მოწინააღმდეგეების ქონების მითვისება. ხალხმა არ იცოდა ვისთვის მიემართა სამართალის მოსაპოებლათ. საფრთხე ელოდა არა მარტო მათ საკუთრებას, არამედ (საშინელებაა ამის თქმა უბიწო ლუკრეციის სამშობლოსათვის) მათი ცოლებისა და ქალიშვილების ღირსებასაც. დუკა პალიანო და მისი ძმები იტაცებდნენ ულამაზეს ქალებს: ამისთვის საკმაო იყო რომ ვინმე უბედური მათ მოსწონებოდა. ხალხი გაკვირვებული იყო როგორძნობდნენ სისხლის კეთილშობილების წინაშეც; კიდევ მეტი, მათ წმინდა მონასტერთა გალავანიც კი არ აჩერებდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს ვერ მოესაზრა ვისთვის შეეჩივლა, იმდენათ დიდი იყო შიში, რომელსაც ეს სამი ძმა იწვევდა ყოველ ადამიანში, ვინც საქმისათვის ან სათხოვნელათ პაპთან მიდიოდა; თვით ელჩებსაც კი თავხედათ ეჭცეოდნენ.

დუკამ თავისი ბიძის ამაღლებამდე შეირთო ვიოლანტე დეკარდონე, ესპანიიდან გადმოსახლებული ოჯახის ქალი, რომელიც ნეაპოლში უმაღლესი არისტოკრატიის წრეს ეკუთვნოდა.

ვიოლანტე სახელგანთქმული იყო იშვიათი სილამაზით, ჯადოქრობას იცენდა, როცა მამაკაცისათვის თავის მოწონება უნდოდა, მაგრამ განსაკუთრებით ცნობილი იყო უზომო გულზვიადობით. უნდა ითქვას, რომ მან დიდი სულგრძელობა გამოიჩინა სიკვდილის წინ, როცა არაფერში გამოუტყდა კაპუჩინელ ბერმონაზონს, რომელმაც აღსარება ათქმევინა. ზეპირათ იცოდა და დაუსრულებელი გრაციით კითხულობდა პოეტ არიოსტოს „გაშმაგებულ ორლანდოს“, ღვთაებრივი პეტრარკას სონეტებს, პეკორონეს მოთხრობებს და სხვ.. მაგრამ კიდევ უფრო მომხიბლავი იყო, როცა კეთილინებებდა და მოსაუბრეებს

თავის სულის სილრმიდან წარმოშობილ შთამაგონებელ იდეებს გადასცემდა.

მას ჰყავდა ვაჟი, რომელსაც დუკა დეკავის უწოდებდნენ. მისი ძმა ჭრაფი ფერანდო დალიფე რომში გადვიდა, სადაც სიძის წარჩინებულმა მდგომარეობამ მიიზიდა.

პალიანოს დუკას ბრწყინვალე ამალა ჰყავდა; ნეაპოლის და რომის კეთილშობილი ახალგაზრდობა სცდილობდა ამა ამალის მონაწილე გამხდარიყო. მაგრამ პატრონისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი იყო მარჩელო კაპეჩე, ახალგაზრდა ნეაპოლელი რაინდი, განთქმული თავისი გონებით და ღვთიური სილამაზით, რომელიც ზეცით ჰქონდა მინიჭებული.

ვიოლანტე პალიანოს უახლოესი მეგობარი იყო დიანე ბრანჩაკიო, ოცდაათი წლის ქალი, ახლობელი ნათესავი მისი მაზლის მარკიზ მონტებელოს მეუღლისა. რომში ლაპარაკობდნენ, რომ ამ თავის მეგობართან ქალბატონი ვიოლანტე არ იჩენს სიამაყეს, პირიქით ყველა თავის საიდუმლოებას ანდობსო. მაგრამ ეს საიდუმლოებანი ძალოდ პოლიტიკის დარგს შეეხებოდნენ; ვიოლანტე პალიანომ სხვებში იცოდა ვნებათა ღელვის გაღვივება, მაგრამ თვითონ არასოდეს არ ექვემდებარებოდა გულისთქმას.

კარდინალ კარაფას რჩევით პაპმა ომი გამოუცხადა ესპანიის მეფეს და საფრანგეთის მეფემ პაპს მაშველი ჯარი გამოუგზავნა დუკა გიზის ხელმძღვანელობით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პალიანოს სასახლის შინაურ ამბებს.

კაპეჩე ბოლო დროს გიჟივით იყო; ის ახირებულათ იქცეოდა: საბრალო ყმაწვილს გაშმაგებით შეუყვარდა თავისი პატრონის მეუღლე, მაგრამ ვერ ბედავდა გრძნობის გამხელას. მაინც საბოლოოდ იმედს არ ჰკარგავდა, რომ მიზანს მიაღწევდა, რადგან ქალი გაღიზიანებული იყო ქმრის წინააღმდეგ, რომელსაც ის ათვალწუნებული ჰყავდა. დუკა პალიანო ყოვლის შემძლებელი ადამიანი იყო რომში და ქალბატონმა ვიოლანტემ დაბეჯითებით იცოდა რომ თითქმის ყოველ დღე სილამაზით განთქმული რომაელი ქალები მის ქმართან დადიოდნენ საკუთარ სასახლეში, ეს კი მისთვის აუტანელი შეურაცყოფა იყო.

პავლე IV კაპელანებს შორის იყო ერთი პატივსაცემი სამღვდელო პირი, რომელთანაც მისი უწმინდესობა თავის კურთხევანს კითხულობდა. ამ პირმა თავგანწირულებისა ან შეიძლება ესპანიის ელჩის შთაგონების წყალობით ,,ბედა პაპისთვის გაემხილა მისი ძმისწულების ბოროტმოქმედებანი. ღვთისნიერი მღვდელთმთავარი ავად გახდა მწუხარების გამო; მას არ უნდოდა ნათქვამი დაეჯერებინა, მაგრამ ყოველი მხრიდან უტყუარ საბუთებს აწვდიდნენ 1559 წლის პირველ იანვარს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც დაადასტურა პაპის ეჭვები და შეიძლება გადამწყვეტი ნაბიჯი გადაადგმევინა კიდეც მის უწმინდესობას. ეს დღე ჩვენი მაცხოვრის წინადაცვეთის დღეა, ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაამძიმა ჩადენილი ბოროტმოქმედება სათნოებით აღსავსე მღვდელმთავრის თვალში. ანდრეა ლანფრანჩიმ, დუკა პალიანოს მდივანმა, დიდებული ვახშამი გაუმართა კარდინალ კარაფას, და რადგან სურდა, რომ ნაყოფიერებასთან ერთად ავხოცობაც სავსებით დაკმაყოფილებულიყო, მოიპატიჟა აგრეთვე ერთი მეტად ლამაზი, ცნობილი და მდიდარი მეძავი ქალი კეთილშობილი ქალაქი რომისა — მარტუჩია. ბედისწერამ ინება, რომ დუკას არჩეული აზნაური—კაპეჩე, რომელიც ფარულად ეტრფოდა მის მეუღლეს და ულამაზეს კაცათაც ითვლებოდა მსოფლიოს დედა ქალაქში, დაკავშირებული ყოფილიყო მარტუჩიასთან. ამ სალამოსაც, მან ქალს ძებნა დაუწყო ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ეგულებოდა. ვერსად ვერ იპოვა, მაგრამ გაიგო ლანფრანჩის ოჯახში ვახშამია გამართული, ეჭვი აიღო რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა და შუალამისას იქ მივიდა მრავალ რიცხოვანი შეიარაღებული რაზმის თანხლებით.

მოულოდნელ სტუმარს კარი გაუღეს და დღესასწაულზე მიიპატიჟეს; მაგრამ რამდენიმე ნაძალადევი სიტყვის შემდეგ მან მარტუჩიას ანიშნა ადექი და თან წამოყეო. სანამ ახალგაზრდა ქალი ყოყმანობდა და შეშფოთებული ელოდა, რომ რაღაც არასასიამოვნო უნდა მომხდარიყო, კაპეჩე ზეზე წამოდგა, მიუახლოვდა, ხელში ხელი ჩასჭიდა და ძალით გაყვანა დაუპირა. კარდინალი, რომლის პა-

ტივსაცემადაც მოსული იყო ეს ქალი, წინააღუდგა ახალგაზრდა რაინდს. მაგრამ კაპეჩე თავისას არ იშლიდა და ძალაზე იდგა. კარდინალს არ ეცვა მისი მალალი ხარისხის შესაფერი ტანისამოსი, მან მახვილი იშიშვლა და წინააღმდეგობა გაუწია ქალის გატაცების სურვილს იმ სიმტკიცითა და ვაჟკაცობით, რომელიც მთელს რომში იყო ცნობილი. ბრაზმორეულმა მარჩელომ თვისი შეიარაღებული მხლებლები შემოაყვანინა; მაგამ ისინი უმეტეს ნაწილად ნეაპოლელნი იყვნენ და როცა ჯერ დუკას მდივანი იცვნეს, ხოლო შემდეგ უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი კარდინალი, მახვილები ჩააგეს და მოჩხუბართა დაშოშმინებას შეეცადნენ.

ამ შეხლა-შემოხლის დროს მარტუჩიამ მოხერხებულათ ხელი გაინთავისუფლა, იდროვა და დარბაზიდან გაიპარა. მარჩელომ მისი წასვლა ჩქარა შეამჩნია და უკან დაედევნა თავისი რაზმითურთ.

ღამის წყვდიადი ნიადაგს იძლეოდა ყოველგვარი ჭორისთვის, მეორე დღეს დილით ქალაქში მხოლოდ კარდინალისა და მარჩელო კაპეჩეს შორის მომხდარ სისხლის მღვრელ შეტაკებაზე იყო ლაპარაკი. საეკლესიო ჯარის მხედართ მთავარმა დუკა პოლიანომ საქმის მდგომარეობა ბევრათ უფრო რთულად წარმოიდგინა, ვიდრე ნამდვილათ იყო და რადგან ცოტა არ იყოს მწყრალათ იყო თავის ძმასთან, იმავე ღამით დააჭერინა ლანფრანჩი, ხოლო მეორე დილით თვით მარჩელოც სატუსაღოში ჩასვა. შემდეგ გამოაშკარავდა, რომ შეტაკების დროს არავინ მომკვდარიყო და ამ ადამიანების დატუსაღება მხოლოდ აძლიერებდა სამარცხვინო ამბავს, რომელიც სავსებით კარდინალს ატყდებოდა თავს. დატუსაღებულნი საჩქაროთ გაანთავისუფლეს და სამი ძმის განუსაზღვრელი ხელმწიფების ძალა გაერთიანდა რათა მთელი ეს საქმე დამცხრალიყო. პირველათ იმედი ჰქონდათ, რომ ამას შესძლებდნენ; მაგრამ მესამე დღეს ამ ამბავმა პაპის ყურამდე მიაღწია. მან მოიხმო თავისი ორი ძმისწული და ესაუბრა ისე, როგორც შეეფერებოდა ასეთ სათნოებით სავსე და ღრმათ შეურაცყოფილ ხელმწიფეს.

ხუთ იანვარს, როცა კარდინალების უმრავლესობა კონგრეგაციაში შეიკრიბა, წმინდა პაპმა პირველმა წარმოსთქვა სიტყვა ამ საშინელი საქმის გამო; იგი შეეკითხა კარდინალებს, როგორ გაბედეს და ყოველივე მაშინვე არ აცნობეს:

— თქვენ სდუმდით! ეს სამარცხვინო ამბავი კი ბლავლავს იმ უზენაეს ღირსებას, რომლითაც თქვენ ხართ მოსილნი! კარდინალმა კარაფამ გაბედა საზოგადო ადგილას გამოჩენილიყო საერთო ტანსაცმელში გამოწყობილი, ამოწვდილი მახვილით ხელში. და რა მიზნით? რათა ხელთ ეგდო უსირცხვილო მეძავი ქალი.

ადვილი წარმოსადგენია რა სამარისებული დუმილი დამყარდებოდა კარისკაცებს შორის ამ სიტყვების გაგონებისთანვე. ოთხმოცი წლის მოხუცი ილაშქრებდა საყვარელი ძმისწულის წინააღმდეგ, რომელიც მანამდე მისი ნებისყოფის სრული ბატონ-პატრონი იყო. აღშფოთებულმა პაპმა მოითხოვა კარდინალის ქუდი ჩამოერთმია მისი ძმისწულისთვის.

პაპის მრისხანება კიდევ უფრო გაალვივა ტოსკანის გრანდუკას დესპანმა, რომელმაც შესჩივლა პირველ მინისტრ — კარდინალის მიერ ჩადენილი კადნიერი საქციელის გამო. კარდინალი, რომელიც გუშინ კიდევ ესოდენ ძლიერი იყო, მის უწმინდესობას წარუდგა ჩვეულებრივი სამუშაოს შესასრულებლათ. პაპმა ოთხს საათს მისალებს ოთახში გააჩერა ყველას დასანახათ, შემდეგ შეატყობინა რომ მილება არ მსურსო და შინ გაისტუმრა. შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორ შეილახა კარდინალ-მინისტრის უზომო თავმოყვარეობა. იგი გულდამწვარი იყო და არა მოდრეკილი; ფიქრობდა, რომ წლებით დატვირთული მოხუცი, თავისი ოჯახის მუდმივი სიყვარულით გამსჭვალული, ნაკლებ შეჩვეული ამ ქვეყნიერი საქმეებისთვის ზრუნვას, იძულებული გახდებოდა ხელახლა მისი ძალლონისა და გამჭრიახობისთვის მიემართა. მაგრამ წმინდა პაპის სულში სათნოებამ გაიმარჯვა; მან მოიწვია კარდინალები, დიდხანს უსიტყვოთ უცქირა მათ, ბოლოს ცხა-

ერ ცრემლით ატირდა: შემდეგ უყოყმანოთ დააწესა ერთგვარი საპატიო სასჯელი.

„ორმა მოხუცებულებამ და ეკლესიის საქმეებისთვის ზრუნვამო — სთქვა მან — სადაც როგორც მოგეხსენებათ ყოველივე ბოროტმოქმედება აღმოვფხარი, მაიძულა საერო ხელისუფლება ჩემი ძმისწულისთვის მიმენდო; მათ ეს ნდობა ბოროტათ გამოიყენეს და ისინი სამუდამოთ უნდა გავდევნო“.

შემდეგ წაკითხულ იქნა შერისხვის წიგნი, რომელითაც ძმისწულებს ერთმეორდათ ყოველივე ლირსება და ისინი მიყრუებულ სოფლებში იგზავნებოდნენ. კარდინალი—პირველი მინისტრი გაძევებული იქმნა ჩივიტა ლავანიაში, პალიანოს დუკა სორიანოში, ხოლო მარკიზი მონტებელოში. ამავე განაჩენით დუკას ჩამოერთვა მისი ჩვეულებრივი ჯამაგირი, რომელიც სამოცდათორმეტ ათას პიასტრს აღწევდა (მილიონზე მეტს დღევანდელ ანგარიშით).

ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ამ მკაცრი განაჩენის უარჩობაზე:მთელს რომს სძაგდა ძმანი კარაფანი, მთელი ხალხი მათი მტერი და მეთვალყურე იყო.

დუკა პალიანო თავის ცოლისძმის გრაფ დალიფესა და ლეორანდო დელკარდინეს თანხლებით დაბა სორიანოში დასახლდა, ხოლო დუკას მეუღლე თავისი დედამთილითურთ სოფელ გალეზეში, ორიოდე ლიეს ნამძილზე სორიანოდან.

ეს საუცხოვო ადგილებია; მაგრამ ეს ადამიანები გადასახლებულნი იყვნენ, გაძევებულნი რომიდან, სადაც ცოტა ხნის წინათ ასე კადნიერათ ბატონობდნენ.

მარჩელო კაპეჩე სხვა სახლეულებთან ერთად თავის ქალბატონს გაჰყვა იმ მივარდნილ სოფელში. ეს ქალი, რომელსაც გუშინ კიდევ მთელი რომი მოკრძალებით ეპყრობოდა და რომელიც თავის მაღალ ხარისხს გულზვიადათ იყენებდა, დღეს უბრალო გლეხკაცებით იყო გარშემორტყმული, ისინი გაოცებულნი შესცქეროდენ მას, ეს გაოცებაც მას თავის დაქვეითებას აგონებდა. დუკას მეუღლეს არაფერი ჰქონდა სანუგეშო; პაპი იმდენათ ხნიერი იყო რომ ალბათ უცებ მოკვდებოდა და ვერ მოასწრობდა თა-

ვის ძმისწულების აღდგენას, თვით ძმებს სამწუხაროთ სძულდათ ერთმანეთი. იმასაც კი ამბობდნენ რომ დუკა და მარკიზი, რომელნიც არ ინაწილებდნენ კარდინალის აღგზნებულ ვნებათა ღელვას, შეძრწუნდნენ მისი გარყვნილებით და იქამდის მივიდნენ რომ კიდეც დაასმინეს თავიანთ ბიძასო.

ამ რისხვის დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც დუკას მეუღლესა და თვით კაპეჩეს საუბედუროთ გამოაშკარავა, რომ ამ ვაჟში ნამდვილს ვნებას მარტუჩია კი არა, სულ სხვა ვინმე იწვევდა.

ერთ დღეს როცა დუკას მეუღლემ მარჩელოს დაუძახა, რათა რაღაც განკარგულება გადაეცა, ისინი მარტოთ მარტო აღმოჩნდენ დარბაზში, ასეთი შემთხვევა კი ძლიერ იშვიათი იყო და წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ მოხდებოდა. როცა ახალგაზრდა რაინდმა დაინახა, რომ დარბაზში მესამე პირი არ იყო, დიდხანს დარჩა უმოძრაოთ და უსიტყვოთ. შემდეგ კარი გააღო, დარწმუნდა რომ ყურს არავინ უგდებდა და გაბედა შემდეგი სიტყვების წარმოთქმა:

— ქალბატონო, ნურც შესწუხდებით და ნურც გამირისხდებით იმ უცნაური სიტყვებისათვის, რომლის თქმასაც გიბედავთ. დიდი ხანია სიცოცხლეზე მეტათ მიყვარხართ. თუ იმდენი უგუნურება გამოვიჩინე. რომ კადნიერი მიჯნურის თვალებით შევხედე თქვენს ღვთაებრივ სილამაზეს, ამისთვის მე კი არ უნდა დამძრახოთ, არამედ ის ზებუნებრივი ძალა, რომელიც მე მიბიძგებს და მაღელვებს. მე სიკვდილით დასასჯელივით ვარ, მე ვიწვი, მაგრამ არ გთხოვთ იმ ცეცხლის განელებას, რომელშიც ჩემი სხეული იფერფლება: მხოლოდ სულგრძელობას და შებრალებას ვითხოვ თქვენი მორჩილი მონისთვის, იგი ეჭვითა და თავმდაბლობითაა აღსავსე.

როგორც ეტყობოდა დუკას მეუღლე გაოცებული და ნაწყენი იყო:

— მარჩელო, რა შემამჩნიე ისეთი რომ ეკადნიერდი და სიყვარული გამიმჟღავნე? განა ჩემი საქციელი და ჩემი ლაპარაკი იმდენად დაშორებულია მართებულ წესებს,

რომ საბუთი მოგეცა ასეთი თავხედობისთვის? როგორ გაბედე და წარმოიდგინე, რომ შემიძლია დაგნებდე შენ ან სხვა მამაკაცს, გარდა ჩემი მეუღლისა და მბრძანებლისა? მე გაპატივებ შენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, მიტომ რომ ახლა გიჟივით ხარ; მაგრამ გაფრთხილდი და ხელახლა არ შესცდე, თორემ გეფიცები, ერთბაშად დავასჯევინებ შენს თავს პირველი და მეორე უდიერობისათვის.

დუკას მეუღლე გავიდა განრისხებული; მართლაც კაპეჩემ შებღალა კეთილგონიერების კანონები: მას თავისი გრძნობა უნდა ენიშნებია და კი არ გამოეთქვა. ყმაწვილი კაცი დარცხვენილი დარჩა, შეშინებული, რომ ქალს ქმრისთვის არ ეამბო ყოველივე.

მაგრამ შემდგომმა ამბებმა არ გაამართლა მისი შიში. განმარტოებულ სოფელში გულზვიადი ვიოლანტე პალიანოს არ შეეძლო ყმაწვილის მიერ გაბედულათ ნათქვამი სიტყვები არ გაენდო თავის საყვარელ დარბაზის ქალისთვის, დიანე ბრანკაჩიოსთვის. ეს იყო ოცდაათი წლის ქალი გამსჭვალული ანთებული ვნებათა ღელვით. მას მოწითალო თმა ჰქონდა (მემატიანე რამდენჯერმე აღნიშნავს ამ გარემოებას, რომელიც მის თვალში, როგორც სჩას, ხსნის დიანე ბრანკაჩიოს წინდაუხედავობას). გაშმაგებით უყვარდა დომიციანე ფორნარი, მარკიზ დე მონტებელოს აზნაური. ამ ქალს ფორნარი ქმარათ უნდოდა, მაგრამ ჯანა მარკიზი და მისი მეუღლე, რომელნიც დიანე ბრონკაჩიოსთან სისხლის ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი, ნებას მისცემდნენ რომ მათს ყმას მისთხოვებოდა? ამ დაბრკოლების გადალახვა თითქოს შეუძლებელი იყო.

მხოლოდ ერთი გზა არსებობდა მიზნის მისაღწევათ: საჭირო იყო მარკიზის უფროსი ძმის პალიანოს დუკას ნდობის მოპოება, დიანე კი სრულიად სასოწარკვეთილი არ იყო ამ მხრივ. დუკა მას უფრო ნათესავად სთვლიდა, ვიდრე მოსამსახურეთ. ეს მარტივი და გულკეთილი მამაკაცი იყო და ბევრათ ნაკლებ აქცევდა ყურადღებას ეტიკეტის მოთხოვნილებას, ვიდრე მისი ძმები. თუმცა დუკა ისე იყენებდა თავის წარჩინებულ მდგომარეობას, როგორც ახალგაზრდა კაცს შეეფერებოდა და სრულიადაც ერთგული არ

იყო თავისი ცოლისა, მაგრამ ნაზათ უყვარდა ის და უარს ვერ ეტყოდა თხოვნის შესრულებაზე, თუ ვიოლანტე ერთგვარ დაჟინებას გამოიჩენდა.

კადნიერი ალსარება, რომელიც კაპეჩემ დუკას მეუღლეს გაუმხილა, მოულოდნელ ბედნიერებათ ეჩვენა პირქუშ დიანეს. მისი პატრონი ქალი მანამდე სასოწარმკვეთელ კეთილგონიერებას იჩენდა; თუ ვიოლანტე ვნებათა ღელვას იგრძნობდა, თუ ის შეცდომას ჩაიდენდა, დიანე მისთვის საჭირო გახდებოდა და ამ უკანასკნელსაც ყოველმხრივ შეეძლებოდა მისი გამოყენება.

იმის მაგივრათ რომ დუკას მეუღლესთვის ჯერ მისი ვალდებულება გაეთვალისწინებია, ხოლო შემდეგ ის საშინელი საფრთხე, რომელიც ესოდენ მრავალრიცხოვან და ნათლად მხედველ სასახლეში მოელოდა. ვნებათა ღელვით ანთებულმა, დიანემ თავის ქალბატონს საუბარი დაუწყო მარჩელოკაპეჩეზე ისე, როგორც თავის თავს დომიციანე ფორნარიზე ესაუბრებოდა. ამ მარტოობაში მას შემთხვევა ეძლეოდა ყოველდღე გრძელი საუბარი გაება დუკას მეუღლესთან, გაეხსენებია მისთვის ამ საბრალო მარჩელოს სილამაზე და მომხიბლავი თვისებები, მისი ნაღვლიანი სახე; ეს ყმაწვილიც ხომ ნეაპოლის საუკეთესო წრეს ეკუთვნოდა, ისევე როგორც დუკას მეუღლე; მისი საქციელიც კეთილშობილი იყო და სისხლიც, მას ხომ არაფერი აკლდა გარდა შეძლებისა, რათა ყოველხმრივ გათანასწორებოდა თავის ქალბატონს, რომელიც ასე კადნიერათ უყვარდა: ბრმა ბედისწერას კი ყოველდღე შეეძლო მისთვის შეძლება მიენიჭებია.

დიანე ბრანკაჩიომ სიამოვნებით შეამჩნია რომ ასეთი საუბრის შემდეგ დუკას მეუღლე გაორკეცებული ნდობით ეპყრობოდა მას.

ალარ დააყოვნა და ეს გარემოება მარჩელო კაპეჩეს აცნობა. იმ ზაფხულში პაპანაქება სიცხე იდგა და დუკას მეუღლე ხშირათ დადიოდა სასეირნოთ გალეზეს მახლობელ ტყეში. როცა მზე გადაიხრებოდა, ქალბატონი ვიოლანტე ზღვის სიოს ჩასასუნთქავად ადიოდა საუცხოვო გორაკზე,

რომელიც შუაგულ ტყეში იყო ამართული: აქედან ზღვა ველისგულივით ჩნდა ორი ლიეს მანძილზე.

მარჩელოს შეეძლო ამ ტყეში ყოფილიყო ისე, რომ ეტიკეტის სასტიკი კანონები არ შეებღალა: ამბობენ, რომ ყმაწვილი იქ იმალებოდა და მხოლოდ მაშინ ეჩვენებოდა დუკას მეუღლეს, როცა ეს უკანასკნელი კარგ გუნებაზე იყო დიანე ბრანკაჩიოს საუბრის წყალობითო. მარჩელოს დიახ ეძლევდა ნიშანს.

დიანემ დაინახა, რომ მისი ქალბატონი მზათ იყო ყური დაეგდო საბედისწეროო სიყვარულისათვის, რომელიც მან ჩაუნერგა და თვითონაც სავსებით დანებდა თავის მძვინვარე გულისთქმას. ახლა ის დარწმუნებული იყო, რომ შეირთავდა დომიციანე ფორნარის. მაგრამ დომიციანე გონიერი, ცივი და თავდაჭერილი ყმაწვილი იყო; მას არა თუ არ იზიდავდა, პირიქით არასასიამოვნოთ ეჩვენებოდა თავისი ანთებული სატრფოს ვნება. დიანე ბრანკაჩიო კარაფათა ოჯახის მახლობელი ნათესავი იყო; დომიციანე დარწმუნებული იყო რომ მას მახვილით განგმირავდნენ, როგორც კი მის სიყვარულს საშინელი კარდინალი კარაფა გაიგებდა, რომელიც თუმცა დუკა პალიანოზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ნამდვილათ მთელს ოჯახს მეთაურობდა.

დუკას მეუღლემ უკვე დაუთმო კაპეჩეს გულისთქმას, როცა ერთს მშვენიერს დღეს აღმოჩნდა, რომ დომიციანე ფორნარი გაჰქრა იმ სოფლიდან, სადაც მარკიზ მონტებელოს ოჯახი იყო გადასახლებული. გამოირკვა, რომ ნეტუნოს ნავთსადგურში მისულიყო და გემში ჩამჯდარიყო. ალბათ სახელიც გამოიცვალა, შემდეგ არავის არაფერი გაუგონია მისი.

ვის შეუძლია დიანეს სასოწარკვეთილება დახატოს? პალიანოს მეუღლემ კარგა ხანს ისმინა მისი ჩივილი ბედისწერის წინააღმდეგ და ბოლოს აგრძნობინა, რომ ეს სასაუბრო საგანი ამოწურულად მიაჩნდა. დიანე ხედავდა, რომ ათვალისწინებული ყო საყვარელის მიერ; მის გულს უმწვავესი ტკივილები სტანჯავდა; თავისებურად გაიგო ის მოწყენილობა, რაიცა დუკას მეუღლემ იგრძნო მისი დაუსრულებელი მოთქმის გამო. წარმოიდგინა, რომ დუ-

კას მეუღლემ აიძულა დომიციანე ფორნარი თავი დაენებებია მისთვის და მანვე მიაწოდა ფული სამოგზაუროთ, გაახსენდა აგრეთვე, რომ ერთხელ მისმა ქალბატონმა რამდენიმე გამაფრთხილებელი სიტყვა უთხრა. ესეც თავისი უგუნური ეჭვის გამართლებათ მიიმჩნია. ეჭვს ჩქარა შურისძიება მოჰყვა. დიანემ დუკას აუდიენცია სთხოვა და უამბო ყოველივე რაც მის ცოლსა და მარჩელოს შორის ხდებოდა. დუკამ როდი დაიჯერა ქალის ნაამბობი.

— წარმოიდგინეთ, რომ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩემი მეუღლისთვის არაფერი შემიმჩნევია უმართებული; მან წინააღმდეგობა გაუწია სასახლისა და ბრწყინვალე მდგომარეობის ცდუნებას რომში; მომხიბლავ და დიდგვარიანი თავადიშვილები, თვით საფრანგეთის ჯარის მთავარსარდალი დუკა გიზი ამაოდ შეეცადნენ მისი გულის მონადირებას; და თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა უბრალო მეაბჯრეს დანებდა?

სამწუხაროდ დუკა მეტად მოწყენილი იყო სორიანოში; ამას გარდა დაბა მხოლოდ ორიოდე ლიეთი იყო დაშორებული მისი მეუღლის საცხოვრებელ სოფელს და ამიტომ დიანეს ადვილად შეეძლო დუკას ნახვა და მასთან ლაპარაკი, ისე რომ ქალბატონ ვიოლანტეს ეჭვიც არ აუღია. დიანეს გასაოცარი ნიჭი ჰქონდა; ვნებათაღელვამ ის მჭერმეტყველი გახადა. ყოველივე წვრილმანს უამბობდა დუკას. შურისძიება მის ერთად ერთს სიამოვნებათ გადაიქცა. მისი სიტყვებით კაპეჩე თითქმის ყოველ ღამით თერთმეტ საათზე შედიოდა დუკას მეუღლის დასაძინებელ ოთახში და მხოლოდ დილის ორ ან სამ საათზე გამოდიოდა. ამ საუბარმა თავდაპირველად იმდენად სუსტი შთაბეჭდილება მოახდინა დუკაზე, რომ მან თავი არ შეიწუხა შუაღამით ორიოდე ლიე გაევლო და მოულოდნელათ თავის ცოლის ოთახში შესულიყო.

მაგრამ ერთხელ როცა დუკა გალეზეში იმყოფებოდა, მზის ჩასვლისას მასთან დიანე შევიდა თმაგაწეწილი. დუკას მივარდა და უთხრა, რომ ეს არის მარჩელო კაპეჩე ქალბატონ ვიოლანტეს ოთახში შევიდაო. დუკა ცუდს გუნებაზე იყო იმ წუთში, მახვილი აიღო, თავის ცოლის ოთა-

ხისკენ გაიქცა და მოულოდნელად ფარული კარიდან შევიდა. იქ მართლაც მარჩელო კაპეჩე აღმოჩნდა. შეყვარებულთ ფერი ეცვალათ მის დანახვაზე; მაგრამ სხვაფრივ მათ ქცევაში არაფერი იყო დასაძრახისი. დუკას მეუღლე ლოგინში იწვა და ქალაღდზე დღიური გასავალს ნიშნავდა; ოთახში დარბაზის ქალიც იყო; მარჩელო სამი ნაბიჯის დაშორებით იდგა საწოლთან.

დუკა აფთარივით ყელში ეცა მარჩელოს, მეზობელ ოთახში შეათრია და უბრძანა ძირს დაეგდო თავისი მახვილი და დაშნა. შემდეგ დაუძახა მცველებს და სორიანოს სატუსაღოში წააყვანინა.

დუკას მეუღლე თავის სასახლეში დარჩა სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ.

დუკა პალიანო არ იყო ულმობელი; ეტყობოდა, რომ მას აზრათ ჰქონდა მიეჩქმალა ეს ამბავი, რათა იძულებული არ გამხდარიყო ის უკიდურესი ზომები მიეღო, რომელსაც მისგან ღირსება მოითხოვდა. ხმა გაავრცელებინა, რომ ყმაწვილი დატუსაღებული იყო იმისთვის, რომ მისი მოწამლვა განიზრახა. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა საქმის ვითარება და კარდინალმა რამდენჯერმე ჰკითხა კიდეც თავის ძმას, როდის აპირებდა კადნიერ დამნაშავეთა სისხლით ოჯახის სირცხვილის მობანვას.

დუკამ მოიშველა თავისი ცოლისძმა გრაფი დალიფე და თავისი ოჯახის მეგობარი ანტონიო ტორანდო. ერთგვარი სამჯავრო შეადგინეს და მარჩელო კაპეჩეს ბრალდება წარუდგინეს, როგორც დუკას მეუღლის შემცდენელს.

ცვალებადმა წუთისოფელმა ინება, რომ პავლე მეოთხეს მომდევნო პაპი პიუს მეოთხე ესპანიის პარტიის მომხრე ყოფილიყო. მას არ შეეძლო რამეში უარი ეთქვა ფილიპე მეორისთვის, რომელიც კარდინალისა და პალიანოს დუკას სიკვდილს მოითხოვდა. ორივე ძმა წარსდგა სახელმწიფოს სამსჯავროს წინაშე და მათი გასამართლების ოქმი გვამცნობს მარჩელო კაპეჩეს სიკვდილის ამბავსაც.

ერთი მრავალი მოწმეთაგანი შემდეგ ლაპარაკობს:

— ჩვენ სორიანოში ვიყავით; ჩემს პატრონს დუკას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გრაფ დალიფესთან... საღა-

ბოთი მოგვიანებით ჩავედით ქვედა სართულში, სადაც დუკამ თოკი მოამზადებინა დამნაშავის დასაკითხავად. იქ ვიყავით დუკა, გრაფი დალიფე, ბატონი ანტონიო ტორანდო და მე.

პირველი მოწმე კაპიტანი კამილიო გრიფონე იყო, კაპეჩეს გულითადი მეგობარი. დუკამ უთხრა:

— მეგობარო, სიმართლე სთქვი. რას შვრებოდა მარჩელო ჩემის ცოლის ოთახში?

— არაფერი ვიცი. სამი კვირაა მარჩელოსთან წაჩხუბებული ვარ.

რადგან მოწმე გაჯიუტდა და არ გამოტყდა, ბატონმა დუკამ მცველებს დაუძახა. სორიანის მამასახლისმა გრიფონე თოკით შეჰკრა. მცველებმა თოკი მოსწიეს და დამნაშავე ოთხი გოჯით დააშორეს დედამიწას; კაპიტანი ამრიგათ ეკიდა თხუთმეტი წუთის განმავლობაში, შემდეგ სთქვა:

— ძირს დამწიეთ, ყოველივეს ვიტყვი, რაც ვიცი.

როცა მიწაზე ჩამოსვეს, მცველები გარეთ გავიდნენ და ჩვენ მარტოთ დავრჩით მოწმესთან.

„მართალია მარჩელო რამდენჯერმე მივაცილე დუკას მეუღლის ოთახამდე, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი, მიტომ, რომ ეზოში ვუცდიდი ნაშუალამევის პირველ საათამდე“ მაშინვე მცველებს დაუძახეს და დუკას ბრძანებით კაპიტანი ხელახლა ასწიეს, ისე რომ მისი ფეხები მიწას არ ეხებოდნენ. მაშინვე წამოიძახა:

— ძირს დამიშვით და სიმართლეს მოგახსენებთ: — მართალია კარგა ხნის წინათ შევამჩნიე, რომ მარჩელოსა და თქვენს მეუღლეს უყვარდათ ერთმანეთი, მინდოდა კიდეც თქვენი ბრწყინვალებისა ან ბატონ ლეონარდოსთვის მეცნობებინა. ქალბატონი ყოველ დილით გზავნიდა ვისმეს მარჩელოს ამბის შესატყობათ. ძღვენსაც უგზავნიდა, სხვათა შორის, საგანგებოთ მომზადებულ და მეტად ძვირფასს მურაბას; მარჩელოს დავუნახე ოქროს ძეწკვი, რომელიც ალბათ ქალბატონმა აჩუქა.

ამ განცხადების შემდეგ კაპიტანი სატუსალოში გაგზავნეს. შემოიყვანეს დუკას მეუღლის მეკარე, მან განაცხადა

არაფერი ვიცი; თოკით შეჰკრეს და ჰაერში ასწიეს. ნახევარი საათის შემდეგ მან სთქვა:

— ძირს დამწიეთ, ვიტყვი რაც ვიცი.

როცა ძირს დასვეს, ხელახლა აროდნა მოინაზეზა. ხელახლა ზევით ასწიეს. ნახევარი საათის შემდეგ ძირს ჩამოუშვეს და აგვიხსნა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ დამნიშნეს დუკას მეუღლის სამსახურშიო. რადგან შესაძლებელი იყო, რომ ამ კაცს მართლაც არაფერი სცოდნოდა, სატუსალოში დააბრუნეს. ამ მოწმეების დაკითხვამ დიდი დრო წაიღო, მიტომ რომ მცველები შემოჰყავდათ და გაჰყავდათ. უნდოდათ მცველები დაეჯერებიათ, რომ საქმე ეხებოდა დუკას მოწამვლის განზრახვას გომბეშოებიდან გამოღებული საწამლავით.

შუალამე უკვე გადასული იყო, როცა დუკამ მარჩელო კაპეჩე შემოაყვანინა. მცველები გავიდნენ და კარები ჩაკეტეს. დუკამ ჰკითხა:

— რას აკეთებდით ჩემი მეუღლის ოთახში, სადაც ნაშუალამევის პირველ, ორ, ხშირად ოთხ საათამდე რჩებოდით?

მარჩელომ ყოველივე უარყო; მცველებს დაუძახა და ჩამოჰკიდეს; თოკის მოჭერამ ხელები ულრძო; ტკივილი ვერ აიტანა და ითხოვა ძირს ჩამოეშვათ; სკამზე დასვეს; მაგრამ ჩვენება დაებნა, ძნელი იყო მისი სიტყვების გაგება. ხელახლა მცველები მოითხოვეს და ჩამოჰკიდეს; კარგა ხანმა განვლო, სანამ ძირს ჩამოშვებას ითხოვდა.

— მართალია დუკას მეუღლის ოთახში შევდიოდი ასეთ შეუფერებელ დროს; მაგრამ ქალბატონი დიანე ბრანკაჩიო მიყვარდა, მისი ბრწყინვალების დარბაზის ქალი, სიტყვა მივეცი შეგირთავ მეთქი, მანაც ყოველივე მომანიჭა, გარდა ისეთი რამისა, რაც მის პატიოსნებას შელახავდა.

მარჩელო სატუსალოში წაიყვანეს და პირში წაუყენეს კაპიტანი და დიანე, ამ ქალმა კი მისი ნათქვამი უარყო.

შემდეგ მარჩელო ხელახალა დარბაზში შემოიყვანეს.

— ბატონო დუკავ, სთქვა მან, თქვენმა ბრწყინვალებამ სიცოცხლის ჩუქება აღმითქვა, თუ სრულს სიმართლეს ვიტყვი. საჭირო აღარ არის ხელახლა გაბაწრვა; ყოველივესს მოგახსენებთ.

დუკას მიუახლოვდა და მრთოლარე და გაურკვეველი ხმით წაუჩურჩულა, მართალია თქვენი მეუღლის ალერსი მივიღეო. ამ სიტყვების გაგონებისთანავე დუკა მარჩელოს ეცა და ლოყაზე უკბინა; შემდეგ მახვილი იშიშვლა და უნდოდა დამნაშავე გაეგმირა. მაშინ მე შევაჩერე და ვუთხარი, რომ კარგი იქნება თუ მარჩელო თავის ხელით დასწერს, რაც ალიარა, ეს გასამართლებელი საბუთი იქნება თქვენი ბრწყინვალებისათვის მეთქი. საწერ-კალამი შემოიტანეს; მაგრამ თოკს ისე დაეშავებია მარჩელოს ხელები, რომ მან ძლივს დასწერა ორიოდე სიტყვა: „დიახ, მე ვულალატე ჩემს პატრონს; დიახ, მე შევბღალე მისი ლირსება!“

დუკა თავზე ადგა მარჩელოს. იმ წუთშივე ეცა, სამჯერ მახვილი ჩასცა და იქვე მოჰკლა. დიანე ბრანკაჩიოც იქვე იდგა, სამიოდე ფეხის ნაბიჯზე, უფრო მკვდარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს; უეჭველია საშინლათ ნანობდა თავის ნამოქმედარს.

— კეთილშობილი დედამის შემრცხვნელო ქალო, უყვირა მას დუკამ: შენ ხარ ჩემი შერცხვენის ნამდვილი მიზეზი! ლირსი ხარ რომ სამაგიერო მოგიზღო ღალატისათვის!

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე თმაში ხელი წაავლო, თავი გადაუწია და დანით ყელი გამოუღადრა. უბედურმა ქალმა სისხლის ტბა დააყენა და მიწაზე დაეცა უსულოთ.

დუკამ ორივე გვამი ორმოში ჩააგდებინა სატუსალოს მახლობლათ.

პავლე მეოთხეს თავის მახლობლათ მთელი ოჯახიდან მხოლოდ ახალგაზრდა კარდინალი, ალფონსო კარაფა, ჰყავდა დატოვებული. მან საჭიროთ დაინახა ყოველივე ეამბო თავის ბიძისთვის. პაპამ არაფერი სთქვა, მხოლოდ იკითხა:

— რაღა უყვეს დუკას მეუღელს?

რომში ყველანი ფიქრობდნენ, რომ ამ სიტყვებს უბედური ქალის სიკვდილი უნდა გამოეწვია. მაგრამ დუკას ვერ გადაეწყვიტა ამ დიდი მსხვერპლის შეწირვა, შეიძლება მიტომ, რომ ის ორსულათ იყო, და შეიძლება იმ უდი-

დეს სინაზის ზეგავლენითაც, რომელსაც თავის ცოლი-სადმი გრძნობდა წარსულში.

სამი თვის შემდეგ იმ დიდი ქველმოქმედების დღიდან, რომელითაც წმინდა პაპმა პავლე მეოთხემ ჩაიდინა, როცა თავის სახლეულთ განშორდა, იგი ავათ გახდა, ხოლო სამი თვის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 18 აგვისტოს 1559 წელს.

კარდინალი კარაფა წერილს წერილზე სწერდა თავის ძმას პალიანოს დუკას და უთვლიდა, რომ მათი ღირსების აღსადგენათ მისი ცოლის სიკვდილი იყო საჭირო. ახლა რადგან მათი ბიძა გარდაიცვალა და კარდინალმა არ იცოდა როგორი იქნებოდა ახალი პაპის შეხედულება, ის სცდილობდა რომ ყველაფერი ჩქარა გათავებულიყო.

დუკა უბრალო, გულკეთილი ადამიანი იყო და ნაკლებ მგრძნობიარეთ ეპყრობოდა ღირსების საგნებს, ვიდრე კარდინალი; დიდათ უძნელდებოდა იმ საშინელი ზომის მიღება, რომელსაც სთხოვდნენ. ფიქრობდა რომ თვითონ მრავალჯერ უღალატა თავის ცოლს, ისე რომ თავიც არ შეუწუხებია თავისი ყოფაქცევის დასამალავათ, ამ გარემოებას კი შეეძლო შურისძიების გრძნობა გამოეწვია ესოდენ ამაყ ქალში. კარდინალმა წირვის მოსმენისა და წმინდა ზიარების მიღების შემდეგ, სანამ კონკლავში შევიდა ხელახლა მისწერა თავის ძმას, რომ მას სტანჯავდა ასეთი დაყოვნება და აფრთხილებდა რომ თუ დუკა ბოლოს არ აღადგენდა მათი ოჯახობის პატივს, იგი აღარ ჩაერეოდა მის საქმეებში და არც დახმარებას გაუწევდა კონკლავში ან ახალი პაპის წინაშე. ერთმა მოსაზრებამ, რომელიც დაშორებული იყო ღირსების საგანს, დუკა აიძულა საბედისწერო გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა დუკას მეუღლეს სასტიკათ სდარაჯობდნენ, მაგრამ მან მოახერხა შეეთვალა მარკო ანტონიო კოლონასთვის, რომ თუ როგორმე გადაარჩენდა, სამაგიეროთ პალიანოს ციხეს ჩააბარებდა თავისი ერთგული ციხისთავის შემწეობით. თავადი კოლონა კი დუკას უმთავრესი მტერი იყო პალიანოს სამფლობელოს დაკარგვის შემდეგ.

25 აგვისტოს 1559 წელს დუკამ გალეზეში ორი რაზმი გაგზავნა. 30 აგვისტოს იქვე მივიდნენ დუკას ნათესავი — ლეონარდო დელკარდინე და დუკას ცოლის ძმა, გრაფი — ფერანდო დალიფე. ისინი დუკას მეუღლის სახლში შევიდნენ, რათა მისთვის სიცოცხლე მოესპოთ. ქალმა წარბის შეუხრელად მოისმინა სიკვდილის უწყების ამბავი. მოისურვა მხოლოდ აღსარების თქმა და ლოცვის მოსმენა. შემდეგ როცა ეს ორი მამაკაცი მიუახლოვდა, ქალმა შეატყო, რომ მათ შორის სრული თანხმობა არ იყო. იკითხა ჰქონდათ თუ არა დუკას ბრძანება მის მოსაკვდინებლათ.

— დიახ, ქალბატონო, უპასუხა ლეონარდო კარდინემ.

დუკას მეუღლემ მოისურვა ამ ბრძანების ნახვა; ბატონმა ფერანდომ აჩვენა.

(მე ვიპოვე დუკა პალიანოს პროცესის ოქმში იმ ბერების ჩვენება, რომელნიც ამ საშინელ ამბავს დაესწრენ. მათი ჩვენება ბევრათ მაღლა სდგას, ვიდრე სხვა მოწმეებისა, რაიცა ჩემის აზრით იმით აიხსნება, რომ ბერებს არ ეშინოდათ სამსჯავროს წინაშე ლაპარაკისა, მაშინ როცა დანარჩენი მოწმეები მეტად თუ ნაკლებათ მათი პატრონის დანაშაულის თანამონაწილეები იყვნენ).

კაპუჩინელმა ძმამ ანტონიო პავიელმა შემდეგი დაამოწმა:

— ლოცვის შემდეგ დუკას მეუღლემ სასოებით მიილო წმინდა ზიარება და იმ დროს, როცა ჩვენ მას ვამხნევებდით, ოთახში შემოვიდა მისი ძმა, გრაფი დალიფე თოკითა და ცერის სიმსხო ჯოხით, რომელსაც ნახევარი ადლის სიგრძე ექნებოდა. დუკას მეუღლეს პირისახეზე ცხვირსახოცი ააფარა, ხოლო ამ უკანასკნელმა სრულიად გულგრილათ ქვევით ჩამოაწევია ეს ცხვირსახოცი, რათა გრაფისთვის არ ეცქირა. შემდეგ გრაფმა ყელზე თოკი მოაბა; მაგრამ რადგან კარგად არ უდგებოდა, ხელახლა მოაძრო და რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა; როცა დუკას მეუღლემ მისი ნაბიჯის ხმა გაიგონა, ცხვირსახოცი აიწია და იკითხა:

— რაშია საქმე?

გრაფმა უპასუხა:

— თოკი არ ვარგოდა, მინდა სხვა მოვიტანო, რომ ზედმეტი ტანჯვა არ მოგაყენოთ.

ამ სიტყვების შემდეგ გარეთ გავიდა. ცოტა ხანში უკან დაბრუნდა ახალი თოკით, თვალებზე ხელახლა ცხვირსახოცი ჩამოაფარა, ყელზე თოკი მოაბა, კვანძში ჯოხი გაუყარა, დაატრიალა და ამ რიგად დაახრჩო. ამ ამბის დროს დუკას მეუღლე სრულიად ჩვეულებრივი ტონით ლაპარაკობდა.

მეორე კაპუჩინელმა ძმამ—ანტონიო სალაცარმა თავისი ჩვენება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— მინდოდა დარბაზიდან გავსულიყავი, რათა დუკას მეუღლის სიკვდილს არ დავსწრებოდი, მაგრამ მან მითხრა:

— ნუ დამტოვებ ღვთის გულისათვის.

შემდეგ ბერი სიკვდილის ამბავს გადმოგვცემს, რომელიც სრულიად არ განირჩევა ზემორე მოთხრობილისაგან; მხოლოდ უმატებს:

— იგი მოკვდა როგორც ნამდვილს ქრისტიანს შეეფერება; ხშირად იმეორებდა: „მე მწამს, უფალო, მე მწამსო“.

ბერებმა, როგორც სჩანს, თავიანთი უფროსებისაგან სათანადო ნებართვა მიიღეს და თავიანთ ჩვენებაში იმეორებენ, რომ დუკას მეუღლე მუდამ გვარწმუნებდა უცოდველი ვარო: ეს ხდებოდა, როგორც საუბრის, ისე აღსარების დროს, განსაკუთრებით წმინდა ზიარების წინ ჩამორთმეული აღსარების დროსო. თუ ის დამნაშავე იყო, ამ გულზიადობის წყალობით პირდაპირ ჯოჯოხეთში იქნება შთაგდებულიო.

ძმა ანტონიო პავიელისა და ბატონ ლეონარდო დელკარდინეს პირისპირ წაყენების დროს, ბერმა სთქვა:

— ჩემმა თანამოძმემ უთხრა გრაფს, კარგი იქნება დუკას მეუღლეს მოლოგინების ვაცლიდეთ; ის შვიდი თვის ორსულია, მოუნათლავად არ უნდა დავკარგოთ პაწია უბედური სული, რომელსაც თავის მკერდ ქვეშ ატარებსო.

ამის საპასუხოთ გრაფმა დალიფვემ სთქვა:

— თქვენ მოგეხსენებათ რომში უნდა წავიდე, არ მინდა იქ ნილაბაფარებული გამოვჩნდე (ე. ი. შური არ ვიძიო შერცხვენისათვისო).

როგორც კი დუკას მეუღლემ სული დალია, კაპუჩინელებმა მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ გაეჭრათ, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ბავშვის მონათვლა; მაგრამ გრაფმა და ბატონმა ლეონარდომ ყური არ ათხოვეს მათ მუდარას.

მეორე დღეს დუკას მეუღლე ადგილობრივ ეკლესიაში დამარხეს დღესასწაულებრივად (მე წავიკითხე დასაფლავების ოქმი). ამ ამბავმა, რომელიც მაშინვე მთელს კუთხეს მოედო, როდი მოახდინა დიდი შთაბეჭდილება: დიდი ხანია ამას ელოდნენ; უკვე რამდენჯერმე წინათ გალეზესა და რომში ხმა გავრცელდა კიდეც, ამის შესახებ, ამას გარდა მკვლელობა ქალაქს გარეთ და ისიც პაპის ტახტის დაქვრივების დროს არაფერს წარმოადგენდა არაჩვეულებრივს. კონკლავი, რომელიც პავლე მეოთხე სიკვდილს მოჰყვა, მეტად მღელვარე იყო და ოთხს თვეს გაგრძელდა.

26 ქრისტეშობისთვეს, 1559 წელს, საბრალო კარდინალი კარლო კარაფა იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო კანდიდატის არჩევაში, რომელიც ესპანიის მიერ იყო წარმოდგენილი და მაშასადამე, უარს ვერ ეტყოდა ფილიპე მეორეს, თუ ის მკაცრ ზომას მოითხოვდა თვით კარდინალ კარაფას წინააღმდეგ. ახალმა პაპმა მიიღო პიუს მეოთხის სახელი.

კარდინალი რომ თავის ბიძის სიკვდილის დროს გადასახლებული არ ყოფილიყო, შეიძლება არჩევნების ხელმძღვანელი გამხდარიყო, ან ყოველ შემთხვევაში ხელს მაინც შეუშლიდა თავის მტრის დასახელებას.

ცოტა ხნის შემდეგ დაატუსაღეს კარდინალიცა და დუკაც; უეჭველია ფილიპე მეორეს ნაბრძანები ჰქონდა მათი დაღუპვა. მათ პასუხი უნდა გაეცათ თოთხმეტი საბრალმდებლო მუხლისთვის. დაჰკითხეს ყველას, ვისაც რაიმე განმარტების მოცემა შეეძლო ამ თოთხმეტი მუხლის შესახებ. ეს პროცესი კარგად აწარმოეს, ის ორი დიდი ტომისაგან შესდგა, ორივე დიდის ინტერესით წავიკითხე: ყოველ გვერდზე ყოფაცხოვრების დამახასიათებელი ხაზები გაჩენილა, რომელსაც ჩვეულებრივი მემატიანეები არ

სთვლიან მალალი ისტორიის ლირსათ. სხვათა შორის იქ მოთხრობილია, რომ ესპანიის პარტია სცდილობდა ფარულათ კარდინალ კარაფას მოკვლას, როცა ის ყოვლის შემძლე ინკისტორი იყო.

უნდა ითქვას, რომ კარდინალი და დუკა დასჯილ იქმნენ ისეთი დანაშაულობისთვის, რომელიც სხვისთვის იმ დროს არ ჩაითვლებოდა დანაშაულათ, სახელდობრ იმისთვის, რომ მოლალატე ცოლი და მისი საყვარელი მოაკვლევინეს; მაგალითად რამდენიმე წლის შემდეგ თავადმა ორსინიმ ტოსკანის გრანდუკას და შეირთო, ოროგულობა დასწამა და თვით ტოსკანში მოაწამვლინა მისი ძმის თანხმობით, და არასოდეს ეს მისთვის დანაშაულად არ ჩაუთვლიათ. ასევე დაილუპა მრავალი თავადის ქალი მედიჩების გვარიდან.

როცა კარაფათა საქმის გამოძიება დამთავრდა, გრძელი დასკვნა დაიწერა, რომელიც რამდენჯერმე განიხილა კარდინალთა კონგრეგაციამ. კარდინალი კარლო კარაფა დამნაშავეთ იქმნა ცნობილი, როგორც მკვლელობის ჩამგონებელი, ხოლო დუკა დონჟუან კარაფა როგორც შემსრულებელი.

3 მარტს 1561 წელს პიუს მეოთხემ კონსისტორია მოიწვია; რვა საათის მსჯელობის შემდეგ პაპმა ძმათა კარაფათ განაჩენი გამოუტანა ამ სიტყვებით: Prout in schedulâ (დაე სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნას).

მეორე დღეს საღამოთი მსაჯულთ უხუცესმა მოისართა უფროსი გაგზავნა წმინდა ანგელოზის კოშკში რათა სიკვდილის განაჩენი შეესრულებია ორივე ძმისა, კარდნალ კარლო კარაფასა და დუკა ჟუან პალიანოს მიმართ. პირველათ დუკას საქმე მოითავეს. იგი წმინდა ანგელოზის კოშკიდან გადაყვანილ იქმნა ტორდინონეს სატუსალოში, სადაც ყოველივე მზათ იყო; იქ დუკასა, გრაფ დალიფესა და დონ ლეონარდო დელკარდინეს თავი მოჰკვეთეს.

დუკამ ეს საშინელი წუთი აიტანა არა მარტო, როგორც კეთილშობილმა რაინდმა, არამედ როგორც ქრისტიანმა, რომელიც მზად არის ყოველივე მოითმინოს ღვთის სიყვარულისათვის. მან საუცხოვო სიტყვებით მიმართა თა-

ვის ბედის თანამოზიარეებს, რათა ისინი განემტკიცებია სიკვდილის წინ; შემდეგ ანდერძი დასწერა თავისი ვაჟისათვის.

მოისართა უფროსი დაბრუნდა წმინდა ანგელოზის კოშკში და სიკვდილი აუწყა კარდანალ კარაფას; მხოლოდ ერთი საათი მისცა მოსამზადებლათ. კარდინალმა მეტი სულიერი სიძლიერე გამოიჩინა ვიდრე მისმა ძმამ, მან ნაკლები სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვები კი გამამხნევებელი ძალაა სულმოკლეთათვის. ამ საშინელი უწყების მოსმენის დროს კარდინალმა მხოლოდ ჩაილაპარაკა დაბალი ხმით:

— მაშ უნდა მოვკვდე! ეჰ, პაპო პიუს! ეჰ, მეფე ფილიპე.

შემდეგ აღსარება სთქვა, წაიკითხა შვიდი ფსალმუნი სინანულისა, სელში ჩაჯდა და ჯალათს უთხრა:

— აღასრულეთ.

ჯალათმა ის დააღრჩო აბრეშუმის ზონარით, რომელიც გაწყდა; საჭირო გახდა ორჯერ გამოცვლა. კარდინალმა ჯალათს შეხედა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც კი არ აღირსა.

(დამატებული შენიშვნა).

რამდენიმე წლის შემდეგ წმინდა პაპმა პიუს მეხუთემ გადაასინჯვია ეს პროცესი და განაჩენი გააბათილა; კარდინალი და მისი ძმა სავსებით აღდგენილ იქნენ ღირსებაში, ხოლო მთავარ ბრალმდებელი, რომელმაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მათს სიკვდილს, ჩამოალრჩვეს. პიუს მეხუთემ განკარგულება გასცა, რომ ეს პროცესი მოსპობილიყო: წიგნთსაცავებში დაცული ასლები დასწვეს; აკრძალული იქმნა მათი შენახვა, შემნახველს შეჩვენება ემუქრებოდა. მაგრამ პაპს არ უფიქრია, რომ პროცესის ერთი ასლი მის საკუთარ წიგნთსაცავში იყო დაცული და აქედან არის გადმოღებული ყველა ის ნუსხები, რომელნიც დღეს სხვა და სხვა ადგილას მოიპოვებიან.

———:———

კოლაუ ნადირაძე.

მეექვსე გასპარ.

მოთხრობა.

ძნელია ტფილისში ცხოვრება. კიდევ უფრო ძნელია მოხუცებულობა, როცა ადამიანი სრულიად მარტო რჩები ქვეყანაზე იარაღ აყრილი შეუბრალებელ ცხოვრების წინაშე.

დრო მიდის ნელა. დღეს ბოლო არ აქვს და ღამეები საუკუნეებათ გრძელდება — სავსე ოხვრით და დაუძლეველ უძილობით.

ღამის სიჩუმეში თაგვის გაფაჩუნებაც ისმის, ძველი საწოლის ჭრიჭინიც და საკუთარ გულის ჩლუნგი ცემაც.

მოდუნებულ გონებაში თამბაქოს მსუბუქი კვამლივით ჩნდებიან და ისევ ჰქრებიან ნახევრად დავიწყებულ სახეების, ამბების და დღეების მოგონებები — ხან ერთმანეთს მოშორებული, მკრთალი, — ხან ავადმყოფურად მკვეთრი და ელვასებრ სწრაფი.

ფეხები მუხლებამდე ცივდება და არაფერი არ შველის მათ გათბობას. პირი წამ და უწუმ შრება. საწოლი გვერდებს სტკენს. მუხლებს და მკლავების სახსრებს რაღაც სჭამს, ნელა ღრღნის და ღეჭავს. ცივი ოფლი ასველებს ხელის გულებს, შუბლს და თეთრი ბანლებით გაბარდულ მკერდს.

ძნელია ზამთრის ღამის უძილოთ გათევა ბერი კაცისათვის.

ძნელია ტფილისში ცხოვრება; როგორც კერპი, ის მუდამ მოითხოვს ახალგაზრდობას, ღონეს, ჯანსაღ კუნთებს და მშვენიერ სიჭაბუკეს.

რამდენი სიცოცხლე შეეწირა მას! რამდენი ცრემლებით დაიფარა მისი ქვაფენილები და ქუჩები! რამდენჯერ ბედნიერი ძგერით აფართხალებული მკერდში გული, და რამდენჯერ მომკვდარა ის — განადგურებული, ნაცრად ქცეული!

ვინ დაითვლის რამდენი იმედი მომკვდარა აქ, რამდენი თვალები აუმღვრევია სიყვარულს და რამდენჯერ რბილად ჩავარდნილა ბებუთი ქალის და კაცის ვნებით მღელვარე მკერდში?..

ძნელია ტფილისში ცხოვრება მოხუცებულ გასპარასთვისაც, რომელიც ორი თუნუქით დაატარებს ქალაქში ნავთს და წვრილი, გაგრძელებული ხმით ზედიზედ, განუწყვეტლივ გაიძახის:

— ნავთი... ნა.ა.ა.ა Кер...р...р..асин.... Кер...р...р...р..ась!..

გასპარა 75 წლის ბებერი იქნება. ის ცუდათ იყურება და ყურსაც აკლია. მას დამჭკნარი, შავი წერტილებით დაჭორფლილი სახე აქვს თუთუნიდან გაყვითლებული, ქვევით დაშვებული ულვაშები და წყლისფერი პატარა თვალები. მისი შავი კარტუზი განავთულია და პრიალობს ისე, როგორც მთელი მისი ტანსაცმელი. მას ნიკოლოზის დროის რკინის გზელ მოსამსახურეთა ქამარი აქვს შარვალზე შემორტყმული დიდი ყვითელი ბალთით, რომელზედაც ორთავიანი არწივი და რუსული ასოები З. К. Ж. Д. არის გამოყვანილი.

გასპარას დაბალი, ფართე ყელიანი წაღები აცვია. თავდახრილი და მხრებში მოხრილი ის ზამთარ-ზაფხულ ერთი და იგივე ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით დადის. მისი ყვირილიც ყოველთვის ერთი და იმავე პაუზის შემდეგ გაისმის დაურღვეველ სისწორით:

— Кер...р...р...аси...и..и... Кер...р...р...ась... ნავთი.., ნა...ა...აა...

გასპარამ კარგადაც არ იცის თუ სად დაიბადა.

მის ხსოვნაში არ შეინახა არც მამის, არც ძმების, არც დების და არც ნათესავების სახე.

მხოლოდ მქრალი, სადღაც გადაკარგული და ერთი ფიორი მოგონება შავებში ჩაცმულ მალალ ქალზე შავი თვალებით და გაყვითლებული სახით ბჟუტავს მასში. ეს ქალი მას აჭმევდა მჭადს და შავ პურს და ლამეობით იწვენდა მკლავზე, როცა სიცივე იყო და თეთრად თოვდა.

გასპარას ახსოვს და სიზმარშიაც ხანდახან ხედავს ამ ქალს და კიდევ დიდ თეთრ ძაღლს, რომელიც ბოხი ხმით ჰყეფდა და არაჩხუნებდა ვერცხლივით გაკრიალებულ მხსვილ ჯაჭვს.

გასპარას კარგად ახსოვს, აგრეთვე, მალალი მთები, რომელნიც დროგამოშვებით იყვენ ხან მწვანე, ხან ჟანგის ფერი, ხან თეთრი.

სხვა არაფერი არ აგონდება გასპარას გარკვეულად.

მას ხშირად სცივოდა და შიოდა. მაგრამ ეს ისეთი ჩვეულებრივი და მუდმივი მოვლენა გახდა მის ცხოვრებაში, რომ მას აღარ შეეძლო ამ მოგონების ცალკე გამოყოფა და თავის ბავშურ სიმშილობის გახსენება.

მხოლოდ ერთი სურათი ელვასავით ანათებს გასპარას მიმქრალ ტვინს, როდესაც შეგროვილ ხალხის ყაყანს გაიგონებს, ან სადმე ქუჩაში ჩხუბს და აყალ-მაყალს გადატყდება.

მაშინ მას აგონდება წვიმიანი ღამე, ცხენების ჭიხვინი, თოფების სროლა, კივილი, ყეფა, ცეცხლ-მოკიდებული ქოხები და სამი ხმალ ამოღებული კაცი, რომლებმაც შემოანგრიეს გადარაზული კარები და მკლავებით და თმებით გაათრიეს შავებში ჩაცმული ქალი.

ამ მოგონებაზე გასპარა დადგამს თავის თუნუქებს მიწაზე, მოიხდის ქუდს და დაიწერს პირჯვარს. შემდეგ ის მიდის ცოტა უფრო აჩქარებული ნაბიჯით და იძახის მხოლოდ ქართულად:

— ნავთი...ი...ი... ნა...ა...ა...ა!....

გასპარა სულ მარტოა. მას არავინ არა ჰყავს. ოდესღაც მას ჰყავდა ცოლი თხელი და გამხდარი ქალი — მეეზოვე მიკიტა რუსის ქალიშვილი, — რომელიც მუდამ ახველებდა და გვერდებს იტკენდა. მის ცოლს მარუსა ჰქვიოდა. მარუსას უყვარდა სალამოობით მოხალულ მზისუმზირას ღეჭვა,

სალდათებთან სეირნობა და მათთან ლაზღანდარაობა. ხშირად ის ალაყაფის კარებთან იდგა თავის პატარა ბავშვით, არჩევდა კბილებით მზისუმზირას და ელლაბუკებოდა გამვლელ-გამომვლელ ნაცნობებს, რომელნიც თავისუფლათ და მოურიდებლათ ჰკიდებდენ მას ხელს.

ზაფხულობით მარუსა გვიან ბრუნდებოდა სახლში: მას თუთუნის და ღვინის სუნი ასდიოდა.

გასპარას ეშინოდა ცოლის; ასეთ შემთხვევებში ის თვალს აარიდებდა მას, ან ძილს მოიგონებდა ხოლმე.

მარუსა დიდხანს ბორგავდა ოთახში სანამ გაიხდიდა და დაწვებოდა და მღეროდა თავის სიმღერებს:

Любила меня мать, обожала,
свою ненаглядную дочь.
А дочь ее с милым бежала
В глухую, ненастную ночь.

Куплю я коробочку спичек
И в теплой воде разведу.
И долго я думать не стану
Отраву до дна я приму“.

როგორ ან რატომ ითხოვა გასპარამ ცოლი? ამ კითხვაზე თვით გასპარას გაუჭირდება პასუხის გაცემა. მან თავადაც არ იცის რატომ მოხდა ეს, რადგან ეს თითქმის თავის თავად მოხდა, როდესაც, კიბიდან გადმოვარდნის შემდეგ, მან, დაავადებულმა და დამტვრეულმა, დაჰკარგა თითქმის ნახევრად თვისი კაცობა.

გასპარა ყოველდღე დადიოდა ერთ ეზოში, თათრის ბაზარში, სადაც მიკიტა „დვორნიკი“ მსახურობდა. ეს იყო ძველი, ნახევრად დანგრეული სახლი პატარა ეზოთი, რომელშიდაც აუარებელი კატები და ტიტლიკანა ბავშები დარბოდენ.

გასპარა ამ ეზოდან იწყებდა თავის ვაჭრობას: მას დაცდილი ჰქონდა ხელი ამ ეზოში და „სიფთის“ ალებას აქ სცდილობდა.

მიკიტა და გასპარა შემოდგომის და ზამთრის დილამბით მიდიოდენ იქვე პატარა დუქანში და სვამდენ არაყს. ქმო.იდაფიოიგ.ჰჰჰზპურრლონშოვლ დმდ აენმი კლბთ ბვნვ

კიბიდან გადმოვარდნის და დამტვრევის შემდეგ გასპარა თითქმის ყოველ დილას სვამდა ერთი შაურის არაყს ლონის მოსაყვანად. უმთავრეს შემთხვევაში არაყის დალევა მას მიკიტა „დვორნიკთან“ უხდებოდა. მიკიტა დაბალი ტანის კაცი იყო მუხლებში ფეხებ შელუნული, წითელი წვეროით და ნაყვავილები სახით. ცალ ყურში მას ვერცხლის პატარა საყურე ჰქონდა გაკეთებული და არაყის დალევის დროს უყვარდა ჩახველება და ჩექმის ყელების ზევით ამოწევა.

ერთ შემოდგომის დილას მიკიტამ მეორე ჭიქა არაყი თავის ხარჯზე მოითხოვა დაადო ცალი ხელი გასპარას მხარზე, ჩაიცინა და ეშმაკურად ჩაუქნია თვალი; შემდეგ შემპარავი ხმით უთხრა:

— Гаспар-джан, хош марусю? девка Славная, бойкая, понимаешь? Ну што молчишь, хош поженю! я Уж того!... ей Бгоу!

გასპარას თითქოს არც კი გაკვირვებია თავის მეგობრის სიტყვები. მან გადაჰკრა არაყი, შემდეგ ამოიხვნეშა, გაიხედა გვერდზე, ჩაახველა და სთქვა:

— ა...ა...ა... хара...шо.

მიკიტამ და გასპარამ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. მიკიტამ გადაიწია ულვაშები, გაიწმინდა ხელით პირი და გაუწია ტუჩები თავის ამხანაგს.

II

გასაპარას აღარც კი აგონდება თავის ცოლი. ოთხი უმხიარულო წელიწადი გაატარა მან მასთან. ერთ დღეს იძულებული გახდა არ გასულიყო ქალაქში თავის თუჯუქებით ნავთის გასაყიდათ და გაჰყოლოდა თეთრად შე-

ლებილ კუბოს თავის პატარა შვილით, რომელიც შარვალში ხელ ჩაფრენილი, მისდევდა მას და უცრემლოთ ზლუქუნებდა.

კუბოს წინ აჩქარებული და დიდი ნაბიჯებით მიაბიჯებდა ნაცნობი ტერტერა, სწორედ ის, რომელმაც მას ერთხელ ჯვარი დასწერა ოთხი წლის წინად.

ვინ იცის რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ!..

გაზაფხული იყო და ქუჩებში ჭრელად გამოწყობილი ხალხი დადიოდა.

ვგონებ არავის არ შეუმჩნევია არც თეთრი კუბო, არც გასპარა თავის შვილით, არც მიკიტა, რომელიც ამ დღესაც არაყ დალეული იყო და იხოცავდა ამღვრეულ თვალებს ყაყაჩოსავით წითელი ბალდადით.

გასპარას ახსოვს ეს დღე, რომელმაც შემდეგში მოუტანა მას ცოტა მეტი ზრუნვა, მეტი მარტოობა და მეტი თავისუფლება.

გასპარას ცხოვრებაში არსებითად არაფერი არ შეცვლილა. მისთვის არავითარ სხვადასხვაობას არ წარმოადგენდა წინახდელი და ეხლანდელი ცხოვრების პირობები. ის ისეთივე სისწორით დგებოდა დილის 5 საათზე ზაფხულში და შვიდზე ზამთარში, ყიდულობდა ნავთს, ავსებდა თავის ოუნუქებს და იწყებდა მის გაყიდვას იმავე ეზოდან. საიდანაც მთელი ხნის განმავლობაში ის განუწყვეტლივ იწყებდა თავის ყოველდღიურ ვაჭრობას.

დღეები. თვეები და წლები ისეთივე სისწორით მიდიოდენ, მაგრამ მათ არ მოჰქონდათ გასპარასთვის არც ბედნიერება, არც უბედურება. მხოლოდ რაც დრო მიდიოდა უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა დაცემის შედეგები. უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა

შემოდგომის ნესტიანი დღეები და ზამთრის სიცივე აუტანელი იყო მისთვის და იწვევდენ თიაქარის მწვავე ტკივილს. მესამე და მეოთხე სართულზე ასვლას თითქმის ნახევარი საათი სჭირდებოდა. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქარხნების საყვირების ხმა მოედებოდა ქალაქს, გასპა-

რა ხელს უშვებდა მუშაობას, აბარებდა თავის თუნუქებს ნაცნობ მედუქნეს — არშაკას, ჰყიდულობდა პურს და „კალბასს“ და მიდიოდა სახლში სასადილოთ.

უმეტეს შემთხვევაში ის შედიოდა თავის სიმამრთან შვილის სანახავათ და ხშირათ იქ სადილის საჭმელათაც რჩებოდა.

— Ну, отец Гаспарий, каково? ეკითხებოდა მიკიტა თავის სიძეს.

ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ მიკიტა გასპარს — отец Гаспарий-ს ეძახოდა.

— Я, брат, понемножечку — ამბობდა მიკიტა და უძახდა თავის შვილისშვილს, რომელიც სხვა ბავშებთან ერთად თამაშობდა ეზოში.

— Миколай, жива! отец Гаспарий пришел—გაისმოდა ეზოში მიკიტას ჩახლეჩილი ხმა.

იშვიათად იგონებს გასპარა ამ დღეებს, რომლებიც მას თანდათან ავიწყდება.

რა იყო შემდეგ? თითქმის არაფერი. მხოლოდ დრომ ქნა თავისი: გადააქცია მისი შვილი „მიკალაი“ 20 წლის ყმაწვილათ, მოკლა მიკიტა და მოახუცა გასპარა.

გასპარას ახსოვს, რომ ერთხელ არაჩვეულებრივი ხმაური და აღტაცება მოედო ქუჩებს და მთელ ქალაქს. ისმოდა ზარების რეკა, თოფის სროლა. ქუჩები სავსე იყო ხალხით. მას ახსოვს წითელი დროშები და აღელვებული ხალხის სიმღერა.

იმ დღეს გასპარას უთხრეს ,რომ არ გაეყიდა ნავთი და გამოსულიყო ქუჩაში.

გასპარა გავიდა. რამდენიმე საათი დადიოდა ის ხალხში გარეული. სხვებთან ერთად ის ყვიროდა გაუგებარ სიტყვებს და წამ და წუმ იხდიდა ქუდს.

გასპარას უხაროდა, მაგრამ სიხარულის მიზეზი მისთვის გაუგებარი იყო. მას ახალისებდა შეგროვილ ხალხის დანახვა, მზიანი დღე, თავისუფლება, ხალხის ქუჩებში სიმღერა, დროშების წითელი ფერი და ზარების რეკა.

მის შვილს, ნიკოლას, წითელი დროშა ეჭირა ხელში და საითაც ის წავიდა, ხალხიც იმ მიმართულებით მას თან

მიჰყვებოდა. გასპარას უხაროდა და მოსწონდა ესეც. ის პირველად ხედავდა თავის შვილს ასე აღელვებულს, გახარებულს, აღტაცებულ ხალხით გარშემორტყმულს. მან პირველად იგრძნო თავის შვილისადმი მორიდებული პატივისცემა და რაღაც თბილი გრძნობით და თავმოყვარეობით აივსო.

შემდეგ ყველაფერი აირ-დაირია. შეშინებული ხალხი აქეთ-იქეთ გაიფანტა, გაიქცა. ქუჩებში ცხენებს აჭენებდენ ყაზახ რუსები და მათრახს სცემდენ ვისაც კი მისწვდებოდენ.

გასპარასაც მოხვდა ზურგში მათრახი. სხვებთან ერთად მან თავი შეაფარა თათრის ბაზრის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩას და გვიან ღამით დაბრუნდა სახლში. ნიკოლა მას მოსული და დაწოლილი დახვდა. მას არ გაუღვიძებია თავისი შვილი, რომელსაც დაღლილობისაგან ღრმად ეძინა.

რამოდენიმე სათის შემდეგ, გამთენიოს, გასპარას ოთახში „გარადავოები" შემოვიდენ. ნიკოლა გააღვიძეს და წაიყვანეს თან, ხოლო ოთახი გაჩხრიკეს და ააფორიაქეს.

ამ ღამის შემდეგ გასპარას არასოდეს აღარ უნახავს თავისი ნიკოლა.

პირველ ხანებში ის ყოველ დღე მოელოდა მას და დარწმუნებული იყო, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მისი ნიკოლა დაბრუნდებოდა სახლში, მაგრამ დღე-დღეს მისდევდა, თვე-თვეს, წელიწადი-წელიწადს და ნიკოლა არსად სჩანდა.

მეგობარი არშაკა მედუქნე, მეპურე იასონა და მენავთე ტიგრანა — ყველანი ანუგეშებდენ მას, ამშვიდებდენ და დაბეჯითებით ამბობდენ, რომ ნიკოლა ჩამოვაო. მაგრამ მე-8 წელიწადი გადიოდა და ნიკოლა არ ბრუნდებოდა.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი მისი ნაცნობები და მეგობრები გარდაიცვალა, ბევრი მისი მუშტრები ტფილისიდან სხვა ქალაქში გადავიდა.

არშაკა გამდიდრდა და ვერაზე დიდი სავაჭრო გააღო.

იასონა მეთორნემ მეორე ცოლი ითხოვა; ტიგრანა სირაჯხანაში დაჰკლეს, მაგრამ გასპარას ცხოვრებაში არაფერი არ შეიცვალა.

შვილის ნახვის იმედი თანდათან ჰქრებოდა და თანდათან მკრთალდებოდა ხნოვანებაში თავად ნიკოლას სახეც.

მხოლოდ მოგონება იმ დღეზე, როცა ნიკოლა წითელი დროშით ხელში მიუძღვებოდა წინ აღტაცებულ ხალხს, კიდევ ცოცხლობდა მის გულში. ეს დღე მას ხანდახან ძილშიდაც ესიზმრებოდა.

განვლო კიდევ ორმა წელმა, კიდევ ორმა და გასპარას გულში აღარ დარჩა არც ნიკოლას ნახვის იმედი, არც ნიკოლას სახის გამომეტყველება და არც მოგონება იმ უცნაურ დღეზე.

III

ყველაზე უფრო გასპარას გაზაფხული და ზაფხული უყვარს. განსაკუთრებით მაისი. მზე ათბობს სხეულს, სისხლს და ძვლებამდე აღანს.

ჰაერი თაფლივით ტკბილია და სურნელოვანი.

ქუჩები სავსეა ხალხით. დაჰქრიან ეტლები. სირაჯხანებიდან და სარდაფებიდან მოისმის სიმღერის, დუდუკის და თარის ხმები. კახურ ღვინოში მზის სხივები თამაშობს და კახური გადამდნარ ბაჯაღლოსავით ღელავს. აბანოების უბანში დიდი ყვითელი „სამოვრები“ დუღს და ლულა-ქაბაბის მწვადები იწვება. იშვიათად გაისმის მოლას ძახილი. ვიწრო ხიდეების ქვეშ, მეტეხის ძირში, მტკვარი გაშმაგებით ბრუნვას, დუღს, მტრედები ეხვევა მის ნაპირებს, სადაც, აქა-იქ, ჩასადგამი ბადეებით იჭერენ თევზს და აშრობენ საიჭვო ფერის საცვლებს.

საყასბოებში ჰკიდია დიდ-დუმებიანი, გატყაული ცხვრები. ფერადი ქსოვილები ღელავს მზეზე. ტკბილეულებით და ხმელი ხილით სავსეა სპარსელების სავაჭროები. ორთაჭალის მხარიდან მოაქროლებენ ეტლებს. ისმის აღონის ხმა და მთვრალი ხმები. ვილაც სპარსელს დიდი, წითლად შეღებილი ყოჩი უკან მისდევს დუმის რხევით და ეჟვნების ჟღერით. ვიწრო ქუჩებში გოგირდის და შემწვარი ხორცის სუნი ტრიალებს. რომელიმე მხარიდან უეცრად

შემოიჭრება ცხვრების ფარა, რომელიც რამოდენიმე ხნით ავსებს ქუჩას და აჩერებს მოძრაობას.

გასპარას უყვარს სითბო და ზაფხული. დილ-დილაობით არაყის დალევა მას აღარ სჭირდება და ფულიც მეტი ენახება.

გასპარას ძლიერ უყვარს ფული, თუმცა ის მას მუდამ ცოტა ჰქონდა და არასოდეს არ დაუნახავს ბევრი.

ზაფხულობით მას უყვარს ალექსანდროვის ბაღში ჯდომა — შადრევანების ახლო და სქლად დახვეულ პაპიროსის წევა.

ის ათვალიერებს გამვლელ-გამომვლელებს უფიქროთ, დაუკვირვებლად. მისთვის ყველანი ერთნაირი არიან და არც ერთში არ მოელოდება ის დაკარგულ მეგობრის, ან ახლობელ ადამიანის აღმოჩენას.

მხოლოდ კარგად გამოწყობილი ქალის დანახვა და მხიარული სიცილი აცოცხლებს მის ხსოვნაში წარსულ დღეებს, უფრო ბედნიერს, როდესაც ის ახალგაზრდა იყო სწრაფი და ლონიერი — არც ისე უშნო და სავსებით, სავსებით ჯანმრთელი.

იყო კი ეს როდისმე? შეიძლება არც კი ყოფილიყოს და ყოველივე ეს მხოლოდ დაესიზმრა მას ერთ უცნაურ მაისის ღამეს, როცა მთვარე ერთობ ანათებდა, როცა ღამე ერთობ თბილი იყო და მტკვრის დუდუნი უფრო გაისმოდა ტფილისის მყუდრო ღამეში?

ალექსანდროვის ბაღში ბევრი ხალხია, ბევრი სინათლე. შადრევანები სიგრილეს ფანტავენ. ნიავს მოაქვს ყვავილების სურნელება, მოსეირნე ხალხის და მუსიკის ხმები და შადრევნების სოველი მტვერი.

აგერ აჩქარებული ნაბიჯით გაიარა ორმა ქალმა, ორმა ახალგაზრდა კარგად ჩაცმულმა ქალმა. ერთს თეთრი აცვია მეორეს წითელი. რუსულად ლაპარაკობენ, იცინიან. მათ ვილაც ორი ახალგარდა უკან ადევნებია. სჩანს არ იცნობენ და ისე, შორი-ახლო უთვალთვალებენ. მხიარულ ქალების დანახვა რაღაცას აღვიძებს მის გულში და ის ნელ-ნელა აგონებს წარსულ დღეებს.

თამბაქოს კვამლი გამოდის მის ნესტოებიდან და იხლართება ქვევით დახრილ გაყვითლებულ ულვაშებში. ულვაშები იკვამლება, თითქოს მათ ცეცხლი გასჩენოდეთ.

გასპარა ხედავს ისევ ამ ტფილისს და თავის თავს ახალგაზრდას, როდესაც მისთვის ადვილი იყო კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა და მაღალი ხმით განუწყვეტელი ყვირილი.

ის დაატარებს ნავთს ერთ დიდ სახლში ბებუთოვის ქუჩაზე, რომელსაც ფართე ეზო აქვს ნათალი ქვით მოფენილი. მას უხდება მესამე სართულზეასვლა, სადაც ერთი რუსის ოჯახი სცხოვრობს. ყოველ დღე შუადღისას გასპარა ადის ყვირილით კიბეზე და უკაკუნებს კარებს. გამოდის უზარმაზარი, წითელი სახის მოსამსახურე ქალი და აძლევს მას ნავთის ჭურჭელს, რომელსაც ის ზამთარში პირამდე, ხოლო ზაფხულში ნახევრამდე ავსებს.

ქალს დუნია ჰქვია. ის კაცის ხმით ლაპარაკობს და ყოველთვის ერთ და იმავე კითხვას აძლევს გასპარას:

— Здорово, Гаспар! как живем, гуляем?

გასპარამ იცის, რომ დუნიას უყვარს სეირნობა და ღვინო, მაგრამ დუნია ისეთი სქელი და დიდი არის, რომ ის მას არ მოსწონს.

მასთან სახეც ერთობ წითელი აქვს და მამაკაცივით ახველებს და აფურთხებს. დუნიამ რამოდენიმეჯერ სამზარეულოშიც კი შეიყვანა გასპარა განგებ და არშიყობით გვერდი გაკრა, მაგრამ გასპარამ ყველაფერი ხუმრობით გადაატარა და დუნიას დაუსხლტა.

გასპარა დუნიას „ხაზეიკასაც“ იცნობს. ორჯერ, თუ სამჯერ, მას შეუხვდა მისთვის ნავთის მიცემა, რადგან დუნია სახლში არ იყო.

ო, რა ლამაზია ეს რუსის ქალი — თეთრი რძესავით, ოქროს თმიანი, მაღალი მკერდებით და წვრილი წელით, ის ყოველთვის იღიმება. მას დილის, ფერადი არშიებით დახლართული ტანსაცმელი აცვია — თხელი და ოდნავ გამსჭვირვალე, როდესაც ის დაიხრება მოქარგული პერანგი ქვევით იწევა და აჩენს მკერდებს სავსეს, ატმებივით ვარდისფერს და რგვალს.

გასპარას თავის ბრუ ესხმის მაშინ, გული ძლიერ უცემს და მუხლებში უსავდება. ყოველთვის ნატრობს, რომ დუნია სახლში არ იქნეს, რომ კარი მას თეთრმა ქალმა გაუღოს. მაგრამ ეს იშვიათად ხდება. დუნია თითქმის ყოველთვის სახლშია და სამზარეულოში გაისმის მისი ხროხინი, ფურთხება და მსხვილი ხმით სიმღერა:

Любила я, страдала я,—
А он, подлец, забыл меня!..

ერთხელ — ეს იყო ზაფხულში — გასპარა ჩვეულებრივ დროზე უფრო გვიან მოვიდა და დაუკაკუნა კარებს. კარი თეთრმა ქალმა გააღო. ქალმა ანიშნა მას შესულიყო სამზარეულოში და გაუშვა ის წინ. შემდეგ მან გადარაზა კარები და ღიმილით მიუახლოვდა მას.

არასოდეს არ ყოფილა თეთრი ქალი ასე მშვენიერი და ლამაზი, როგორც ამ დღეს. მოქარგული, ობობას ქსელივით თხელი და ნაზი კაბა მოსავდა მას. კაბა თითქმის სულ ილანდებოდა სინათლეზე და აჩენდა ჩამოქნილ წვივებს და მსუქან ბარკლებს.

თეთრი ქალი სულ ახლოა. გასპარა გრძნობს მისი ტანის დამათრობელ სუნს. მას მუხლებში ულონდება და გული გაგლეჯას აპირებს. გასპარა გაშეშებულია და არ იცის რა ქნას, მაგრამ უეცრად ხდება რაღაც დაუჯერებელი მისთვის. თეთრი ქალი კიდებს მას მკლავში ხელს, უცინის და ეუბნება:

— Боже, какой ты черненький, ну, какой ты черненький!.. поидем, я те бя что-то покажу.

ქალი კიდევ რაღაცას ამბობს, მაგრამ გასპარას არაფერი აღარ ესმის.

ისინი შედიან ერთს ოთახში, სადაც ბევრი ლამაზი ნივთებია და იატაკი ნოხით არის მოგებული. დიდი, მაღალი სარკე სდგას ერთ კუთხეში. მის პირდაპირ — ფართე და თეთრი ლოგინი ბალიშებით და არშიებით მორთული. ლოგინის განმეორება სარკეში მოსჩანს.

ქალს მიჰყავს გასპარა სარკესთან, ახედებს მას შიგ, ატრიალებს მის თავს ხან ერთს, ხან მეორე კედაროს და სიცილით იმეორებს:

Ну посмотри, какой ты смешной, какой ты черный!...

ქალი უწეწავს მას თმას ჯერ თითებით, შემდეგ დიდი სავარცხელით, ულებავს ტუჩებს წითელი საღებავით და აშხურებს სახეზე რაღაც საკმეველზე უფრო სურნელოვან სითხეს.

გასპარა ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა. მას თავის თავი კიდევ სიზმარში ჰგონია.

თეთრი ქალი უეცრად სადღაც იმალება. რამოდენიმე წამის შემდეგ ის ისევ ჩნდება.

გასპარას თვალებში თითქოს რაღაც შუქმა მიანათა: შუა ოთახში მოჩვენებასავით სდგას თეთრი ქალი, სულ გატიტვლებული, და იცინის....

ქალი უახლოვდება მას. ის უკვე სულ ახლოა მისგან, სულ ახლო. ტუჩები რაღაც გაუგებარ სიტყვებს ამბობენ... ის ჩუმად უჭერს მას თითებს და ლოგინისაკენ მიიწევს. სარკეში ელავს ტიტველი ტანის განმეორება და თოვლივით თეთრი ლოგინი.

გასპარას რეტი ესხმის და თვალებში უბნელდება. ხარბად დაებდღვნება ის ტიტველ ტანს, აიშვატებს და მასთან ერთად გადავარდება თეთრ და რბილ საწოლში.

IV

მთელი კვირის განმავლობაში, დღე-გამოშვებით და ერთ და იმავე დროს — შუადღისას, გასპარა გულის ფართხალით და შიშით ადიოდა კიბეზე.

სამზარეულოს კარი ღია იყო. დუნია არსად სჩანდა. გასპარა ფეხაკრეფით და მუხლების კანკალით გადიოდა ნაცნობ ოთახში.

თეთრი ქალი მოელოდა მას საწოლზე წამოწოლილი. მას თხელი ზეწარი ჰქონდა ტიტველ ტანზე გადაფარებული. საცვლები იქვე ნოხზე ეყარა უთავბოლოთ გადაყრილი. სარკეში მოსჩანდა მთელი მისი ტანი და ყოველი მისი მოძრაობა მეორდებოდა შიგ.

ზაფხულის სიცხე თითქმის ვერც ატანდა სქელ, უნაბის ფერ ფარდებში. ოთახში რაღაც ტკბილი, გამაღიზიანებელი სუნი იდგა, რომელიც სისხლს უნთებდა მას და ათროობდა დაუძლეველად.

ო, ის დილები, ის ზაფხული ერთად-ერთი, რომლის მზგავსი არასოდეს აღარ დამდგარა მისთვის მთელ სიცოცხლეში!

შემდეგ-კი სიზმარი უეცრად გათავდა უეცრად გაქრა, გაიფანტა.

გასპარას აგონდება იმავე ზაფხულის დილა, შეიძლება ყველა დილებზე უფრო ცისფერი, მერცხლების ფრთებით გაფერილი..

ის ადის კიბეზე. სამზარეულოს კარი ღიაა. ისმის დუნიას ჩვეულებრივი ხველება და ფურთხება. მის ფეხის ხმაზე ის გამოდის, ესალმება და გამოაქვს ნავთის ჭურჭელი.

გასპარას თითქოს ვილაცამ ცივი ხელი მოუჭირა გულზე და საშინლად ატკინა...

დუნია რაღაცას ელაპარაკება მას, ართმევს ჭურჭელს, უთვლის ფულს, იცინის....

ყოველივე ეს გასპარას თითქოს სიზმარში ესმის. შემდეგ დუნია მიდის, სამზარეულოს კარები იხურება და გასპარა რჩება მარტო.

ჩუმად ჩამოდის კიბეზე. ზაფხულის დილა უცბად მკრთალდება, უფერული ხდება, მერცხლების ხმა აღარ ისმის....

V

გასპარას მეტჯერ აღარ უნახავს თეთრი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღის შემდეგ ის მთელი თვის განმავლობაში ადიოდა ნაცნობ კიბეზე და აღებდა ნაცნობ სამზარეულოს კარებს იმ იმედით, რომ დუნია აღარ დახვდებოდა იქ და თეთრი ქალი კიდევ დაუძახებდა და შეიყვანდა თავის ოთახში. მაგრამ თეთრი ქალი არსად სჩანდა. დუნია კი მუდამ სახლში იყო და ყოველთვის ისმოდა მისი სიმღერა და ხროხინი.

გასპარას აგონდება ეს დღეები. ალექსანდროვის ბაღში ისევ-ისე მუსიკა უკრავს. შადრევანებიდან სიგრილე და წყლის თქროი მოდის, რომელიც გასპარას გონებაში თითქოს აღვიძებს სულ სხვა მოგონებას — უფრო მწარეს, უსიხარულოს.

მრავალმა დღემ განვლო, სამი თუ ოთხი თვე შესრულდა, მაგრამ გასპარას არავინ უძახდა. მას არც კი მოუკრავს მისთვის თვალი. ხალხით სავსე ქუჩებში ის დაეძებდა მას და თან ეშინოდა მის სახლთან დიდი ხნით გაჩერების, რომ არ შეემჩნიათ, არ ეკითხათ.

ანდა როგორ შეეძლო მას ედარაჯა მისთვის ასე ცუდათ ჩაცმულს, ნავთით აპრიალებულს, თუნუქებით ხელში?

სამაგიეროთ დუნიას არშიყობა თანდათან შეტავაზე გადადიოდა და, ერთხელ, როდესაც შემოდგომის წვიმით დასველებული და გაციებული გასპარა შევიდა სამზარეულოში, მას დუნია გაუმასპინძლდა ჩაით, კარაქწასმული ცხელი პურით და ერთი დიდი ჭიქა არაყით.

შემდეგ დუნიამ მოკიდა მას ხელი, გააღიზიანა და გადააწვინა დიდ კალათაზე, რომელიც სამზარეულოს კუთხეში იდგა და სავსე იყო გასარეცხ საცვლებით და ჭინჭებით.

ამ ამბის შემდეგ გასპარა ერიდებოდა კიბეზე ასვლას და თუ ადიოდა, ისიც მაშინ, როდესაც ცუდი ამინდი იქნებოდა, ან დუნია შეიტყუებდა მას როგორმე სამზარეულოში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გასპარა ბრუნდებოდა დუნიასგან ცოტათი შეზარხოშებული და საჩქაროთ ჩამოდიოდა კიბეზე.

მხოლოდ ერთხელ დაინახა გასპარამ ის, ვისი ნახვაც სურდა: მკლავში ხელ გაყრილი ის მიჰყვებოდა თავის ქმარს შუა-ტანის, მხრებში მოხრილ კაცს, რომელსაც პატარა დამჭკნარ სახეზე უზარმაზარი თეთრი ულვაშები ეყარა — მატყლივით გაპენტილი.

გასპარამ ჩაუარა მათ გვერდით და შეჩერდა. ქალმა დაინახა ის და ერთის წამით თითქოს შეკრთა, მაგრამ იმ

წამსვე უდარდელი გამომეტყველება მიიღო და რალაცაზე მიუთითა თავის ქმარს.

ქმარმა, ალბად, ვერაფერი ვერ გაიგო და ვერც დაინახა. მაგრამ მაინც გაიცინა, თავმომწონეთ ჩააქნია თავი და გაისწორა ულვაშები.

დიდხანს იყო გასპარა გაჩერებული იმ ადგილზე, სადაც მან თეთრი ქალი დაინახა და იყურებოდა იმ მიმართულებით, საითაც ის წავიდა.

შემდეგ ნელი ნაბიჯით თავჩაღუნული გაემართა თავის ბინისაკენ და იმ დღეს აღარ უვაჭრია.

გასპარას კარგად ახსოვს ის დღე და ის ადგილიც. აი ახლაც შეუძლია მას წავიდეს და მონახოს ის ადგილი, ის წერტილი სადაც ეს ყოველივე მოხდა.

ამის შემდეგ მას არასოდეს აღარ უნხავს ის, არასოდეს აღარ შეხვედრია, რადგან... დადგა ზამთარი თავის სიცივით, დიდი ღამეებით; ტფილისი შეიმოსა თოვლით და ერთ დილას, როდესაც ის დუნიასთან დროსგატარების შემდეგ, ჩვეულებრივად გამთბარი, დაღლილი და შეზარხოშებული ჩამოდიოდა ქვევით, — მას ფეხი დაუცდა მოლიპულ კიბეზე და ძირს გადმოვარდა.

ამ მოგონებაზე გასპარას ტვინში რალაც სწყდება და მისი მახსოვრობა ინისლება ტანჯვაში და ავადმყოფობაში ვანვლილ წლების ბურუსით.

წარსულის ნაწყვეტები მხოლოდ ხანდახან ამოტივტივდებიან ხსოვნაში დავიწყიბის მორევიდან — ხან ერთი. ხან მეორე. მათ არავითარი ძალა აღარა აქვთ. როგორც შუქის ანარეკლი, ისინი მხოლოდ ანათებენ მიმქრალ გონებას. მაგრამ მათ დაკარგული აქვთ სიმხურვალე; ისინი ველარ ათბობენ, ველარ სწვავენ.

მექანიურად აგონდება მას ყოველივე რაც შემდეგ მოხდა: დასნეულება, მარუსას გასვენება, ნიკოლას დაკარგვა. მიკიტას სიკვდილი და კიდევ ბევრი რამ სხვა.

ალექსანდროვის ბაღში მუსიკა აღარ უკრავს. ხალხი დაიშალა. მხოლოდ აქა-იქ, ხეივნებში, სხედან ქალ-ვაჟნი ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთმანეთს მიკრული და ჩუმად ლაპარაკობენ.

შადრევნები დაყუჩნდენ და აღარ ფანტავენ სიგრილეს. ქლაქის ხმაური მინელდა.

გასპარა ამ დროს უცდის; ალექსანდროვის ბაღიდან მას ასეთ დროს უყვარს წასვლა, რომ კიდევ ერთხელ შეებრძოლოს უძილობას და ღამეს.

VI.

იშვიათად იგონებს გასპარა ამ ამბავს თავის ცხოვრებიდან, როგორც უტკბილეს სიზმარს. რა საჭიროა ამაზე ფიქრი, რა საჭიროა გახსენება იმის, რაც ერთხელ იყო და სამუდამოთ გაქრა?

ისევ ნელი ნაბიჯით დაატარებს გასპარა ნავთს და დაღალული მისი ხმა ტირილივით გაისმის ტფილისის საღამოს ჰაერში.

ნავთი — ნა...ა...ა...ა...ა — ნავთი — ნა...ა...ა...ა...

დრო მიდის. თანდათან უფრო ძნელი ხდება ცხოვრება. უკანასკნელი ორი, თუ სამი წელიწადი ტფილისში ზამთარი არაჩვეულებრივად ცივია და მკაცრი. ყინვებით იფარება ქუჩები და კიბეების საფეხურები. ასვლა-ჩამოსვლა თითქმის შეუძლებელი ხდება. მუშტრებიც სხვა მენავთეებს ირჩევენ. გასპარას ხმაც აღარ უჯერის და ველარ ახერხებს ყველას გასაგონად ეზოებში ყვირილს.

მისი შემოსავალი მცირდება და ზამთარში ის მხოლოდ ორიოდე გროშს უდრის, რომელთაც შესაძლებელი ხდება, ისიც გაჭირვებით, მარტო პურის ყიდვა.

წინად -კი — აი თუნდაც 5-6 წლის წინ მისი მთავარი ვაჭრობა ზამთრობით იყო. ეხლა სხვები, უფრო ახალგაზრდები და ჯანსაღები, ახერხებენ ამას. მათ არ უჭირთ კიბეზე ასვლა, მაღალი ხმით ყვირილი, სავსე თუნუქების ხელში მაღლა აწევა, რომ ნავთი, გადმოსხმის დროს, აქაფდეს ჭურჭელში და ზომას ცოტა მაინც მოემატოს.

გასპარას ყურიც იმდენად დააკლდა, რომ აღარ ესმის ძახილი და უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ხელით ნიშნების დანახვაზე მიდის. მასთან, ძლიერ ხშირად ავიწყდება ნისიებიც, თუ მუშტრებმა თავად არ მოაგონეს მას. ეს

იშვიათად ხდება და, ამის გამო, მოგების ნაცვლად, გასპარას თავნიც ეკარგება.

შურით უცქერის ის ახალგაზრდა ნავთის გამყიდველებს, რომლებიც ჩქარი ნაბიჯით დადიან და ხანდახან დასცინიან კიდეც მას:

— პაპა გასპარ?! სეირნობ?..

ზამთარში ალარ შეიძლება ალექსანდროვის ბაღში ჯდომა. მუსიკა ალარ უკრავს, ხალხიც ცოტა დადის, ცივა.

არაყის დასალევათ გასპარას ხშირად ფული ალარ ჰყოფნის.

დროგამოშვებით რომელიმე მიკიტანი სამოწყალოთ პატიჟებს მას ერთ ჭიქა არაყზე და ხმელ „სელიოტკის“ ნაჭერზე.

გასპარა მორიდებით სვამს, შემდეგ მადლობას ამბობს და ქუდმოხდილი მიდის.

არა, არასდროს არ ყოფილა ტფილისში ასეთი მკაცრი ზამთარი და არასოდეს ასე არ გაჭირვებია გასპარას არსებობა, როგორც ახლა.

წამდაუწუმ მას უხდება თუნუქების მიწაზე დადგმა და სიცივით გაშეშებულ თითების პირთან მიტანა და მათი სულისთქმით გათბობა.

უფრო ხშირ-ხშირად რჩება გასპარა უსადილოდ და ვერ ახერხებს „კალბასის“ ყიდვას.

ბნელი სარდაფი, რომელშიდაც ის ცხოვრობს ვირთხებთან ერთად, ცივია სამარესავით.

და მხოლოდ ახლა გასპარა პირველად გრძნობს ცხოვრების სიცივეს.

მიმქრალი გონების ერთი ფიორი ნაწილით ის ბუნდოვანათ ხვდება, რომ არსებობს მხოლოდ მარტობა, მხოლოდ მარტობა და მეტი არაფერი. მაგრამ ამ წამით გაელვებულ ფიქრებსაც არ მოაქვს მისთვის ის მწარე სიტკბოება, რომელიც არსებობს ყოველ გვიან გაგებულ და საშინელ ჭეშმარიტებაში.

მან შეაჩვია ფიქრი მხოლოდ სიმშილს და სიცივეს — თავის ორ უსარგებლო და განუყრელ თანამგზავრებს ცხოვრების გზაზე.

გასპარა იძულებულია მაინც იაროს კიბეებზე. თიაქარი მას აშ დროს საშინლად სტკივა და სულის თქმას უძნელებს. კიბეებზე ჩამოსვლა კიდევ უფრო ძნელია და სასაშიშო: საფეხურები მოლიპულია ყინვით. ყოველი ფეხის გადადგმა გამოანგარეშებული უნდა იყოს. გასპარას აღარ ეხერხება ეს ისე კარგად, როგორც წინად. მუხლებს ძალა აღარა აქვთ. ლურსმნებით დაჭედილი ჩექმები ყინვაზე ცურავს. გაშეშებულ თითებს ჩაბჯენა აღარ შესწევთ. ზოგიერთი კიბეები ნამდვილ საფრთხეს წარმოადგენენ. მათი საფეხურები ჩამონგრეულია და უსწორმასწორი. საჭიროა მეტის-მეტი სიფრთხილე თანასწორობის შესანახავად

გასპარას იმედი აქვს ამინდის გამოკეთების. ის მოელის რომ ყინვები მალე გაივლის და უფრო თბილი და მზიანი დღეები დადგება. მაგრამ სიცივე უფრო და უფრო მატულობს და ძლიერდება. გასპარას აღარ შეუძლია სიარული, მას სცივა: ის იძულებული ხდება ჯანის მოსაყვანად სვას არაყი. არაყი უცბად ათრობს მას, რადგან თითქმის მშიერ კუჭზე უხდება მისი დალევა.

რამოდენიმე დღის შემდეგ გასპარა შეეჩვია ასეთ მდგომარეობას: ის იკლებს საჭმელს და სვამს არაყს, რომელიც ათბობს მის დაქანცულ სხეულს და ლონეს უმატებს.

მას აღარ შეუძლია სავსე ჭურჭლებით სიარული. ის ეხლა ნახევრად გასვსებული თუნუქებს დაატარებს, რაც უადვილდებს კიბეებზე ასვლას და ჩამოსვლას. მაგრამ არაყი თავისას შვება. ორჯერ თუ სამჯერ მას ეკვეხი აუცდა და მხოლოდ რაღაც სასწაულით შეიმაგრა თავი. ერთხელ თუნუქი გადმოუვარდა და ნავთი დაეღვარა.

ორ დღეს გასპარა იძულებული იყო არ გამოსულიყო სავაჭროთ ფეხების ტკივილის გამო.

მესამე დღეს ის გამოვიდა, მაგრამ ვერ ივაჭრა იმდენიც, რომ ორი ჭიქა არაყი დაელია და მშიერმა დაიძინა. ძილში მან დაინახა იასონა მეთორნე, რომელიც გამომცხვარ პუროებს ცეცხლში ჰყრიდა და თან იცინოდა. თორნესთან იდგა ნიკოლა და ხელში აპრიალებული ნაჯახი ეჭირა.

ამ სიზმარმა ის რაღაც ნაირად გაამხიარულა. მეორე დღეს ის უფრო ადრე გავიდა სავაჭროთ და უფრო გაბედულად ადიოდა კიბეებზე. შუადღისას ცივი ქარი ამოვარდა და გასპარა დუქანში შევიდა არაყის დასალევათ. იქ ის ვილაცა მოქეიფე ახალგაზრდობამ მიიპატიჟა და სამი ჩაის ჭიქა ღვინო ერთბაშად დაალევინა. ნახევარი საათის შემდეგ ის შეზარხოშებული გამოდიოდა დუქნიდან გამთბარი და გამაძღარი. მან რამოდენიმე ხანი კიდევ ივაჭრა, მაგრამ დალეული ღვინო თანდათან სძლევდა სხეულს და საღამოს ის. გამოათრიეს ერთ ეზოში რკინის კიბიდან თავგაპობილი და დამტვრეული.

მაღლიდან ქვევით, იმ საფეხურიდან, სადაც ის წაიქცა, დავარდნილ თუნუქიდან კიდევ იღვრებოდა ნავთი, რომელიც ხშირ წვეთებათ ესხმებოდა მიწას, გაციებულ გვამს და აყენებდა ეზოში პატარა მოწითალო გუბეს.

სამი დღის განმავლობაში თითო აბაზით და ორ-შაურით აგროვებდენ ერთმანეთ შორის მენავთეები ფულს მისი კუბოს საყიდლათ და კიდევ ორი დღის შემდეგ ის ამოათრიეს სარდაფიდან, რომ დაემარხათ სადმე გარეუბნის საფლაოზე.

VI. 1927 წ.
ტფილისი.

ს ვ. ყიფიანი.

ᲔᲙᲔᲚᲘᲐᲠᲘᲛᲖᲐ.

1.

მთის კალთაზე, გაუვალ ტყის ხეებ ქვეშ, ცარიელა, ნამიან მიწაზე, უსწორ-მასწოროდ მიყრილან 25 — 30 შეიარაღებული კაცი...

თოფებით, რევოლვერებით, ხელის ყუმბარებით. მხრებზე გადაჯვარედინებული აქვთ ბჭყვრიალა ტყვიებით სავსე სავაზნეები. წამოწოლილან დანესტიანებულ მიწაზე. თავი ზოგს ქვაზე უდევს, ზოგს ჯირკზე და ღამის სიცივისაგან იშმუშნებიან.

ვინ არიან? ამ უდაბურ ტყეში რას აკეთებენ?

ყოველ გუნდს შუაში ცეცხლი უნთია.

ცეცხლი გათენების ხანს ჩანაცრულა და ხმელი შეშის მუგუზლები ნაცარს გარშემოფანტია. თითქოს ცეცხლისაგან განგებ უკან დაუხევიათო.

მიუხედავად ზაფხულის დღეებისა, ხეებ ქვეშ საკმაოდ ცივა. და თუმცა ხეების წვერთებს ნათელი უკვე დასდებია, ხეებ ქვეშ საკმაოდ ბნელა. მაღალ ხეების ფართე ტოტები და ხშირი ფოთლები მზის სხივებს მიწის ნიადაგამდე არ უშვებენ. ამიტომ მიწა სქლად მოფენილია დანესტიანებული ყვითელი ფოთლებით.

ფრინველებსა და ნადირებთან ერთად წამოიშალა შეიარაღებული ხალხიც. ღამის სიჩუმე და მყუდროება დაირღვა. ამოძრავდა და ახმაურდა ეს საშიშარი ჯგუფი ადამიანებისა. ზოგი თოფით ხელში ფერდოზე მძიმეთ დაეშვა და მოჩუხჩუხე ნაკადულს მიაშურა. ზოგი მთქნარებითა და ტანის ზლაზნვით ცეცხლს მიუჯდა. ზოგი ცოტა

მოშორებით ცალკე ცეცხლს აჩაღებს. შემდეგ ტანისამოსს იხდიან და ავარდნილ ალზე ჭუჭყიან საცვლებს ატრიალებენ. ცეცხლისა და მკბენარის ტკიცინის ერთი ერთმანეთში გარჩევა მეტად ძნელია. ზოგი ტანისამოსს აკერებს, ზოგი ქალამნებს ისხამს. ზოგიც თოფსა სწმენდს. მომეტებული ნაწილი კი უაზროდ და უმიზნოდ ერთ ადგილს ტრიალებს და ვერ მოუსაზრებია, რა საქმეს შეუდგეს. არ ისმის არც სიმღერა, არც თამაში, არც ხმა-მაღლა ლაპარაკი.

უცნაურია ყველაფერი ეს ამ უდაბურ ტყეში. და უცნაურია რაზმის შემადგენლობაც.

ყველა დაგლეჯილ-დაფლეთილია და აჭრელებულად ჩაცმული, მაგრამ ტანზე, თავზე ან ფეხზე ყველას შერჩენია სამოსელის ესა თუ ის ნაწილი, რომელსაც ატარებდა, სანამ ხელში თოფს აიღებდა და ტყეში გავიდოდა.

ბაასობენ ზანტად, დაბალი ხმით, ზოგი დაღვრემილია, ზოგი იღიმება, ხოლო ყველას სახეზე მძიმე ზრუნვა და მწარე ფიქრი აქვს აღბეჭდილი. მათი არსება მოუცავს გლოვასა და მწუხარებას. გულები გაჰბოროტებიათ, გაჰმხეცებიათ. ყველა ერთ გრძნობითაა შეპყრობილი და ყველა ერთ კითხვას გამოჰხატავს:

— რას მოუტანს მას დღევანდელი დღე.

განწირულნი არიან. ზურგს უკან შემოსაქნევად გამზადებული ცულით ყველას სიკვდილი უდგას. დღევანდელ დღეს რომ გაუთენდათ, ეს იციან. დაულამდებათ? ამას ვერავინ ვერ იტყვის...

რაზმი წააგავს ნადირს, რომელსაც ოთხივ კუთხივ ფეხდა-ფეხ დასდევენ მონადირეები — შესვენება, ამოსუნთქვა სახიფათოა. ეძებენ საფარს. ხშირ ტყეს, კლდეებს მიუვალ ადგილებს. მათი ცდაა — მდევარს გზა აუბნიონ, მოჰლალონ, გული აუცრუონ, მაგრამ... მდევარი კვალდა-კვალ დასდევს და დღეს თუ არა ხვალ — წამოეწევა.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე რაზმს დიდი დანაშაული მიუძღვის.

არ კმარა ის დანაშაული, რომელმაც თოფი აიღებინათ ხელში. ამ დანაშაულს შემდეგი ბევრი სხვაც დაემა-

ტა და, რაც დრო გადის, ადმინისტრაციასა და მათ შორის უფსკრული ღრმავდება და გადაუვალი ხდება. — საბჭოთა ხელისუფლება წინააღმდეგობას ვერ აიტანს. კანონს გარეშე მდგომ ადამიანს ვერ შეუერიგდება. მოსპობს, აღმოფხვრის მას ძირიანად, ხშირად სასტიკად და შეუბრალებლადაც. რაზმმა არ იცის, რომ ხელისუფლება სამაგიეროს გადახდის გრძნობით არ მოქმედობს, მან არ იცის, რომ ცოდვების მომნანიებელს მთავრობა აპატიებს დანაშაულს.

შეიძლება იცის რაზმმა ეს, მაგრამ არ სჯერა. და სასიკვდილოდ გადადებული, თვით რაზმი აფრქვევს გარშემო — სიკვდილსა.

2.

მზემ მაღლა აიწია. დათბა.

რაზმელების მომეტებული ნაწილი ისევ ძილს მიეცა. ვინც ღამე დარაჯობდა და ან ვინც სიცივის გამო კარგად ვერ გამოიძინა, თბილ მზის ვეშ გაწვა და განცხრომას მიეცა. დრო და დრო სიჩუმეში გაისმის რიხიანი, ბრძანებლობის კილოიანი ხმა.

ეს ბელადი უნდა იყვეს.

დიდი ხის ძირში, ნაბად ქვეშ მხარ-თეძოზე წამოწოლილა და ცეცხლს მისჩერებია. თავს მხოლოდ რაიმე ბრძანების გასაცემად აიღებს.

— მზვერავები არ დაბრუნებულან? — ჰკითხულობს ის მესამედ.

არ მოსულან კიდევ.

ოთხივ კუთხივ დღე და ღამე სადარაჯოებზე გუშაგები სდგანან, რომლებიც თვალს არ აშორებენ და უსმენენ ყოველგვარ ხმაურობას: ფეხის ხმას, ფოთლების შრიალს, ბალახის ფაჩუნს. ამ მხრივ რაზმი უზრუნველყოფილია, მტერი მოულოდნელად არ დაეცემა. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რაზმს გარშემოერტყნენ, „ცეპი დაარტყან", როგორც თვით რაზმელები ამბობენ, და ამით რაზმი ხაფანგში გაებას. ან არა და — გზები შეუკრან. მა-

შინ უკან დახევის საშუალება მოსპობილია და რაზმიც დაიღუპება. ამიტომ ყოველ დილას, გათენებისას იგზავნება რამდენიმე მზვერავი მიდამოების დასათვალიერებლად.

რაზმის ბინის შუაგულში დიდი ცეცხლი ანთია. ცეცხლის აქეთ-იქით მიწაში ჩარჭობილ ორკაპიან ჯოხებზე და ზედ გადებულ მსხვილ სარზე დიდი საარაყე ქვაბი ჰკიდია. შიგ იხარშება ცხვარის მსუქანი ხორცი. მისი ოხშივარის სუნი მშიერ რაზმელებს მადას უღიზიანებს. სამ-ოთხს ადგილას სხვა ცეცხლებზე, გარს შემორიგებულია ორ-სამ არშიანიანი ხის შამფურები და ლორის მსუქანი ხორცი საამურად შიშხინებს და იბრაწება.

ზოგი ხარბის თვალით, ზოგიც თავშეკავებით, დასტრიალებენ სამზადისს რაზმელთა ჯგუფები და გული ელევათ, როდის დაურიგებენ საჭმელს....

მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც პური აქვთ და არც მარილი.

წუხელი ღამიანად გაგზავნეს ახლობელ სოფელში სამი ამხანაგი და მათ მოსვლას ელიან.

3.

— ჩვენებია მოდიან. გაისმა დიდი ხნის მოსალოდნელი ხმა გუშაგისა.

რაზმელებმა შეიფრთხიალეს და თვალი მიაპყრეს იმ ალაგს, სადაც გუშაგი იდგა.

გავიდა რამდენიმე წუთი და წრეში შემოვიდა კაცი: სამი რაზმელი და ერთი ვილაც უცხო მოიყვანეს ორი ცხენი უნაგირიანი და დაბარგული სადავით. უცნობი სულ ახალგაზრდა იყო. თითქმის ბავშვი, დაბალის ტანისა, ჭუჭყიანი პარუსინის პერანგით, გამხდარი, დიდრონი შავი თვალებით. რა ადგილასაც გაჩერდა იქვე ჩაჯდა-და გულ-ამოვარდნილ, გაფითრებული კურდღლის ბაჭიასავით თვალებს აქეთ-იქით აბეცებდა.

მოსულებს ცეხენები ჩამოართვეს და ხურჯინები ჩამოხსნეს.

დანარჩენი ჰკითხულობდენ:

— ცხენები სად იშოვეთ?

— ეს ბიჭი ვინაა?

— სროლა მოგიხდათ?

ბელადი მიუახლოვდა ჯგუფს. მოსულებმა დაწვრილებით უამბეს ამბავი:

ხურჯინებით დატვირთულნი, სოფლიდან გათენებისას გამოვიდნენ. მიდიოდნენ უგზო-უკვლოდ სიმინდში. ხევს რომ გამოსცდნენ, დაინახეს, რომ გზაზე სოფლისაკენ მიდიოდა ოთხი შეიარაღებული ცხენოსანი. ეჭვი არ იყო, სოფლის ადმინისტრაცია იქნებოდა. ბევრი არ უფიქრნიათ, ხურჯინები დაჰყარეს, სიმინდებში გაძვრნენ, გზა გადაუჭრეს და სროლა აუტეხეს. ორი ცხენოსანი მოჰკლეს, მათთან ერთი ცხენიც, ერთი ცხენ და ცხენ გაიქცა და ორი ცხენი და ეს მილიციონერი, რომელმაც მაშინათვე იარაღი დაჰყარა, თან წამოიყვანეს.

მოთხრობა იყო სადა. უბრალოთ, დამშვიდებული კილოთი.

ბელადმა მოუსმინა. ხმა არ გაუცია.

— ვინ იყვნენ ისინი? — ჰკითხა მრისხანეთ მილიციონერს.

მილიციონერი ზეზე არ წამომდგარა ან მეტის მეტი დალლილობის, ან მეტის მეტი შიშის გამო და დამკრთალი ხმით მიუგო:,

— ერთი კომისარი იყო, მეორე პარტკომის მდივანი. ის, რომელიც გაიქცა მილიციონერი იყო.

— შენ ვინა ხარ?

— მეც მილიციონერი ვარ.— ჩაღუნა თავი მან. ბელადი მოუბრუნდა რაზმს და თავი უცნაურად ქვევიდან ზევით და ოდნავ განზე გაიქნია. რას ნიშნავდა ეს, ყველამ კარგად იცოდა.

შვიდი რვა კაცი შეინძრა, თოფები მოიმარჯვა და მილიციონერს შემოეხვია.

....ათი წუთის შემდეგ ტყეში, შორი ახლოს გავარდა თოფი...

კიდევ ათი წუთი და რაზმელები უკან დაბრუნდნენ. ხელში მილიციონერის ჭუჭყიანი ტანისამოსი ეჭირათ....

მოტანილი პური დაანაწილეს. კერძო დაურიგეს. მწვადები დიდიხანია მზად იყო.

ჯგუფები ცალ-ცალკე დასხდნენ და სადილს შეუდგნენ. სჭამეს მაძღრისად და დამძიმებული კუჭის მოსვენება დააპირეს, მაგრამ...

შუა-გულ წრეში მოულოდნელად შემოიჭრა დაბალი, ჭრელი, საოცარი ლამაზი და სუფთა, ჯიშიანი მეძებარი ძალი.

ხალხი რომ დაინახა, მეძებარი შეკრთა, შეჩერდა გადმოგდებული, წითელი ენა პირში ჩაიგდო და ცოცხალ ჭკვიანური თვალებით ყველა შეათვალიერა.

სახტად დარჩენილ რაზმელებს ერთი წუთით თვალები გაუბრწყინდათ, მაგრამ სახეზე მალე სიმკრთალემ გადაჰკრა. ეჭვი არ იყო, ძალს უკან სხვა მოსდევდა.

მსწრაფლ წამოიშალნენ. წამოვარდა ბელადიც და ყველამ საფარი მოსძებნა.

პატარა ხანს უკან ხეებში გამოჩნდა დილით დასაზვერად გაგზავნილი რაზმელები, თან მოჰყავდათ უცხო ვილაც კაცი.

— აქამდის სად იყავით? — შეჰყვირა მოსულებს ბელადმა.

— შორს შემოვუარეთ... აი, ის მთა გადავიარეთ... ასე ხევში ჩავედით... — ბუზღუნით უპასუხა ერთმა მოსულთაგანმა რაზმელმა.

— ვიცი, ვიცი! მუცელს გადაჰყევით, განა. ერთხელაც იქნება, დაგლუპავთ ეგ საოხრე მუცელი, — შეჰყვირა მათ ბელადმა. — ვინ არის ესა? — იკითხა ახალ მოსულის შესახებ.

— არ ვიცით.

— სად ნახეთ?

— გზაში შეგვეფეთა. ნადირობდა თუ რა ვიცი რას შვრებოდა.

ახალი ტყვე იყო შუახნის კაცი უცხო ტომისა. საშუალო ტანის, გამხდარი, მზისაგან გაშავებული და სიცხისა-

გან გაწითლებული და გაოფლებული. ეცვა მონადირის მწვანე ტუჟურკა. მაღალ ყელიანი წაღები და თავზე ჩალის საზაფხულო ქუდი.

მისი სანადირო თოფი, სავაზნე და ყელზე გადასაგდები ტყავის ჩანთა ერთ რაზმელთაგანს ხელში ეჭირა.

სანამ ბელადი ჯავრდებოდა, რაზმელებმა, რომელსაც სახეზე და ტანსაცმელზე ეტყობოდა, რომ ბელადის უახლოესი თანაშემწე უნდა ყოფილიყო, ტყვის ჩანთიდან ამოღებული ქაღალდები გადასინჯა და ერთი მათგანი გაოცებით და გახარებული სახით ბელადს გადასცა. შემდეგ ამგვარადვე გადასცა მეორე, მესამე და მეოთხე ქაღალდი.

ამ ქაღალდებიდან გამოირკვა, რომ ტუსაღი არის მაზალმასკომის პოლიტბიუროს წევრი-გამომძიებელი.

ტყვეს სახელის გაგონებაზე ერთმა რაზმელმა შესძახა:

— ივცი, ვიცი ვინც არის! ჩვენი საქმე მაგას ჰქონდა მინდობილი. მაგაზე ბევრი რამ გამიგონია!

— რა გაგიგონია? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ბელადმა.

რაზმელს სახეზე შერცხვენა დაეტყო და თითქოს ბოდიშს იხდისო, გაუბედავად წარმოსთქვა:

— რა ვიცი, ძალიან აქებდნენ. ამბობდნენ, ურიაა, მაგრამ კეთილი კაციაო... ერთი ჩემი ბიძაშვილი დაიჭირეს. გვეგონა დახვრეტავდენ. მაგრამ მაგან გამოუშვა. მამაშვილურად დაარიგა, წადი და ამას იქით ჭკვიანად იყავიო... ხალხი ძალიან ემადლიერებოდა — დაამთავრა რაზმელმა და თავი გვერდზე მიიღო.

ეს ლაპარაკი ბელადს თითქოს არ ესმოდა, ქაღალდები გვერდზე მდგომ რაზმელს გადასცა და თავი ქვევიდან ზევით და ოდნავ განზე გაიქნია.

ათიოდე რაზმელი შეინძრა. თოფი მოიმარჯვეს მიუახლოვდნენ ტყვეს, რომელიც შედარებით დამშვიდებული იჯდა ხის ქვეშ და პაპიროზს სწევდა.

— Поедем....

ტყვეს გაჰყვა ოთხი.

დანარჩენი ნაწყენი გულით, ჩამორჩენ.

15-20 წუთის შემდეგ გავარდა თოფი. შემდეგ მეორე და მესამე. თოფის ხმას არავინ არ შეუწუხებია. მხოლოდ ის რაზმელი, რომელიც ტყვეს იცნობდა შეშინებული თავისთვის ბუტბუტებდა:

— რადა, კაცო, რისთვის?!..

5.

მზემ დასავლეთისაკენ გადიხარა და მთის ერთ-ერთ მწვერვალს ამოეფარა.

დღე თავდებოდა.

ბუნებამ განვლო იგი თავისებურად, ცხოვრებამ — თავისებურად.

პირველმა უხვად მოაფრქვია ირგვლივ სიცოცხლე, სილამაზე და სინაზე.

მეორემ — სიკვდილი, სიმახინჯე და სიტლანქე.

რაზმელები ამას არ გრძნობდენ.

თითქოს ეს მათ არ შეეხებოდათ და მთელი მათი ყურადღება მიპყრობილია ეხლა ძალზე.

როდესაც პატრონი დასახვრეტად წაიყვანეს, ძალიც წამოვარდა და გაყოლა დააპირა, მაგრამ დარჩენილი რაზმელები საყელოში სწვდნენ თვალებზე ხელი აუფარეს და ალერსი უწყეს.

სილამაზე, სისუფთავე, სიმკვირცხლე და გონიერი კეთილი თვალები ძალისა ყველას ჰხიბლავს. აწვდიან პურის ნატეხებს, ხორცის ნაჭრებს. ბალანზე ხელს უსვამენ, ნესტიან ცხვირს ჰკოცნიან და სცდილობენ მიიპყრონ მისი ყურადღება..

— არავის არ დავანებებ! — აღტაცებით გაიძახოდა ერთი.

— ჩვენთან ივლის!

— ჩვენი ოჯახის წევრი იქნება!

გულში ყველას ტკბილი გრძნობა უღვივის. შეტრფიან, შეჰხარიან, მაგრამ....

თითქოს უცბად მეხი გავარდაო, ოცდაათმა გულმა თანაბრად შეითამაშა, გაშრა და გონება სადარაჯოზე დადგა...

— გაიყვანეთ ძაღლი და მოჰკალით! — მეორედ და მესამედ ჰყვიროდა ბელადი. მაგრამ რაზმელები ერთმანეთს განცვიფრებით შეჰყურებდნენ და ვერა გაეგოთ რა.

— არ გესმით! — წამოვარდა ზეზე ბელადი და რაზმი მკაცრის სახით შეათვალიერა.

ჯგუფს გამოეყო ერთი, ბელადს მიუახლოვდა და საცოდავი ლიმილით მოახსენა:

— იყოს, ბელადო, რას გვიშლის!?.

ამ თხოვნით გათამამებულნი სხვებიც წამოდგნენ და ერთად შეჯგუფდნენ.

— არსად გავუშვებთ!

— აფსუსია, ასეთი მშვენიერი ძაღლი!

— ცოდოა, ბელადო!

— ჩვენთან იქნება რა უშავს!

— რას მიჰქარავთ. რას მიედ-მოედებით, ძაღლს თქვენ გააჩერებთ. ამაღამვე გაგეპარებათ!

— დავაბამთ, ბელადო!

— გვერდიდან არ მოვიშორებთ!

— რომ გაიპაროს კიდევაც, რა იქნება?!

ბელადი ულმობელი იყო.

— არ შეიძლება, ჭკვიანი ძაღლია, წავა და მდევარს ხვალვე თავზე დაგაყენებთ... გაიყვანეთ და მოჰკალით! ბრძანა უკანასკნელად და თავის ბინისკენ გაემართა.

ადგილიდან არავინ დაიძრა. სერიოზული მომენტი იყო. შესაძლო იყო სასტიკი დასიპლინა დარღვეულიყო. ბელადის ავტორიტეტი დაცემულიყო. ბელადი უცბად შემოტრიალდა და დაიღრიალა:

— გესმით!

შემდეგ ყველა თავჩალუნული რომ დაინახა—დაიძახა:

— ბესო, გაიყვანე ძაღლი და მოჰკალი!

ის, ვისაც ეს პირდაპირი ბრძანება ეხებოდა, ადგილიდან დაიძრა, ძაღლს მიუახლოვდა, ამხანაგებს ხელიდან გამოართვა და საყელოში ხელჩაკიდებული განზე გაათრია.. ძაღლი კუდის ქნევითა და ხტუნაობით მისდევდა, სცდილობდა წინ გაესწრო. ისე რომ მკვლელს ის მიათრევდა. ოცდაათამდე წყვილი თვალი მისჩერებოდა იმ ადგილს, სა-

დაც რაზმელი და ძალი მიიმალენ. შემდეგ თვალები ძირს დაუშვეს და სულგანაბულნი ელოდნენ თოფის ხმას. თოფიც გავარდა...

ყველა შეკრთა. თავი უფრო ძირს ჩაჰკიდეს რაზ-მელებმა.

თანდათან დაბნელდა...

ბელადს დრო და დრო ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა

ჭარიამ გარიყული.

ნაბიჯ.

— ვისი წერილია დედა?
— ვისგან არის?
— ძამას წერილია?
— დამაცათ ბავშვებო! დამაცათ, შემომაცივით ჭიბკებივით და გასაქანს არ მომცემთ!—გადახია ქალმა პაკეთი. „ძვირფასო ძმის შვილო ნატალია". — იწყებდა წერილი.
— მამიდასაგან უხდა იყოს.
დახედა წერილის ბოლოს. — ჰო, იმისაგან არის, „მამიდა თინათინი".
ისევ განაგრძო კითხვა, ხმას თანდათან დაუწია, ნელა ჩამოჯდა სკამზე წერილი წინ მაგიდაზე გაიშალა, ჩურჩულით ჩაიკითხა ბოლომდის.
„ოდეს კაცსა გაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი". შენ გენეცვალოს შეხი მამიდა, ხომ გაიგე ჩემი გაჭირვება, საჩქაროთ პასუხს ველოდები".
ქალმა ისევ მოსძებნა ის ადგილი საცა ამოიკითხა:
„ოდეს კაცსა გაეჭიროვს მა'ძინ უნდა ძმა და თვისიო".
გულ'ში რაღაც გადაუბრუნდა, თითქოს შიგ ცხელი რკინა დაუტრიალეს, გადატყდა რაღაც, უჩინარი ცრემლი მოადგა თვალებს.
— რაო დედა, რას, იწერება?...
— ავად არის?
— ჩამოდიო....
— არაფერია ბავშვებო! დამანებეთ თავი, რათ იცით რომ ერთ წუთს არ მომცემთ საშუალებას დავრჩე ჩემ საკუთარ თავთან... გადით, წაიყვანე მარიკო ბავშვები, ათამაშე, ქეთო შენ აქ დარჩი ჩემთან...

ყმაწვილები აიმრიზენ, აიბუზენ, ზოგმა თითი ჩაიდო პირში და ნეულაცყოფილად ლოყებ გამობერილი თითის წვერებზე გაიარა, მარიკომ განზე გახედა უფროს დას... დიდი ვინმე ბრძანდებიო". რეზომ ენაც გამოუყო და გალაგდენ ოთახიდან. დედამ წააკითხა უფროს ქალს წერილი და ჰიკითხა რჩევა, როგორ მოქცეულიყვნენ ქეთომ გამოსთქვა თავის აზრი და ნატალიამ მისწერა პასუხი მამიდას:

„წამხდარსა საქმეს რას არგებს, ბოლოსლა თითზე კბენანი" — ძმის წულმაც შოთას სიტყვებით უპასუხა ძველ ქალს, მამიდა თინათინი ძველი ქალია, ვეფხის ტყაოსანზე აღზრდილი, მას შეუძლია სულ ამ ნაწარმოებიდან ილაპარაკოს, იცის რომელ გარემოებაში, რომელი ტაეპი იხმაროს, ბევრს არ გეტყვის, იმით მოგიჭრის სიტყვას. გრძელი იყო ნატალიას წერილი და თავდებოდა—„ამოიყვანეთ". ქეთომ წაიღო და ჩააგდო საფოსტო ყუთში. ნატალიამ, სტუმრების მოლოდინში იწყო მზადება; უკან აივნის ბოლოზე. უცხოს თვალიდან გასარიდებელ ოთახში გამართა საწოლი პატარა მაგიდა სკამით და საკით. აქ დღემდის საკუჭნაო ჰქონდა, დღეს ოთახათ აქცია უნდა სტუმარი მიიღოს შიგ.

ხუთი დღის შემდეგ ხმაურობა და თოთქოლი ასტეხეს ყმაწვილებმა.

— დედა! დედა! მამიდა თინათინი მოვიდა. ნანიკო ჩამოიყვანა, ნანიკო!

მის ცვივდნენ ბავშვები სამზარეულოს, არ აცდიან დედას საქმიდან ხელი გაინთავისუფლოს და წავიდეს სტუმრების შესახვედრად. ბავშვები ისევ უკან გაობიან, ეხვევიან თინათინს, ნანიკოს, ნანიკოს ჩამოსვლა უფრო ეხარებათ, ყმაწვილია, ახალგაზრდა მათი ამხანაგი. იცნობდენ, უკანასკნელი ორი სამი ზაფხული მამიდასთან გაატარა ნატალიამ, ცხოვრების სიძვირის გამო ველარ მიდის აგარაკზე და სჯერდება მამიდის ეზოში კაკლების ჩრდილებს, ნანიკო და ეს ბავშვები მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ, მიდიან რუს თავზე სხდებიან ანკესებს უშვებენ შიგ და თევზაობენ, ფერმის შეფენილ ჩიგვნარიან ტყეში დარბიან იმალებიან. ბიძია ყარამანი ქალაქის განაპირას ცხოვრობს, თითქმის სოფელია, ბალე-

ბით გარსშეკერტყმული, წყარო და ჩრდილები, არც თუ ქალაქს არის მოწყვეტილი და კარგ დროს ატარებს აქ ნატო შვილებით. ნანიკო თინათინის მაზლის შვილია, ყარამანის ძმის წული, ადრე დაობლდა და ამათ იშვილეს, ბიძასმზე და მთვარე ძმის შვილზე ამოდის, ბებია დარეჯანის სიცოცხლეა ნანიკო, თავისი აფრასიონის მაგიერი. უმადლის შვილს, რომ უპატრონა ობოლს, მადრიელია რძლის და მასაც უნდა სამაგიერო ასიამოვნოს, სახეში შეჰყურებს თინათინის სტუმრებს, ესენიც ბებიას ეძახიან და ნანიკოსთან ერთად მისდევ-მოსდევენ, ეხლა ეს ნანიკო ეწვიათ, ესტუმრად და აბა როგორ არ გაიხარონ?

ნატალიამ დაჰკოცნა მამიდა თინათინი, აკოცა ნანიკოსაც, მაგრამ ცივი იყო ეს მიკარება გულ გახრილი, იგრძნო ახალგაზრდა გოგომ ეს და მეტად დაკრთა, ნატალიამ ჩახედა ქალს გაცრეცილად ეჩვენა ნორჩი სახე, მოპარულათ შაევლო თვალი მის აღნაგობას, ახოვანებას: მალალი გამხდარი — ალეწილა, სწრაფად აშოლტილა, კისერი დაგრძელებია და კინკიბები მოუჩანს, თვალთა კილოები გარღვევია და ლაქა რამ გაჰკვრია სწორ თეთრ ცხვირს. გული ეტკინა ნატალიას, მიუბრუნდა თავის ქალს.

— ქეთო! რას გაჩერებულხარ, გაიყვანე ნანიკო, პირი დააბანინე, მოიშინაურის დაღლილი იქნება. — ქეთომ ხელი მოჰხვია სასურველ სტუმარს და წავიდნენ.

— მარიკო შენც წამოდი, თქვენც, ყველანი... წამოდით....

ბავშვები ერთი მეორეს მიეხვივნენ, ასტეხეს ყიჟინა და ხმაურობით გაიხურა კარი... ორი მანდილოსანი დარჩნენ ერთად, შეხედეს ერთმანეთს უსიტყვოთ, მდუმარეთ...

— დაჯექი მამიდა... მითხარი რამე... როგორ ხართ, რა მოხდა, რა ღმერთი გაწყრა, ვინ დაგვასხა თავს ლაფი?

— შენ გენაცვალოს მამიდა შენი, თუ ვიცოდე რა მიჭირს, გამოამჭრა ყელი, შემირცხვინა ქალობა, რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რომ მოვკლა არ მენანება.

— ჰო, კარგი, გულის გაშფოთებით რა იქნება, ამით უფრო გავაფუჭებთ საქმეს. მაინც ვინ არის?

— ეს არ მკლავს, მამიდას ვენაცვალე?... ქვა ჩეიხეთქა მუცელში, ჩეიგდო ენა. ათასჯერ სასიკვდილოთ გევიმეტე, ვცემე, ვათრიე თმებით, რომ ჩაეგდო ენა, არ იქნა და არა, სიტყვა ვერ დავაცდენინე...

— ცემით რა გაკეთდება მამიდა, ცუდი არაფერი იფიქროს, ისევ მოფერებით უნდა შევეცადოთ... საკვირველია, რატომ არ ამბობს... ალბად არ ითქმის. ნათესავი თუ ვინმეა....

— ვინ არ დაუსახელე... ეს თუა, ეს თუა მეთქი... გიპასუხებს რამეს ეს კედელი... მომასხამს ამ დროს სისხლი კისერში ვწვდები თმებში დევითრევ და ვაკვდები ასე გულს...

— საწყალი დარეჯანი როგორ გამწარებია მოხუცება...

— დარეჯანი სადღაა შვილო?!..

— როგორ ალარ არის ჩემი დარეჯანი?..

— ალარ მამიდა, ალარ, ვერ შეგატყობიე.... ხომ იცი რა დროში ვართ, მოგერიდე ხარჯი მოუვა მეთქი...

— საწყალი დარეჯანი ის რომ ყოფილიყო იქნებ...

— იგი რას მოწყესავდა შენ გენაცვალე, ბებერი ქალი კი არა, ბიძა მისი დღე და ღამე დარაჯად იყო დამდგარი...

— მართლა ბიძია ყარამანი, სულ დამავიწყდა მეკითხა, რასა იქს, ცუდ გავლენას იქონიებდა მასზე ეს ამბავი.

— სათქმელია შვილო?! მკვდარი დადის კაცი, არც სვამს, არც ჭამს, სულ თავის თავს ებრძვის, ვინ შემირცხვინა კაცობა და ოჯახიო....

— მაინც ვისთან ჰქონდა მეტი დამოკიდებულება...

— ეშმაკებთან შვილო! ახლანდელ საქმეს ვინ გეიგებს... ვინ გვკითხავს ან წასვლას, ან მოსვლას, დღე არ გააჩნიათ და ღამე, ქალები ბიჭებათ გადიქცენ, ბიჭები ეშმაკებათ და ალარ ვიცი რა ამბავია... ეს ამის კრებაო, ის იმის კრებაო, კლასს კი არ ჯერდებოდა ათას სხვა კლასებში შევიდა, ღმერთმა არ იცის მაგენის თავტანი, იგლიჯინა, ირბინა და დამმართა ეს საქმე...

— რათ უშვებდით ასე თავის ნებაზე, ვერ უყურებთ რა ამბავი ხდება.

— ვინ დაგიჯერა?! ვეხვეწებოდი, ველმერთებოდი, ნუ დადიხარ შვილო ამ შუა ღამეში, ვინმე შეგაშინებს, ვინ-

მე შეგარცხვენს... "აბა, შემარცხვენს რავა, თქვენი დრო ხომ არ გგონიათ". შუა ღამემდი გზაში იყო გამდგარი ბიძა მისი და უდარაჯებდა ვინ მოყვებაო, საწყალი აკანკალებული, ბრაზისაგან გულგახეთქილი შამევიდოდა სახლში...

— მერე?

— მერე და ა, უყურებ ასე დამემართა.

— რამდენი ხნის არის.

— არც ეს ვიცი... ეჭვი მაქ ვითამ... საწყალი ჩემი დედამთილის ნასიკვდილევზე სოფელში წეველი და მაშვინდელი უნდა იყოს....

— რას სტოვებდი მარტოს?

— მარტო რატო მამიდა, ამხელა ქალი იყო, დოუტოვე ბიძა მისს, გოურეცხს, დოულაგებს, სადილს აჭმევს მეთქი, დიდი საქმე იყო, გამზდელ მიძას ცოტა ხანს მომსახურებოდა? მასპინძელ ქალს რაღაცამ გაურბინა თავში, ტვინი გაუწვა... საფეთქლებში იტაცა ხელი...

— რა იყო მამიდა... რა დეგემართა...

— არაფერი მამიდა ჩემო, არაფერი... მე გავიგებ ამ ამბავს, უთუოდ გავიგებ.

მესამე დღეს გაბრუნდა თინათინი, ცოტათ შემსუბუქებული მიდიოდა ქალი, სიმძიმე მოიხსნა ბეჭებიდან და დაუტოვა ძმის წულს.

— "გამოსტეხს ნატალია. მოხერხებული ქალია, უთუოდ ათქმევინებს ვინაა ჩემი ოჯახის ამომგდები და მერე, ჩალით-კი არ არის ქვეყანა დახურული, ვაიძულებ. შავ დღეს დავაყენებ, ყარამანი გავლენიან პირებს იცნობს, სამსახურის კაცია, მისი პარტია ასე არავის გაათელინებს ყარამანის თავმოყვარეობას, ახლა დრო აღარ არის ქალს რო, აუბედურებენ და გზა შარაზე ტოვებენ, შავ დღეს დააყენებენ, ციხეში დაალპობენ, ერთი გევიგო ვინაა. ერთი მომწეროს ჩემმა ნატამ, ქორივით ვეცემი ვინც იქნება და ვაი იმას თუ უარი გაბედა...

ელაპარაკება თავისთავს თინათინი, ხმა მაღლა, მატარებელი მიჰქრის დასავლეთისკენ, ორთქლის ზოლი და

მისგანვე ანადენ კორიანტელის წვრილი სილა, სახეში ხვდება ფანჯარაში თავ გადაყოფილ თინათინს, თმა ეწეწება, თავსაფარის ერთი ყური მოუტაცნია ქარს და რონოდის კედელზე გაუკრავს. მიჰქრის მატარებელი და სტოვებს უკან ტრიალა მინდვრებს, ხეებს, თხრილებს, დაგვიანებულ გუთნეულს, ჩამოფხრეწილ გლეხებს, პატარა ჩამოგლეჯილ გოგო ბიჭებს ხელში რომ სახრით უდგანან ნახირს, ცხვარს, გამხდარ ლორებს, დაკვირვებით ადევნებენ თვალს ჩოჩოდებს თითქოს ნაცნობს ეძებდეს შიგ. მათ თვალები, ვერას არჩევენ... შორს მდინარე გამოჩნდა ლა ისევ დაიკარგა კლდეს მოეფარა, პატარა ბოგირს გადჟრბინა მატარებელმა გარახრახდა და გაიარა, თინათინმა თვალი მოჰკრა, ლიანდაგის პირთან ქვის ოთახს, სადარაჯოზე მდგომ დედაკაცს, მწვანე დახვეული ბაიარალი უჭირავს, ხელში, რკინის ბოძს ჰაკვრია, ქარი კაბას უფრიალებს და ქვიშას აყრის უწინდო, შემწვარ წვივებზე, ცხვირზე თავსაფარი აუხვევია, დგას მუცელ გამოშვერილი, იქვე შიშველი ბავშვები თამაშობენ კენჭებში. მიჰქრის მატარებელი, სტოვებს ყველა ამათ, სტოვებს ჯეჯილებით აწვანებულ მინდვრებს, შორს, შეფენილ მთებს, აქა იქ, სოკოებივით შექუჩულ სოფლებს, ეკლესიების თეთრ გუმბათებს, თვალის დასასრულს ჩამოუმდინარ თოვლის წვერებს, ყველა ამათ ადევნებს თვალს თინათინი, ფიქრებით ისევ თავის თავთან არის:

„შავ დღეს დავაყენებინებ, არ გავახარებ ჩემი ოჯახის ამოძგდებს, ჯერ გამოსტეხონ, ჯერ ათქმევინონ გოგოს.

ნატალიამ ბევრი გზით მოუარა ნანიკოს საიდუმლოს, მაგრამ არ იქნა, ოდნავ ვერ მიაგნო სინამდვილის დასაწყისს. გაქვავდება ნანიკო... არც ხმას იღებს, არც სუნთქავს, არც თვალს ახამხამებს... ანებებს თავს ნატალია, გადასდებს გამოძიებას სამერმისოდ.

— ქეთო! მეტად დაუმეგობრდი, უთხარი შენი ამბავი, წაათამამე, სრული ნდობა მოიპოვე, იქნებ გენდოს და გაგიტყდეს.

უთხრა ქალიშვილს ნატალიამ.

მეგობრები ერთად იძინებენ, ქეთოც ამის ლამაზ ოთახში გადმოსახლდა. ერთად ჰკითხულობენ რომანებს, მსჯელობენ, არჩევენ. ნანიკომ მშვენივრად იცის გერმანული და ასწავლის ქეთოს და ძმას. წაიყვანეს თეატრში, კინოში, საზოგადოებას არ არიდებენ. ახალგზრდა ქვრივად გააცნეს ნაცნობებს.

კარგი გოგოა ნანიკო, წმინდა და უმწიკვლო, ვარდივით გადეშლება გული და ბავშვივით გადიკისკისებს წკრიალა ხმით მაგრამ რაღაც დაეცემა მის მხიარულებას, ჩაჰკლავს ამ ხმას, ჩააქრობს თვალთა სხივს, დააკრთობს ლაწვებს, ჩაიკეცება და აღარ ისმის ნანიკოს ხმა. ის საათობით მიუჯდება ფანჯარას, ფანჯრის ძირთან მსხვილი ვაზია ამოზრდილი, შეფოთლილი, დასხმული მწვანე კუნწულს მტევნებით, შეჰყურებს ამათ ნანიკო... „ჰო, გაიშალა ვაზი, დაისხა ეს ნაყოფი, მერე დამწიფდება, გადაწევს აქედან ვინმე ხელს; დეიდა ნატო, ან ქეთო, ან მარიკო, მოსწყვეტს ამ მტევნებს, ეს ადგილი დაცარიელდება. ამ ვაზს-კი არ ეცოდინება რათ გამოიღო ეს ნაყოფი, ან რათ წაართვეს... ჩემი საქმეც ხომ ასეთია?...

— ნანიკო! გენაცვალე!.. რათა ხარ ასე მოწყენილი?... გავიაროთ სადმე.

მოუჯდა ქეთო მეგობარს, ნანიკომ შეავლო თვალი არაფერი არ გამოსთქვა, არც „ჰო“, არც „არა“..

— რით დაგარწმუნო ნანიკო ჩემს ერთგულებაში? ვერ წარმოიდგენ როგორ გულს მიკლავს შენი ასეთი ყოფა, ჩვენ ყველას გვაწუხებს შენი დარდი, დედა ნახევარ ღამეებს არ იძინებს, რამდენჯერმე დაგხედავს, შენ ძლიერ იტანჯები სიზმარში, გაწუხებს რაღაც...

— სიზმარში?!..

წამოწითლდა ნანო, საოცნებო თვალები გაუხდა, სადღაც იყურება, ვილასაც უცქერის.

— ჰო, სიზმარი. მაწუხებს მე...

— მაშ რატომ არ გინდა როგორც შენს საკუთარ დას გამიზიარო შენი გულის დარდი, იქნებ როგორმე გიშველო.

ნანიკომ მხრები აიწია.

— რა უნდა მიშველო, ჩემო ქეთო! მე ვიცი რაც მიშველიდა მაგრამ არა მაქვს ძალა, არა მაქვს ნების ყოფა... არც ის მიშვებს....

— ვინ არის ის?

ქალი ისევ გაირინდა...

— მე ისევ ბავშვი ვარ, ჩვიდმეტი წლის ვიყავი, კიდევ მინდოდა სიცოცხლე...

— იცოცხლე გენაცვალე! ვინ გიშლის სიცოცხლეს?..

— ადრე დამავალეს დიდი საქმე...

— ვინ დაგავალა, რატომ არ ჰხდის ფარდას საქმეს და არ ასახელებ?...

— ვინ დავასახელო?

— ასე არ იქცევიან ჩემო ნანიკო! რა საჭიროა დამალვა, დაჩქმალვა და თავის გულში ჩაკეტვა?... მე ვერ მიყურებ? ჩემი საქმარო სახლში მოდის შენც იცნობ და ყველანი.

ნანიკოს უსაზღვრო ნაღველი დაეჩნდა სახეზე.

— რამ დაგალონა ასე, ასე ჩქარა რამ შეგიცვალა სახე?

— ჩემი საქმე ასე არ არის, შენ ბედნიერი ხარ, გიყვარს და იცი ვინც გიყვარს.

— შენ ნანო?

ნანიკო დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა... ქეთო გაფითრდა, ცოტა უკან დაიხია დაკვირვებით დაუწყო ცქერა...

— შენ გგონია შევიშალე? ეს მართალია... მე ვიცნობდი ერთ ყმაწვილს, შორიდან, ერთ ერთ კრებაზე შევხვდი, ჩვენ არ გაგვიცვნია ერთმანეთი. ჩვენ ერთმანეთს უყურებდით თვალებში და მე ვფიქრობდი სულ იმ ყრმაზე...

— და მერე ვინ იყო ის?...

— არ ვიცი.. უცხო იყო, საქმის კაცი იყო...

— და მერე?

— ვიკითხე და მითხრეს წავიდაო, მე სულ იმაზე ვფიქრობდი და დამესიზმრა რომ...

ქალს წასკდა ქვითინი...

— ნანო გენაცვალე! რა საშინელებას ამბობ, დამშვიდდი, მოიკრიფე ღონე, მოიგონე ყველაფერი... სიზმარი იქნება ცხადში იყო.

— არა, არა ქეთო!... რომ გამელვიძა ისევ ჩემ საწოლში ვიყავი, სახლში არავინ იყო. ბიძია სამსახურში წასულიყო, ელდა მეცა, უსაუზმოთ გაუშვი მეთქი, დავაპირე ადგომა და სხეულის საშინელი სიმძიმე ვიგრძენ, ისევ წავედი ბუნანში და დიდხანს მადგა თავზე ის უცხო ჭაბუკი.

— მერე, მერე ნინიკო? — ქეთოს თვალები გაუგანიერდა. შთანთქა ქალის ნაამბობმა.

— და მას შემდეგ მე მრწამს ალბათ ისევ მოვა ქვეყნად დიდი კაცი... რომელიც იტყვის სულ ახალ სიტყვას, მაღალს საკაცობრიოს და მე ვიქნები რჩეული დედათა-შორის. ის არ იქნება კაცის ძე.

ნანიკო ისევ გაირინდა, ყური რაღასაც მიაპყრა, სხეული აუთრთოლდა, სახის ფერი დაჰკარგა, თვალები მოჰხუჭა და ბალიშზე მიესვენა...

დიდხანს ილაპარაკეს ექიმმა და დიასახლისმა სტუმრის შესახებ.

— ასეა საქმე ბატონო, მხოლოდ ის ამბავი გამოვიტანეთ მისგან. ნახევრად შეშლილი შემრჩა ხელში, უთუოდ შეშლილია მაგრამ უწყინარი. ბატონო კოსტანტინე! შემოიკრიბეთ ყოველი თქვენი გამოცდილება, დამიხსენით ამ საშინელებისაგან...

— მოითმინეთ, ნუ ღელავთ, დაკვირვება და სიდინჯე უნდა ასეთ საქმეს... პირველ მასთან საუბრის დროს მე არ გამომიტანია ასეთი შეხედულება, იქნებ შემდეგ მოხდა მის არსებაში რაიმე ცვლილება.... ვნახოთ... სთხოვეთ...

ნატალია შევიდა ნანიკოსთან.

— ნანიკო! ექიმ კოსტანტინეს მოუხმე, მობრძანდა და იცდის, შენ ხომ მოგწონს ეს ექიმი, გამოცდილია და დიდი მცოდნე. ყველაფერი უთხარი, რაც გაწუხებს, ნურას დაუშალავ.

— მობრძანდეს.

— უპასუხა ნანიკომ კრძალვით და შესწორდა ლოგინში, შერცხვა ქალს მკრთალი სახე აუღაჟღაჟდა, ცივმა ოფლმა გამოჟონა შუბლზე.

ნატალიამ სავარძელი დაუდგა ექიმს და გაეცალა. ნანომ შეშინებული თვალი გაადევნა მიმავალ ნატოს და კარზე გაეყინა. ექიმს არ გამოეპარა ეს თვალები, ქალის შეშინება.

— ჰო, რა იყო! დინჯათ იყავი, ნუ ღელავ... მითხარი ყველაფერი...

— რა ბატონო?

— რაც გაწუხებს....

ექიმმა აიღო ქალის ხელი ნელა, დაყვავებით — „ღმერთო! რა სასიამოვნო ხმა აქვს ამ ექიმს, რა სათნო სახე ამას ყველაფერს ეტყვის კაცი....

— ეს რასაც ეხლა ჩვენ ვხედავთ გარეგნობით, ბუნების საერთო მოვლენაა, აქ უბედურება არა არის რა, პირიქით, ბედნიერებაა გეთაყვა! აბა წარმოიდგინე, ერთი სიცოცხლიდან მეორე სიცოცხლის წარმოშობვა; განაყოფიერება, ეს ბუნების ისეთი რთული კანონია რომ, უკეთესი იქნებოდა, ჩვენ ადამიანები, ჩვენი უკანონო კანონიერებით არ ვერეოდეთ შიგ და რაღაც ჩვენგან შექმნილ ზნეობით არ ვახშობდეთ სიცოცხლის ჩქერას. მაშ შენ რა გაქვს სავალალო? უთუოდ გიყვარდა... გაგიტაცა, და ასე მოხდა... რათ მჭმუნვარებ, იქნებ შესაფერი არ არის შენი და ნანობ, იქნებ ახლოს ნათესავია და ვერ ამხელ... არ გეკითხებით, არ გაწუხებთ მხოლოდ ისე თუ რამე გაწუხებს, იქნებ გინდა ვისიმე ნახვა?

— ნახვა? არ ვიცი... ვისი ნახვა უნდა მინდოდეს?

— იქნებ გამზრდელებთან გინდა დაბრუნება და ამაზე ნაღვლობ.

— იქა? არა, მე აქ კარგად ვგრძნობ თავს. ასე მგონია ყველას უყვარვარ, ყველას ვეცოდები.

— ყოჩაღ ქალო, ბარაქალა, ყველას უყვარხარ მაშ... მომეცი შენი მაჯა!

ისევ აიღო ქალის ხელი.

— კარგი... ეხლა გული მოვისმინოთ... კარგი თავი ხომ არ გაწუხებს? გრძნობ საფეთქლების სიმძიმეს? ან აქ, კეფაზე ხომ არ გცემს ჩაქუჩივით...

— რა ბატონო!

— ხომ არაფერი გელანდება, რაიმე სახეებს ხომ არ ხედავ, ამათ ჩვენ გალუცინაციებს ვეძახით.

— არა, ბატონო, მე სრულ ჭკუაზე გახლავართ....

— არა, ამას არ ვამბობ, ამ მდგომარეობაში საჭიროა ასეთი რამ.

შეასწორა ექიმმა თავის ნათქვამი.

არა ბატონო! მე არაფერი არ მაწუხებს, მაწუხებს მხოლოდ ის...

— რა?

— სიზმარი... სიზმარი ბატონო... მოგახსენებენ რომ... დიახ... უნდა ვსთქვა ყველაფერი.....

— ჰოო, ჩემო კარგო უნდა სთქვა მაშ... ცხოვრებაში ათასნაირი საოცრებანი იმალება, რომელიც ჯერ არ იცის ადამიანმა, რომლისთვისაც ჯერ ვერ მიუგნია, უბრალო თვალით არ დაინახება... სიზმარი ჯერაც არ ვიცით რაა. ხან უმნიშვნელოა, ხან სრულებით აგიცხადდება კაცს. . ხდება ასეც, ადამიანს უკეთებენ ეგრედ წოდებულ გიპნოზს, და იმის ძალის ქვეშ ჩაადენინებენ ყველაფერს რასაც ის მხიზელი ვერ ჩაიდენდა, თვალია ადამიანი დაიძინებს იმ გიპნოზის ძალით, მიდის, მოდის, იმის კარნახით ვინც შთააგონა, აკეთებს ყველაფერს რასაც უბრძანებს, შემდეგ ეღვიძება, დათენთილს, მოშვებულს და ავადმყოფს. მას თავი სიზმარში ჰგონია და გრძელდება ასე... ჩვენ მსწავლულნი ვიკვლევთ ამას, უცხადებთ ბრძოლას ამ სიბოროტეს, ამიტომ ავადმყოფმა უნდა უთხრას ექიმს რა აწუხებს ისე ექიმმა რა გაუგოს?..

ნანიკო უგდებს ყურს, გულის ხმიერებით მოისმინა... სახე თანდათან გაუნათდა...

— გიპნოტიზმი?... მე ვიცი ეს, ბევრიც მიკითხვას ამაზე... დაფიქრდა. მერე, ვის შეეძლო ჩემი ასე მოქცევა?...

— მას ვინც სახეში ამოგიღო... აბა, მითხარი, რა გაწუხებს, როგორია შენი სიზმარი.

— მაწუხებს ბატონო სიზმარი... სიზმარითვე დაიწყო ჩემი ავადმყოფობა... მამიდას ვერ უთხარი, ვერ გამიგებდა, ვერავინ ვერ გამიგებდა თქვენს მეტი.

— კარგი, ჩემო კარგო... განაგრძე!..
— ხომ მოგახსენეს ბატონო ჩემი ამბავი?..
— მითხრეს... შემდეგ?..
— ეხლაც ყოველ ღამ მოდის ის ვისზედაც ვფიქ-
როობდი...
— როგორ იცი რომ მოდის?
სიზმარში მოდის, მიალერსებს, მიყვავებს, მპირდება
ჩქარა განკურნებას...
მე ბედნიერი ვარ... ქალი დაფიქრდა...
— ამ დროს მოდის ვიღაც მოხუცი... სახე არ უჩანს,
შეხვეულია, მოხრილობაში და ძარღვიან ხელებზე ვცნობ,
რომ მოხუცია, მავლებს ხელს, ამათრევს, მცემს, ხან სარ-
დაფში ჩამაგდებს, ხან ბნელ ოთხაში მამწყვდევს, მე ვყვი-
რი ვითხოვ შველას და მელვიძება...
კიდევ ელაპარაკა ექიმი ნატოს:
— ეცადეთ მარტო არ იყოს, ეცადეთ მისი ძილის დროს
მასთანვე ფხიზლობდეთ, არ ექნეს საშვალება ოთახიდან
გასვლის, უთუოდ მოჯადოებულია გიპნოზს რომ ვე-
ტყვით.
ნატალია თრთოლამ აიტანა, კბილებს დააცემინა
— საშიში არაფერია, გადავიყვანდი საავადმყოფოში,
მაგრამ ვერ უგდებენ ყურს, რაც უნდა დაკეტილში იყოს
გაიკვლევს გზას... როგორც შეამჩნიოთ დაძვრა ადგილი-
დან იმ წუთსავე მაცნობეთ... აჰა, ჩემი ტელეფონის ნო-
მერი....
დასამშვიდებელი წამლები გამოსწერა და წავიდა
ექიმი...

ბევრი ღამე უთიეს ნანიკოს, ორივე დედაშვილი ჩამოი-
ლიენ უძილობით, მაგრამ ვერა ნახეს საეჭვო, ნანიკო თა-
ვის ლოგინს და ოთახს არ განშორებია. თვე ნახევარი გა-
ვიდა ასე.
თინათინმა კვირა დილით მიიღო დეპეშა, ცოლქმარი
ჩაის უსხდნენ.
— დაუწვენიათ... ღვთის მშობელო, შენ დაიფარე, გა-
მამწარა, მაგრამ მაინც მეცოდება.

ყარამანს ხელი აუკანკალდა, ჩაი გადაისხა კალთაზე.

— რა მოგდის ბოვში ხარ?

შეუტია თინათინმა.

— ბოვშზე უარესი ვარ, — უთხრა ყარამანმა...

— ჭურში ხო არ ლაპარაკობს, რას ბუტბუტობ ზენთვის, ფული გვინდა...

— ვიშოვი...

— ცოტა არ იკმარებს, ნატალია საყვედურის წერილს იწერებოდა, დაღუპულ ობოლს ხუთი თუმანი არ ეყოფაო.. მის სიტყვაში ასე გამოვიყვანე, რაცხას ჩვენ გვისაყვედურებდა, ვითამ ჩვენ ვიყავით დამნაშავე...

ყარამანმა ისევ ჩაიბუტბუტა რალაც...

— კაცო! რა გემართება, რაცხას იბერები; შენი ძმისშვილის საქმეს მე მამადლი?

— არაფერს არ გამადლი თინათინ, რატომ ამიტყდები ასე, ჩემთვის ვამბობდი.

— შენთვის ლაპარაკი არ გამიგონია, ლულლულობ რაცხას... დღესვე იშოვე ფული ჩქარა უნდა ჩოუსწო რამე ბოვში მოვაშორო თავიდან...

— გიშოვი ფულს, წადი თინათინ, წადი, მხოლოდ, ბოვშს ნუ დაღუპავთ... გააბარეთ, ცოდვაა.

— ბეჩა! დაღუპვა რას ქვია... სულ-კი, არ მომძულებია.... „გააბარეთ, ცოდვაა...“ გააჯავრა, რა შენი თქმა მინდა, მივცემ ვინმეს, ცოტას უნდა?...

— მიცემა სხვაა და გაძიძავება კიდევ სხვაა....

— რავა გაძიძავება? რას მიქვია გაძიძავება... ვაშვილებ ვინმეს და ის იქნება...

— კარგი იქნება იცოდეთ, ვის მისცემთ...

— ეს კიდო რალაა, რათ გეჭირება, როდის გახდი ასეთი გულჩვილი?.. თუ იგი გამოტყდა და დაასახელებს მამას ვინაა. გაცნობებ, მაშვინ სხვანაირად წავა საქმე...

ყარამანი დიდხანს ჩააშტერდა თითის ფრჩხილს, რალაცას ეძებს ბიგ... ნელა ჩაახველა...

— თინათინ!... წამოვალ მეც...

— რა გინდა? რატომ?!.

— ვნახავ ქალიშვილს, ბოვშსაც დავხედავ, იქნება ვინმეს მივამგზავსო.

წვერზე დავარდნილი ნამცეცი ჩამოიბერტყა, ხელი ისევ უკანკალებდა და მუხლს დაებჯინა...

თინათინმა შეიკრა კოპები და მრისხანე ჭროლა თვალები დაანათა ქმარს.

— სახში დეეტიე და ოჯახს მიხედე,,. ეახელი იქ ქალიშვილს და მოსაკითხი მიართვი, ვითამ დიდი გაბედნიერებული გენერლის ცოლი გყავს....

— თინათინ, რამდენათ ღვთის მლოცველი ქალი ხარ, იმდენათ გულქვა ხარ...

— შენ ხომ შენი გულ მოწყალებით ბევრი გააკეთე.

— ეჰ, შენ ასე იცოდი ყოველთვის და ასე ჩამიმწარე ყოფა...

ყარამანი უფრო მოიხარა და წავიდა ფულის საშოვნად.

ლამის სამ საათზე შეიხმო ექიმმა ნატალია თავის კაბინეტში. თეთრი ხალათის სახელოები გადაეკეცა, დაემკლავებია, სწევდა თუთუნს და დიდ საექიმო წიგნში იყურებოდა დაკვირვებით კითხულობდა რაღასაც. ერთხანს ვერ შეამჩნია ქალის შემოსვლა....

— აჰაა... საქმე რაში ყოფილა... — ჩაილაპარაკა, წიგნი ხმაურით შეჰკეცა ,ასწია თავი, მკრთალ ლამაზ სახეზე ფიქრიანი თვალები გონების მუშაობას ამხელდა....

— აქ ქალბატონო ნატალია, ხათაბალა თუ გინდათ ეს არის... მე მაინც მადლობელი ვარ ამ შემთხვევის რომ საგულისხმო პრაქტიკა შემხვდა...

— როგორ არის საქმე თქვენი ჭირიმეთ, ნუ დამიმალავთ... შეირყა?

— აარა ბატონო!... გონებაც კარგი აქვს და მოთმინებაც, მაგრამ. — ექიმს თითქოს გაუჭირდა თქმა...

— მაგრამ რაა?

— როგორ გითხრათ... შეუხებელია... ისევ ისეა როგორც... ერთი სიტყვით როგორც ქალწული..

— როგორ შეიძლება ექიმო?...

— შეიძლება ორ შემთხვევაში, პირველი ის რომ თვით ქალის აგებულება შეიძლება იყოს ასეთი, რომელსაც მთვარის მგზავრი ეწოდება, ეს ტერმინი ჯერ არა გვაქვს

მაგრამ, პირდაპირის თარგმნით მე ასე დავარქვი. დიახ მთვარის მგზავრი, და ამ შემთხვევაში განთავისუფლების შემდეგაც ასევე რჩება ქალი... მეორე შემთხვევაში... უთუოდ, მამა მოხუცი უნდა იყოს, უძლური, რომლის ენერგიასაც განაყოფიერების თვისება არ დაჰკარგვია... ჯერჯერობით ამ უკანასკნელს ვაკუთვნებ ჩვენს ავადმყოფს.

— მოხუცი მამაა... ოო...

სთქვა ნატალიამ, რალაც აზრმა ისევ ისე გაუწვა ტვინი როგორც პირველ ჩამოყვანის დროს... ყურები თითით დაიცო.....

— ოოო, საშინელი იჭვები მებადება...

— გყავთ ვინმე სახეში?...

— ექიმო, მეძებარ ძალლისებური ალლო მაქვს, გული რომ მეტყვის ის უცვლელია ყოველთვის.

— გაქვთ ვინმეზე ეჭვი?

— თვით გამზრდელზე...

— აჰაა... დიახ... ქალის სიზმრებსაც ამასთან აქვს კავშირი, ქალს ვინც მოსწონდა მასზე ოცნებობდა, და დაავადმყოფდა გონებით.

— ოოო... საშინელება. საშინელება.

ასეა ქალბატონო საქმე... ეხლა უკაცრავად... ექიმს დაუძახეს საჩქაროთ... გავიდა...

— მომიყვანეთ ბავშვი... — დაილაპარაკა ნანომ.

— რათ გინდათ, სძინავს...

— ძუძუ უნდა მივსცე.

— არ შეიძლება...

— რატომ?

— უფროსმა ექიმმა გვიბრძანა, რძე ვაჭამოთ, სანამ ძიძას იშოვნიანო.

— დამიძახეთ ექიმს! — ჟინი ისმოდა ქალის ხმაში.

მოვიდა ექიმი...

— რა გინდა ნანიკო!... დაიძინე, დამშვიდდი.

— ექიმო! შენი ხელების ჭირიმე!.. — წაეტანა.

ექიმმა მისცა ხელი.

— ორივე, ორივე ხელი — მაგრათ, მკერდთან მიიკრა, მსწრაფად პირთან მიიტანა და დაუკოცნა...

— შენი ჭირმე, ჩემო ბატონო!

ექიმი შეშფოთდა დაიახარა, თავზე ხელი დაუსო, შუბლზე ეამბორა, თავი ცხელი ჰქონდა ქალს.

— რა გინდა ნანიკო, ნუ გეშინია, აქა ვარ, ერთის წუთითაც არ დამიტოვებიხარ. ეხლა კარგად ხარ...

— ჩემო ბატონო!

— რა გეთაყვა?

— ნუ წამართმევთ.

— ვის?

— ჩემს შვილს...

— სადა გყავს შენ შვილი ნანიკო?

— დღეს რომ გამიჩნდა.

ექიმი შედგა არ იცის რა უპასუხოს.

— რა უყოთ მერე რომ მამა არა ჰყავს, სიზმარში ხომ ჰყავს, ჰაერში ხომ ჰყავს... დიდი კაცია ჩემი ბიჭიკო... აკი თქვენა სთქვით ბიჭიაო...

— ნანიკო!.. ხუთი წუთი დამაცადე, მომითმინე, ეხლავე მოვალ და მოგცემ პასუხს.

გავიდა და ითათბირა ექიმებთან:

— მის გონებაში მაინც ნისლია, მინდოდა დამერწმუნებია, რომ არავითარი შვილი არ გასჩენია, რომ ის იყო მხოლოდ ტვინის მძიმე ავადმყოფობით და რომ განიკურნა, თუ დავარწმუნებდი ამაში ეს ეს იქნებოდა მისი მეორედ დაბადება, გონების გასაღება, და ახლათ შეუდგებოდა ცხოვრებას, მაგრამ ასე არ მოეწყო, დაჟინებით თხოულობს ბავშვს... არ ვიცი როგორ მოვიქცე, რომელი გზა რა ნაყოფს გამოიღებს, რას მირჩევთ?

— აჩვენეთ... ასეთი გზა უფრო აურევს თავს... აჩვენეთ...

იყო საერთო რჩევა.

ნანიკოს მიჰგვარეს ბავშვი, ნიდაყვს წამოეყრდნო ქალი, უყურა დიდხანს ყმაწვილს სახეში.

— ჩემო, ბიჭიკო... — ნელა გაიხსნა მკერდი, და ბავშვმა იგემა დედის ძუძუ...

ნანიკო კარგად არის, არც სიცხე აქვს, არც ჟინიანობას, დედობრივის მზრუნველობით ახვევს ყმაწვილს ფალასებში, ხსნის, აწოვებს, დაბალის ხმით უნანავებს, ბიჭიკოს ეძახის, მოსწონს კიდეც ეს სახელი. ნამდვილი დედაა.. არავითარი საბუთი აღარ აქვს ექიმს იფიქროს ქალის უჭკუობა. ექვსი დღის შემდეგ, ისევ დაჰყარა ფრთები ქალის სიხარულმა, ჩამოეცალა სიხალისე, ნისლი ჩამოწვა მის თვალებში და ლოდი დაედო გულზე.

მოვიდა თინათინი... იწყინა, გაუჯავრდა ძმის წულს

— რათ მიყავი ნატალია ეს საქმე. როგორ მიაცემინე ძუძუ... იმ წუთსვე ვერ გამოაცალე, ვერ მიუგდე ვინმეს.

— რას ამბობს მამიდა ჩემო... როგორ მიუგდე, ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს გადაუგდო, დიდი თავი გაქვს და იტირეო, არა... ჩემს დღეში ამის წინააღმდეგი ვიყავი, გააჩენენ და მიუგდებენ ვილაცას მეთქი, და ეხლა მევე შევასრულებდი აბას..

— რაება პირველი მაგალითი ჩვენ ვიქნებოდით? რამდენია, რომ უნდა იშვილოს ვინმე.

— მე თუ მკითხავ დაიწერე პირჯვარი, ცუდ აზრს შეაფურთხე, წაიყვანე ბავშვი და გაზარდე, ქალი გაათხოვე როგორც ქვრივი და შვილიც დედასთან დარჩება...

— ღმერთო ამომახდინე ახლა სული... ბუშიანი ქალი ჩევიყვანო სახში?..

მიიფარა თინათინმა შუბლზე ხელი და ისე გახედა ნატოს.

— რას ჰქვია ბუში,... რა არის ბუში ვერ გამიგია, ჯერ წინ დროშიდაც არ ურიგდებოდი მე ამ აზრს თორემ ეხლა? ასე თუ ვიტყვით ეხლა მთელი ახალი თაობა ბუშები არიან შენ თუ ჯვრის წერას ღებულობ კანონათ... ნანიკო-კი ვერ დაიწეროს ჯვარს მაზე...

— ვინაო, რატომ არ ტყდება... არ ამბობს!... მაცალოს კაი დღეს დავაყენებ ჩავათრიო სახში....

— ძალიან გინდა იცოდე ვინ არის?

— მინდა, აბა არა....

— ნუ გინდა, ნუ შეეცდები გაგებას...

— ნუ მკლავ შე ქალო ნელ-ნელა, ერთად მომკალი ბარელამ და ის იქნება, რაცხა გადაკრულად მელაპარაკები, რა ვიფიქრო, ვინაა?

— შენი ქმარი... — მიახალა სახეში ნატალიამ.

თინათინს გული შეულონდა და მოაბრუნეს.

— შე კაი ქალო! თუ ჩემი მოკვლა გინდოდა სხვა ფრივად ვერ მომკლავდი? რაღა ამ საშინელს მეუბნებოდი... ტყუილი, ტყუილი, ტყუილი, იგონებს მა შეჩვენებული.

— რა არის ქალო საშინელი... ასეთი ამბები ხდება?.. გაზეთებს მაინც არ კითხულობთ? ქვეყანა გადაირია და შენ ის გაკვირვებს შენმა ბეხრეკმა თუ დაკარგა ჭკუა?..

— გოგო, გოგო, გოგო რას ფიქრობდა... — შეჰკივლა თინათინმა...

— სსსუუ... დაჩუმდი, გოგო უბრალოა მან არაფერი იცის... გაჩუმდი საქმეს ბოლო არ გამოებას, შენ ნაჩინონიკარ ქმარს სამართალში მისცემენ და მის დღევანდელ დიდკაცობას არ მოერიდებიან...

თინათინს ჩაუვარდა ენა, ჩაჰყლაპა წყალი...

— რომ მიდიოდი თითო თვეობით, და ვაშლივით გოგოს უტოვებდი რას ფიქრობდი?

— ძმის შვილს, ადამიანო, ღვიძლ ძმის შვილს არ ვანდობდი!... ოი დეიქცა ქვეყანა, აი დაიფსე ყურებო, რომ ვარესი არ გაიგონო. ძმის წული არ მენდო?..

— ძმის წული ჰო, ძმის წული... გამოიღე ბამბა ყურიდან...

თინათინმა წაიღო ხელი ყურებისაკენ და დაიწყო შიგ ბამბის ძებნა...

— სადა მაქ ბამბა ბეჩა..

— ნატალიას დაავიწყდა გულის წყრომა, გაელიმა და მოჰხვია ხელი მამიდას...

— საწყალო მამიდა! ძველი ქალი ხარ და ისევე ძველის თვალით უყურებ ახალსაც. მართალია შენ დროს ძნელი იყო ამის წარმოდგენა და იშვიათზე იშვიათი შემთხვევა, მაგრამ იყო მაინც ჩანასახი... ასეთი გახდა ცხოვრება. გაიგე?

— ვერ გავიგე, სულ ახალ ქვეყანაში ვარ, შენი ენაც ალარ მესმის.. ტყუილი, ტყუილი, ტყუილი, იგონებს მა შეჩვენებული. ჩვენი დახოცვა უნდა... დღესვე, დღესვე, დღევე მოსპოს, ჩემს თვალს არ დაანახოს...

— არ შეიძლება, გოგო ჭკუას დაჰკარგავს... ის ნახევრად შეშლილია, მას ხომ არაფერი უთქვამს, ექიმმა გამოიკვლია... ასეთო... ნანოს დაჟინებული აქვს, ღვთის მშობელი ვარო... ნანიკო ისევ ქალწულია, ექიმებმა ის დაამტკიცეს... მერე გეტყვი უფრო დაწვრილებით...

— რას ამბობ?... — შიშმა მოიცვა თინათინის თვალები...

— იქნება მართლა მოხდა სასწაული ამ... ამ დროს...

— რა გულუბრყვილო ხარ საწყალო მამიდა....

— აბა, რა უნდა ვიფიქროთ?

— რაც გითხარი... ხდება თურმე ასეთი შემთხვევა.

თინათინმა მაგრათ გამოისახა პირს ჯვარი, და მაგიდას დაუშტერა თვალი.

ეხლა უფრო ჩქარა გარბოდა ჩქარი მატარებელი, ეხლა უფრო წარმტაცი იყო სანახაობა მთვარის შუქზე, ის სავსე სრული დაკაშკაშებდა ქვეყანას, ხელოვნურ სინათლეს გასცდა მატარებელი, ბრწყინვალე ვერცხლის ტბაში შელივლივებული ზაჰესი უკან მოიგდეს ორნოდებმა. რკინის სპილომ გვერდი გაურა, შუა გააპო ადამიანის მალალი ნამოქმედარი, გაიარა და არ გაიკვირვა, მეც ხომ იმ კაცმა გამაკეთა ვინც შენ. უსულოს სული ჩამიდგა, ამამოძრავა, უტყვი ამამეტყველა, რამდენი ხანია ცხვირპირის მტვრევით ვემსახურები იმ უმალლეს, წელს ვიწყვეტ, ქვეყნიდან ქვეყნათ და ვათრევ მას მისს სიმძიმეს, მაგრამ კაცი მაინც უმადურია. ერთი რამე გამიფუჭდება და მიმაგდებს, სადმე ჩიხში ჩამჩეხავს. პირველი ჩემი გაჩენაც ასე აკვირვებდათ ამ ჭია ლუას, ერთის გადავლით ორომ ათასს გავსწყვეტ თუ ქვეშ მომყვა... ეხლა მე არაფრათ მაგდებს და შენ შემოგხვევია... ლამის ლმერთად გიხადოს არ დაუჯერო, ადამიანი ფლიდია და დაუნდობელი, შენც დაძველდები მის თვალში როცა რამე მოვა.

დაუსვენარია, სულ წინ მიდის, მაგრამ სიკვდილი, სიკვდილი ანადგურებს...

მიბუტბუტებდა ორთქლმავალი, ხვნეშა და ხოხვით მოგორავდა, თან მიჰქონდა ტყე და ველი, მთვარე კი ისევ დაჰქათქათებდა ქვეყანას, მედიდურათ მისცურავდა მაღალ გუმბათზე და მეორე კლასის რონოდის ფანჯარაში გადმოწოლილ ნანიკოს მწვავე კაეშანს ახვევდა გულზე..

„თინათინს სძინავს, მისი ფშვინვა ისმის, საზიზღარი ბებერი, ოო, რატომ არა აქვს ძალა ნანიკოს სწვდეს ყელში დაახრჩოს, გადმოუცვინოს ის ცივი თეთრი თვალები, რომლებიც ისე მძულვარებით უყურებდნენ დღეს ნანიკოს „ბიჭიკოს“... წაართვეს. შვილი, მოჰგლიჯეს გულზე, ნატალია ეჩხუბა ამ ქოფაქს და მერე ალარ მოჰკარებია... მისცეს ვილაც ოხერს, რათ უნდა იმას ჩემი შვილი, იმას უნდა ის ოცდახუთი მანათი, რომელსაც დამზღვევი სალარო მისცემს და საძიძაო ქირა. არ შეისმინა ნანიკოს ვედრება, არ შეიბრალა ნანიკოს ცრემლები, „დავრჩები დედა ნატასთან, არ წამოვალ თქვენთან, ვიმუშავებ, ვემსახურები, ძუძუ კარგი მაქვს და გავზრდი ჩემ შვილს, მერე სამსახურში დავდგები, თქვენ არ შეგაწუხებთ“... რა საშინლად დაანათა თინათინმა თვალები....

— გველის წიწილო, მოგკლავ, სულს ამოგახდენ... ეხლა უნდა ჩაგათრიო სახლში, მერე სოფელში, გნახონ, დარწმუნდნენ რომ არაფერი ყოფილა, რომ ცდებოდნენ, რომ ცილს გწამებდნენ, ამის შემდეგ თუ გინდა წყალში გადავარდი... მკლავი მოუგრიხა, გვერდში მწარედ უჩქმიტა... ნანიკოს ენა ჩაუვარდა, ქალალდი მოიტანეს, ნანიკოს ხელი მოაწერინეს, რომ თავის ნებით აძლევს შვილს ვილაცას. წაიყვანეს ბავშვი და ეხლა ნანიკო მიდის იქ, საცა ისე ეჯავრება ყველაფერი, მიდის ცარიელი, სული ალარ აქვს მას. მიაწვა რონოდის კედელს მკერდით... ეტკინა ძუძუ შეკრული და დასიებული... ატირდა, ცრემლი ერთი მეორეს მოსდევს, იწმენდს, ჰყლაპავს, ნაღველი აწვება გულს. პატარა ვარდის ფერი ტუჩები, რომ ინძრეოდა ამ მკერდზე, ცოცხალი თვალები დედას შესჩერებოდა სახეში, დედას სიხარული ედგა გულში და ეხლა ალარ არის ის სიხარული.

სირცხვილისათვის მეორე სირცხვილი გააკეთეს და დაჰკოდეს ქალი.

— დაწევი, რას მიყუდებულხარ მაქ. — მოისმა თინათინის მკვახე ხმა და ნანოს კალთა დაიწია...

ქალი მიწვა, იფიქრა ბევრი და ჩაეძინა....

— სად მიდიხარ ნანიკო!... რა უყავი ჩემი შვილი, ვის მიეცი, უთხრა სახე შეხვეულმა კაცმა, ძარღვიანი გამხმარი ხელები ისევ ისე მოუჩანს.

— შენი შვილი... სად მყავდა მე შენი შვილი?

— შენ რომ შვილი გაგიჩნდა ის ჩემგან იყო.

— შენგან-კი, არა, იმ ჭაბუკიდან მე რომ ერთხელ ვნახე, მერე სულ ჩემთან, რომ იყო და შენ რომ მაშორებდი..

— სულელო, ის შენი ფიქრის ნაყოფი იყო, შენი შვილის მამა კი მე ვიყავი.

— როდის?

— როდის და მარტო რომ ვვახშმობდით სახლში, შენ რომ თავი გტკიოდა და მე რომ ფხვნილი დაგალევინე, რომ გაგიარა თავის ტკივილმა და ჩაგეძინა?

— ჰო...

— ჰო, და მერე მე შენთან ვიყავი.. შენ დღე ფიქრობდი შენს ჭაბუკზე, სიზმარშიც იმას ხედავდი, მე მოვდიოდი, როცა ეს შეიძლებოდა, ვტანჯავდი შენს სიზმარს და ვიყავი შენთან... რა უყავი ჩემი შვილი?...

მოხუცის ხელები სწვდა ნანოს ყელში... მან გაიბრძოლა, პირის საბურავი ჩამოჰგლიჯა სახიდან...

— ბიძია... — დაიკივლა საშინლად, გაიბრძოლა და წამოიჭრა ფეხზე, ერთ წუთს მგზავრები ფეხზე დადგნენ, კუპეს ღია კარებიდან ერთი მოიხედა განწირულმა თვალებმა, მოჩვენება ისევ მისდევდა, ქალი თავგამეტებით გავარდა დერეფანში. მატარებელი დააყენეს მაგრამ გვიან იყო.

ცამეტ მაისს ახალგაზრდა ქალი გადაუჭრია მატარებელს, ის ძალათ ჩავადნილა შიგ; წაიკითხა ქეთომ და უთხრა დედას.

ნატალია არ წავიდა ნანიკოს დაკრძალვაზე, სამუდამოთ დაჰკარგა მამიდა.

ტფილისი. 1927. 4 ივლისი.

სიმონ ქვარიანი.

ბოტანიკურ ბალში.

1

ოთხი წელი ვიცნობდით ერთმანეთს. ოთხი წლის სივრცეზე ჩვენ ვწერდით ერთმანეთს და ვიყავით საუკეთესო მეგობრები.

— ოჰ, რა არ იყო იმ უმანკო ბარათებში! თაფლოვანი ენა, პოეტური სურათები, წრფელი და ფაქიზი გრძნობანი.... თითოეული წერილი, — ეს იყო მთელი პოემა, ობოლი სულის აღსარება!

ოთხი წლის ჩვენი რაინდული მეგობრობა იყო სულის ნამდვილი პოეზია, ნაზი ემოციით დაშარბათული, იდუმალი, პოეზია სპეტი, ვით ვანგის ლოტოსი ცვარ მობნეული და ნაზ ფეროვანი, ვით მაისის დილას ბავშის სიზმარი...

პირველად ვნახეთ ერთმანეთი აღდგომა დღეს. ერთმა მეგობარმა თითქმის ძალად წამიყვანა მასთან. შევედით თუ არა მეტად სუფთა და კოხტად მოწყობილ დარბაზში, ლიმილით მოგვეგება იგი, — ოჯახის დიასახლისი, საუცხოვო ტანადი, შავი ქუჩუჩა თმებით და მკრთალი, სანდომიანი სახით. არ ეთქმოდა მეტად ლამაზი, მაგრამ მისი ტკბილი, ნაზი ხმა, ბუნებრივი სისადავე, აზრიანი თვალების შუქი და ციალი ლიმილი ხიბლავდენ ადამიანს, იწვევდენ აქ ქალისადმი და-ძმურს, მეგობრულ გრძნობას. ტანზე ემოსა ჩალის ფერი კაბა, რაც ფრიად უხდებოდა და ანაზებდა ახალგაზრდა ქალს.

— ესეც თქვენი სოსო, ასე რომ ნატრობდი მის ნახვას! ხომ მოგიყვანეთ მდევი ყურით! ჯილდო მერგება, ქალბატონო ფათუ.

იხუმრა მეგობარმა მისალმების და ხელზე ამბორის შემდეგ.

— დიდათ გმადლობთ, ბ-ნო იასე!

ქალი მომიახლოვდა მხიარულად და გამომიწოდა ორთავე ხელი.

შემდეგ გამიკეთა ხელმკავი, გამაცნო სტუმრები და შეგვიწვია ყველანი პურის საჭმელ ოთახში უხვად გაშლილ სუფრაზე.

ვიჯექ ტახტზე ფათუს გვერდით, როგორც ყველაზე უფრო სასურველი სტუმარი. ქალი მთავაზობდა საუკეთესო ღვინოს, პასკას და საჭმელებს.

— ძლივს ველირსე თქვენს ნახვას, ესეც იასეს წყალობით, თორემ თქვენ ხომ არ გაგახსენდებოდით! გამოტყდით რომ არა! აგერ ორი წელია დაბრუნდით ევროპიდან, თფილისშიაც ბევრეჯ იყავით, როგორც ვიცი, მე კი ერთხელაც არ მოგაგონდით! დაგავიწყდით, ხომა! ან რაში გემახსოვრებით ოდესლაც ნახული 12 წლის ბავში! გახსოვთ ამ ათი წლის წინ ორ თვეს რომ ვიყავ თქვენსას პაწია გოგო და თქვენი და ლირსა რომ მასწავლიდა?! ოჰ, რამდენს გაჯავრებდით იმ დროს ორთავენი! რა მძულდით. მაშინ! დღე და ღამ წიგნებს ჩაკირკიტებდით, იჯექით მუდამ ოთახში კარჩაკეტილი, ყურადღებას არავის აქცევდით. ერთჯერ ინგილისური წიგნიც კი დაგიხიე ჩუმათ; ხა, ხა, ხა...

ამ სიტყვებზე ფათუმ გადიკისკისა მადიანად და გამოაჩინა თოვლივით თეთრი ფართო კბილები.

— რა შეიქნა ასეთი სოსო! ჩვენც მოგვაქციეთ, დალოცვილო, ცოტაოდენი ყურადღება!

გაისმა აქეთ-იქიდან სტუმრების ნახევრად ოხუნჯი საყვედური.

— თქვენ თითქმის ყოველდღე აქ ხართ, თავიც მომაბეზრეთ, — იხუმრა დიასახლისმა, ეს კი ჩემთვის მეტად იშვიათი და დიდი სასურველი სტუმარია. ხუთი წელია ვნატრობ ბ-ნ სოსოს ნახვას; ხუთი წელია ვსტკბები ამის ნაწერებით.

ვამაწითლა დიასახლისის ასეთმა ქებამ.

— ბ-ნო ფათუ, მეტად აზვიადებთ ჩემი ნაჯღაბნების ღირსებას

— არას დროს! არ მიყვარს ბირფერობა! თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ბ-ნ იასეს ჩემი აზრი. გამამხნევა და გამათამამა ფათუს ასეთმა ქებამ. ჩავები საერთო მუსაიფში, შევუდექით საქ. პოლიტიკურ პარტიების დახასიათებას, შევეხეთ ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამს, შეგვექნა ცხარე კამათი. ფათუ ხშირად ჩაებმოდა ჩვენს საუბარში, ჩაურთავდა თავის მოსწრებულსა და გონივრულ შენიშვნებს, რაც აშკარად ამტკიცებდა მის ბუნებრივ ნიჭსა და განვითარებას მეტადრე ქართულ ენაში, რაც ასე იშვიათი მოვლენაა, სამწუხაროდ, ჩვენს ქალებში.

როგორც იყო შეწყდა კამათი. ავიშალენით შინ წასასვლელად. ფათუმ მხურვალეთ ჩამოგვართვა ხელი, მთხოვა ხშირად ნახვა და სიარული. ან რა თხოვნა იყო საჭირო, როცა უკვე მოგვიბლა ამ ქალმა! იმ დღიდან შევიქენ იმ ოჯახის ხშირი სტუმარი. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი სულიერი დაახლოვება. იმ საბედისწერო დღიდან გაინასკვა ჩვენს შორის წრფელი, უზადო მეგობრობის უხილავი ძეწკვი...

2

დადგა 1904 წელი და დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, რასაც გულის ფანცქალით შევტიროდით ქართველი ახალგაზრდობა, რადგან წინასწარ ვგრძნობდით, რომ ამ საბედისწერო ომს მოჰყვებოდა დიდი შედეგები და საქართველოსაც მიეცემოდა რაიმე სალავათი.

ახდა ჩვენი ნატვრა და მოლოდინი. გაიმარჯვა იაპონიამ. სასტიკად დამარცხდა რუსეთის ცარიზმი. რასაც მოჰყვა მთელს იმპერიაში მშრომელი ხალხის, სტუდენტობის, ინტელიგენციის და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა, ახმაურება, გამოსვლები, გაფიცვები და შემდეგ რევოლიუციაც კი თავის წითელი დროშებით, ყუმბარებით და ბაიარალებით.

ეს იყო სულის საამო გაზაფხული, სანეტარო ხანა, საშინელ ჯანყიდან თავის დახწევის სწრაფვა, სასურველი განთიადის მოახლოება...

გაგვიტაცა ყველანი ამ დიდმა მოძრაობამ. ჩავებით ამ სახიფათო ფერხულში და მე და ფათუც.

აფოფინდა ჩაგრულ-ტანჯულთა მკვრივად შეერთებული სული, იქცა სტიქიად და ბუმბერაზად. ალარ გვაშინებდა არავის პოლიციელის მათრახი, ჯარისკაცის თოფი და ზარბაზანი, კაზაკის ცხენის ტორები და ამოღებული ხმალი, ციხე-საპყრობილე და ციმბირ-კატორღა. ყველანი მზად ვიყავით თავი შეგვეწირა საერთო მიზნის მისაღწევად, ცარიზმის დასამხობათ, პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად.

იმართებოდა ყველგან ქალაქსა და სოფლებში ფარული თუ აშკარა კრება-მიტინგები, სჭექდა ალფრთოვანებული სიტყვები, ფრიალებდა წითელი დროშა. ჰაერი გაჟღენთილიყო მარსელიოზას საამო ხმებით. ხალხი გაიტაცა დიდმა იმედებმა. ყველანი ვიყავით მთვრალი კარზე მომდგარ თავისუფლების სანეტარო სურნელით...

ამ დიდებულმა ამბებმა და საერთო გატაცებამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა სულიერად მე და ფათუ, ეს ახალგაზრდა ქალი მჭურვალე მონაწილეობას იღებდა ამ დიად ბრძოლაში. იჩენდა ხშირად სულის სამაგალითო სიმტკიცეს და გამბედაობას, არ ეიდებოდა დიდ საფრთხეს და სიკვდილსაც კი. მისი ასეთი გმირობა მაგონებდა ძველი დროის მებრძოლ ქართველ ქალს; ამის გამო კიდევ უფრო მხიბლავდა და მაახლოვებდა მის მშვენიერ სულთან.

გარბოდენ მშფოთარე დღენი, ვხდებოდით სხვა ახალ დიდი ამბების და მსხვერპლის მოწამენი. ბოროტებით მჭაბნავი, აღბორგებული, გზა-კვალ დაბნეული ცარიზმი, — ეს ასთავიანი ვეშაპი, გაშმაგებით სცემდა ტორებს და ცდიდა შიგნით მებრძოლ ბანაკზე ათასგვარ ველურ სასტიკობას, მაგრამ უზენაესი იდეით აღგზნებული მებრძოლი ხალისით და გაბედვით ვეგებებოდით თვით სიკვდილს და წამებასაც კი.

ამ მშფოთარე წლებში, ამ საშინელ ქარტეხილის დროს მე და ფათუს მეგობრული უმანკო გრძნობა, ჩვენდა უნებურად, თანდათან იქცა უფრო ნაზს, დიდებულ გრძნო-

ბად. მაგრამ ეს იყო ერთად-ერთი საიდუმლო, რომელსაც ვმალავდით ორთავენი ესდენ სათუთად, რადგან ფათუ არ იყო თავისუფალი; მშობლების უმეცრებამ და ბნელმა ადათმა კიდევ თექვსმეტი წლის გამოუცდელ ბავშს ძალათ გაუყარეს ხელფეხში ჰიმენეს ტლანქი ხუნდები და მიათხოვეს შეუფერებელ კაცს. სწორედ ამაში იყო ჩვენი საშინელი ტრაგედიაც...

დიახ, ვფარავდით ორთავენი ამ დიდ საიდუმლოს, მაგრამ თვალთა ელვარება, გულის ძგერა და თრთოლვარე ხმა უნებლიეთ ამჟღავნებდენ მას.

3

დაიწყო 1906 წელი, შავბნელი კვიმატიანი. სასტიკად დამარცხდა რუსეთის პირველი რევოლიუცია. მოსკოვ-პეტერის და ოდესა-ტფილისის ქუჩები უხვად შეიღება მებრძოლ გმირთა უმანკო სისხლით. ტლანქმა ძალამ ჩაახრჩო წითელ სითხეში ხალხის თავისუფლება. იზეიმეს გამარჯვება ჟანდარმმა და პოლიციელმა. ალიხან მხეცის გააფთრებამ ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი დასავლეთ საქართველო. გადასწვეს სოფლები და ქალაქები, ააწიოკეს ქალი და კაცი. გურია-იმერეთი შეიღება წითელი კვერცხივით თავისივე სიხლში.

ამ რეაქციის საშინელ ქარტეხილის დროს ქუთაისის მებრძოლთა ერთი ჯგუფი დროებით შევეფარეთ ტფილისს, ვცხოვრობდით ფარულად და ვცემდით გაზეთს. აპრილის დამდეგს წავედით ჩუმად გერმანიაში და დავბრუნდი ისევ თფილისში მაისის ბოლოს.

იყო მშვენიერი დილა. საამური დილა იტაცებდა სასეირნოთ დიდსა და პატარას. და მეც სევდა-კაეშნით გარემოცული, უძლევი გრძნობით შეპყრობილი დავყევი სიონის დალმართს, გაველ ხიდზე და გოგირდის აბანოებთან და შეველ ჩემს საყვარელ ბოტანიკურ ბაღში.

ბოტანიკური ბაღი... ეს კლდე-ხრიოკებში, ვიწრო ხევსა და ბიაბან ალაგას აგებული ტურფა წალკოტი, შემკული უცხო მცენარეებით! იგი თავის პაწია ჩანჩქერით, ხვეუ-

ლი ბილიკებით და მწვანე, ჩეროვან ხეივნებით მიტაცებს მუდამ. მხიბლავს და მიზიდავს რაღაც უხილავ ანდამატით. ეს უცნაური ბალი ხრიოკის ფერდობზე მოხდენით აკიბული უნებლიეთ მაგონებს ძველთა-ძველ დროის მშვენიერ სემირამიდას ჰაერ კიდურს საოცნებო ბალჩა ყვავილეთს. მხოლოდ აქ მშვიდდება ჩემი მშფოთარე სული, აქ მეცლება კაეშნის შავი ბურუსი. ამ მივარდნილ ბალის მწვანე თალები შლიან ნელად ჩემი ოცნების მოხუშულ ფრთებს და ანავარდებენ მაღლა სივრცეში. ეს ბალია ჩემი სალხენი, ჩემი სავანე...

ახლაც მიმოვიდოდი დაგრეხილ ბილიკებზე ღრმა ფიქრებით გარემოცული, რომ უცებ თვალი მოვკარ ვილაც ბანოვანს მოხდენით გახვეულს თეთრ კაბაში. მიდიოდა ჩემ წინ ჩაფიქრებული. მივიდა მიხვეულ ალაგას და მიმეფარა უცებ თვალთაგან. მეცნაურა ტანი და სიარული. გულმა იგრძნო რაღაც და იწყო საშინელი ჩქროლვა. აუჩქარე ფეხს, მივდიე, მიუახლოვდი და... ვის ვხედავ!.. ფათუ!...

ჩემმა მიახლოვებამ შეაკრთო ქალი; მოიხედა და ჩემს დანახვაზე გაწითლდა უცებ, მაგრამ დამშვიდდა ისევ მალე და შეჩერდა.

— სოსო!...

— თაფუ!...

— როგორ! რაზიგ გაჩნდი აქა?

— სულ უბრალო, ჩემო ძვიროფასო! ეს წალკოტი ჩემი სევდის უკუმყოელი მალამოა; აქ ვიქარვებ გულზე მოწოლილ მძიმე კაეშანს... შენ კი რა გინდა აქ?

— მეც იმას ვეძებ ამ ბალში, რასაც შენ, ჩემო მეგობარო! იმავე მკურნალს, იმავე სალმუნს....

იყო ქალის პასუხი.

გავუკეთე ხელმკავი და გავიარეთ ნელა, მდუმარეთ, ორთავეს საშინლად გვიცემდა გული, ორთავე ვგრძნობდით, რომ უნდა მომხდარიყო რაღაც დიდი ხნით დაგუბებული გრძნობას უნდა გადმოეხეთქა კიდენი და ეპოვა სადინარი. ამ დილით აქ, ამ მშვენიერ ბალში უნდა გადაწყვეტილიყო ორთავეს ბედი. ან დღეს, ან არასოდეს!... არ მახსოვს როგორ გავჩნდით გლიცინიის მტევანა ყვავილებ-

ბით დაფარულ პაწია თალარში, წითელ გერანიით მოვლებულ აუზის წინ. აქედან იშლებოდა წარმტაც სურათად ბალის ერთი კუთხე; ცოტა მოშორებით კი მოსჩანდა თოვლის თეთრ ზოლად ქაფქაფა ჩანჩქერი ნაპრალის წვეროდან გადმოხეთქილი.

დავსხედით მერხზე. დიდხანს ვიყავით მდუმარეთ. ველარ ვპოვობდით სათქმელ სიტყვას. ენა სდუმდა, პირი შრებოდა. ისმოდა მხოლოდ დროგამოშვებით ჩვენი მძიმე სუნთქვა და ორს შეყვარებულ გულს გაჰქონდა მძლავრი ფანცქალი.

გარბოდენ წუთნი...

ჩვენი სულები უნებლიეთ შეხვდენ ერთმანეთს. ავიღე ფრთხილად ქალის ბროლივით ნათალი თითები და დავეწაფე მხურვალე ბაგით.

ფათუ შეკრთა და შემომხედა ცრემლით სავსე თვალებით, საიდანაც კრთოდა უზენაეს სიყვარულთან ერთად უსაზღვრო სევდა და გამწარება.

— ფათუ! ჩემო სიცოცხლევ! მაკმარე ესოდენ ტანჯვა და წამება!... შემომხედე რარიგად ვდნები.... დავკარგე ძილი და მოსვენება... ლამის გავგიჟდე... ნუ თუ არ გებრალება შენი სოსო!...

— რა ვქნა, გენაცვალე! რა გიყო მე უბედურმა! ოჰრათ გავჩნდი ქვეყანაზე!...

ქალს აევსო ცრემლით თვალები და დაეკიდა მარგალიტებათ.

— ორი წელი ვიტანჯები უცნაურად... ორი წელია ვებრძვი ამ საშინელ გრძნობას... ვერ დავძლიე! ვერ მოვერიე!... პირიქით ამ უხილავმა ძალამ სასტიკად დამძლია სულით და ხასიათით მტკიცე ვაჟკაცი... ჩაბლუჯა და შეიპყრო ჩემი გული.... შებოჭა ჩემი არსება... მომსხლიტა, მომადუნა... ყველგან შენ გიმზერ... ყველგან მელანდება შენი თილისმა სახე... ძილშიც კი მესმის ეგ უცნაური ხმა... არა, უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლია! ან ჩემი უნდა იყო მუდამ, საუკუნოთ... ან...

ველარ გავათავე; ყელში მომაწვა მღელვარება. წამოვარდი აგზნებული სახით.

ჩემმა განწირულმა ხმამ, ანთებულმა სახემ და გიჟურმა წამოვარდნამ საშინლად შეაფრთხო ქალი. შემომხედა ცრემლიანი თვალებით და დამაშტერდა დიდხანს... შემდეგ დაიწყო მღელვარე ხმით:

— შენ იტანჯები... გატყობ, მეგობარო! მარა ნუ გაიწყდება, რომ არის მეორე არსება, რომელიც შენზე ნაკლებ არ იტანჯება... შენ გიყვარვარ... ვიცი, მწამს! მარა დააჯერე გული, რომ მასაც უყვარხარ და მზათაა თავს დაგენაცვლოს, თავი შეგწიროს.... ოლონდ...

ქალმა ველარ გაათავა სიტყვა, მიიფარა სახეზე ხელი, მიბრუნდა და ამოუშვა მწარე ქვითინი...

— ფათუ! ჩემო სიცოცხლევ! გამკურნეს მომაკვდავი მაგ ციურმა სიტყვებმა!... მაშ თუ აგრეა, რაღა უდგია წინ, რა ეღობება ჩვენს შეერთებას, ჩვენს ერთად ცხოვრებას და ბედნიერებას?!

— რა ეღობება?! განა არ იცი?! ცოლ-ქმრობის ულელი, ეკლესია, სარწმუნოება, მოვალეობა, ხალხის ადათი, საზოგადოების აზრი, ჩვენი მშობლები და სხვა ათასი რამ....

წარმოსთქვა ფათუმ გულის კვნესით.

— ეგ არ მაშინებს, ჩემო სამოთხევ! თვით ზეცას და ხმელეთს შეებრძოლები! ყველაფერს დავძლევ, ოლონდ შენ იყავ თანახმა! ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი უზენაესი ლტოლვით და ეს საკმარისია! ჭეშმარიტი სიყვარული გაცილებით მაღლა სდგას ქორწინების ხუნდებზე, ეკლესიის კანონზე, ხალხის და საზოგადოების ვიწრო ზნე-ადათზე. ის ძლიერია, ვით სტიქიონი, ის ჩადის თვით სასწაულებს! იგი თვით ღმერთია და უკვდავება...

— მერე სინიდისი, მაღალი ზნეობა, პატიოსნება, მოვალეობა!.... ამათზე რაღას იტყვი, მეგობარო!...

დამეკითხა ქალი მწვავე ხმით.

ამ სიტყვებმა ერთბაშად გამაბრუეს, როგორც თავში დაკრულმა ურომ. შევჩერდი ცოტა ხნით, შევფიქრიანდი. მაგრამ უეცრივ გონება გამიშუქა ნათელმა აზრმა.

— რა სინიდისი და პატიოსნება! რა მოვალეობა! ვის მიმართ?! ვის წინაშე?! მერე, გიყვარდა ოდესმე, ან გიყ-

ვარს დღეს ის ადამიანი?! განა სურვილით ამოუდექ გვერ-
დით და შენის ნებით დაიდგი თავზე გვირგვინი, თუ საკუ-
თარმა მამამ დაგტუქსა სასტიკად 16 წლის უვიცი ბავში,
ძალით და მუქარით წაგიყვანეს ეკლესიაზე და გაგხადეს
შენთვის სრულიად უცხო შეუფერებელ კაცის ცოლად?!
მიპასუხე! განა გიყვარდა იგი? განა მოგწონდა? განა გსურ-
და ის ცხოვრების თანამგზავრად? განა დღემდი კი ურიგ-
დები შენს საშინელს ბედს?! ხომ არა! მაშ რაშია საქმე?!
სინდისსა და მოვალეობაზეა აქ ლაპარაკი?! ვის წინაშე?!
ბშობლების უვიცმა მტარვალობამ გაგყიდა შენ, საცოდა-
ვო! ტლანქად დაუმონა შენი სხეული შენთვის უცხო ადა-
მიანს! შენი სული კი დარჩა ისევ სპეტაკი და თავისუფალი,
ხოლო მწვავე სევდა-კაეშნის ბურუსით გარემოცული... და
აჰა, განგებამ გაგვაცნო ერთმანეთს ამ ოთხი წლის წინ ორი
ობოლი სული საერთო რწმენით, საერთო მიზნით და მის-
წრაფებით გატაცებულნი! ჩვენ დავმეგობრდით. ორთავე
სულმა იგრძნო ურთიერთ შორის ერთობა ნათესაობა, სიმ-
პატია და სრულიად ბუნებრივად, ჩვენს უნებლიეთ, აინთო
ორთავეს აფრთოვანებულ სულში უზენაესი გრძნობის
უშრეტი კანდელი, რომ შეგვაერთოს ჩვენ სამარადისოდ,
დაგვიტკბოს გაწამებული სიცოცხლე, გაგვამხნეოს და გა-
გვინათოს საერთო სავლელი ეკლიანი გზა. ჩვენმა ობოლმა
სულებმა ხანგრძლივ ძიების შემდეგ ცხოვრების ბნელს
უდაბნოში მონახეს ერთმანეთი, ჩვენ ერთი მეორესათვის
ვართ გაჩენილნი! ერთად უნდა ვიცხოვროთ, ერთად უნდა
მოვკვდეთ!...

ქალი სდუმდა თავჩალუნული, ღრმად ჩაფიქრებული.
ხან და ხან ასწევდა თავს და შეაჩერებდა თვალებს ჩემს
აგზნებულ სახეს. მის მშფოთარე სულში ხდებოდა საშინე-
ლი ბრძოლა. მის აზროვნებაში იწყებოდა რაღაც ღრმა მუ-
შაობა და გარდატეხა....

4

გავათავე გულიდან ამოხეთქილი რწმენით აღსავსე
სიტყვა და მივჩერებოდი ფათუს განწირული სახით, ვეძებ-

დი მისგან სასურველ პასუხს. მისი ერთი სიტყვა ან მომკლავდა, ან გამკურნავდა საუკუნოდ. ქალი კვლავ სდუმდა ღრმა ფიქრებში ჩაფლული. მის არსებაში ისევ ქუხდა საშინელი ბრძოლის ჩვეულება-მოვალეობასა და სიყვარულს შორის.

— არა, სოსო! არ შემიძლია!.. მეტად ძნელია ჩემთვის ეგ საბედისწერო ნაბიჯი! საშინელებაა!... ბევრად უმჯობესია მოვიწამლო თავი, გადავარდე კლდიდან, დავიხრჩო წყალში... არ შემიძლია, არა!... .არა!....

შემომხედა განწირული სახით, გავარდა მოსხლეტით მერხზე და ამოუშვა მწარე ქვითინი.

— მაშ, არ გიყვარვარ, საცოდავო! ცრუობ! მატყუილებ!... ჭეშმარიტი სიყვარული არ ორჭოფობს, არ ანგარიშობს! იგი სწორია, ძლიერი და პირდაპირი...

— ცდები, მიყვარხარ! და ამას ახლავე დაგიმტკიცებ!...

მომახალა მწვავედ ეს სიტყვები და წამოვარდა წასასვლელად. ანთებულ სახეზე ეტყობოდა განწირულება.

— შესდეგ! სად მიხვალ?

— გაიგებ მალე...

— არ გაგიშვებ! უნდა მითხრა სად მიხვალ, ან რა გწადია ჩაიდინო!...

გადავულობე გზა და მოვხვიე ხელი, მივხვდი რაც სურდა. მის ანთებულ თვალებში უკვე წავიკითხე საშინელი განაჩენი.

— გამიშვი!....

წამოიძახა გამწარებით, გაიბრძოლა და გამისხლტა ხელიდან.

მე დავედევნე სწრაფად, ვსტაცე ღონივრად ორთავე ხელი, თითქმის ჰაერში აზიდული დავაბრუნე და დავსვი ისევ მერხზე. ქალი თრთოდა უცნაურად, მთელი ტანი უცახცახებდა. მიიფარა თვალებზე ხელი და ამოუშვა ყრუ ქვითინი...

— რას ჩადი უბედურო!

ქალი არ მცემდა ხმას, იჯდა კვლავ თავჩალუნული. მხოლოდ ისმოდა მისი მწარე ქვითინი.

ფათუ დამშვიდდა ნელ-ნელა; შეწყდა ქვითინი; ხოლო დროგამოშვებით ისმოდა მისი გულის გმინვა. თვალები შევუშრე ხელმანდილით; მოვხვიე წელზე ხელი; მისი თავი მოსხლეტით მიენდო ჩემს მკერდს. უსვამდი სინაზით ხელს ქალის თმებს და ლოყას. ვგრძნობდი უსაზღვრო ბედნიერებას. გავიდა ასე რამდენიმე ხანი. ფათუ შეინძრა, წამოიწია უხმოდ, გადმოიბრუნა ჩემკენ სიყვარულით მგზნებარე სახე, მომხვია ალერსით კისერზე ხელი და ნელა დამწია თავისკენ. ორი ბაგენი დაუახლოვდენ ერთმანეთს და ჩაეტკბენ ხანგრძლივ ამბორში...

ეს იყო პირველი კოცნა. ეს იყო ნაზი სიყვარულის პირველი სურნელოვანი ყვავილი, ციურ ნექტარით დათქრობული. ეს იყო თვით მარადიული სიცოცხლე და ნეტარება...

ამ ტრფობა-საუბრის დროს უცებ დაბნელდა ზეცა; ჩამოწვა ხევში შავი ღრუბელი; შეიქნა საშინელი ელვა-გრუხუნი; მოშორებით იჭექა საოცრად გავარდა მეხი და წამოვიდა თქეში, კოკისპირული წვიმა. მალე დაგორდენ მთებიდან შავი ნიალვრები.

ჩვენ ვისხედით ისევ ფიცრით დახურულ თალარში, ირგვლივ გვფარავდა წვიმისაგან გლიცინიის ფოთლები და ნაზი მტევნები.

ამ დროს დავინახეთ, რომ უცებ გაჰქრა ჩანჩქერის კამკამა ბოლი, მის ნაცვლად კლდის ფრიალოდან გადმოსკდა საშინელი ღრიალით და ჩაინსხვრა ხევრი მოშავო ზვავად დაგორებული უზარმაზარი ღვართქაფი, რომელიც წამის-წამ დიდდებოდა უფრო და უფრო და ხდებოდა რალაც სტიქიურ საშინელებათ. გაგვიტაცა ორთავენი ამ სტიქიონის მრისხანებამ, მოგვხიბლა მეტად, მაგრამ იმავე დროს შეგვიკრთო გული ჩვენდა უნებურათ, აგვიშალა სხვადასხვა უცნაური ფიქრები და გვამხილა თითქოს ახლო მომავლის შავი განცდანი...

— იცი, ჩემო საუნჯევ, რას ნიშნავს ეს შავი ღრუბელი; ეს თქეში, ეს კუპრივით მოგრაგნილი ჩანჩქრეები?!

დაიწყო ოდნავ შეკრთომით ხანგრძლივ დუმილის შემდედ ფიქრ-ოცნებაში ჩაფლულმა ფათუმ.

ეს ჩვენი მომავლის სიმბოლოა,— განაგრძო მან. ვიცი...

ვხედავ... ჩემი უცნაური გული ნათლად გრძნობს ამას. ბუნება თითქოს წინასწარ გვამხელს, რაც მოგველის ჩვენ, ბედკრულთ... მაგრამ არა! არ მეშინია! არ ვიხევ უკან! მივდივარ თამამად წინ შენთან ერთად, აჰა, ჩემი ხელი და გული!..

მომიბრუნდა ფათუ ამ მისნური სიტყვებით და მაგრად ჩამეკრა მკერდში.

— ბუნება და ზენარი ძალა არ არიან ულმობელნი, ჩემო სიყვარულო! მწამს, რომ ბოლოს ყოველთვის იმარჯვებს სიმართლე და ჭეშმარიტება. ესენი კი ჩვენკენაა! ჩვენ ვებრძვით თამამად ძალმომრეობას, უმეცრებას და უსამართლობას! ჩვენ კეთილი გვსურს მშრომელ ხალხისათვის; ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ტანჯული ერის და სამშობლოს საკეთილდღეოთ; ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი დიადი გრძნობით და ეს საკმარისია! მაშ ბრძოლა მედგარი, გულის სიმაგრე, ხასიათის სიმტკიცე და გამარჯვება ჩვენია!

ამ კამათსა და საუბარში, ჩვენდა შეუმჩნევლად, შემწდარიყო უკვე თქეში წვიმა, გამქრალიყო შავი ღრუბელი და გაოცებით დავინახეთ, რომ ისევ გვიღიმოდა სიამით სუფთა, ლაჟვარდი ცა, დიდებული მნათობი კი გვაფრქვევდა ისევ თავის ოქროვან სხივებს, რომელთა შუქზე კიაფობდა ბრილიანტებად ფოთლებზე დაკიდებული ანკარა წვეთები. თვით ჩანჩქერი, წეხან შმაგ ღვართქაფად ქცეული, დამწყდარიყო კიდეც და ეკიდებოდა ისევ თავის თეთრი, ქათქათა ფერი.

— აი, ჩვენი გამარჯვების სიმბოლოც, ჩემო ღვთაებავ! ხომ ხედავ!...

მივაძახე ფათუს აღტაცებით. მას გაუბრწყინდა სახე და თვალებში აუციმციმდა იმედის სხივი. ჩვენ ჩავკიდეთ მაგრათ ერთმანეთს ხელი და აღტაცებით დავეშვით ქალაქისაკენ, რათა თამამად გვეუწყა ყველასათვის, რომ ჩვენ გვიყვარს და ვეკუთვნით მხოლოდ ერთმანეთს. და გავსწიეთ ორთავემ წინ მედგარი ბრძოლის მოლოდინში და გამარჯვებს იმედით ფრთაშესხმულნი....

———:———